ბაზიური გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№181 (240) 31 ივლისი-7 აგვისტო 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეხ, გვარამია, გვარამია...

კუზიანს სამარე მაინც გაასწორებს, ზნეობადაკარგულ, ყველაფრისმკადრებელ ადამიანს კი არც სამარე უშველის, იგი, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრი პატარა მტაცებელი ცხოველი სკუნსი, სიმყრალით აიკლებს ხოლმე არემარეს.

მინდა კატეგორიულად გავაპროტესტო ვინმე გოჩა გვარამიას მიერ **«რია-ნოვოსტის»** ეგიდით გამართულ **«მრგვალ მაგიდაზე»** დაყენებული სიცრუისა და დეზინფორმაციის კორიანტელი. ამაზე თქვენი გაზეთი წერდა და დასაბუთებული პასუხიც გასცა პროვოკატორს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ აღშფოთება, რომელიც ამ პერსონის მიერ დახვავებულმა ყურითმოთრეულმა ცრუ ფაქტებმა ჩემში გამოიწვია, ვერ დავძლიე.

გვარამიას განცხადებები იმის თაობაზე, რომ სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»** და მისი ლიდერი სეპარატიზმისკენ არიან მიდრეკილნი, ანტიქართულ საქმეს აკეთებენ, საკვირაო სკოლებს ხსნიან, არის სრული აბსურდი, ისევე, როგორც აბსურდია მის მიერ მოშველიებული, ბუნებაში არარსებული ინტერვიუ ვინმე სომეხ პოლიტოლოგ მურადიანსა და ალექსანდრე ჭაჭიას შორის.

ეს ყველაფერი არის მტკნარი სიცრუე, პროვოკაცია, დესტრუქციული დავალების, მზაკვრული სპეცოპერაციის ნაწილი, რომლის მიზანია, რომ, როგორც **«მრგვალი მაგიდის»** ერთ-ერთი წევრი, ვინმე ვასაძე აღნიშნავს, შეიქმნას საინფორმაციო ველი, მოხდეს ინფორმაციის პერმანენტული **«შემოგდება»** არარსებული მეგრული სეპარატიზმის შესახებ, რათა ამ თემამ ფორმალურად მაინც იარსებოს. ამ ბინძურ საქმეში სამიზნედ ბატონმა გვარამიამ, ვასაძემ და კომპანიამ რატომღაც სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»** შეარჩიეს, სავარაუდოდ, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, მაგრამ ფეხი არ ჩაუვათ... სახალხო მოძრაობა **«სამეგრელო»** ყოველთვის მოქმედებდა სწორედ ერთიანი საქართველოს და ზოგადქართული ინტერესების განსამტკიცებლად, რასაც ადასტურებს კიდეც ის პათოსი, რომელიც გასდევს როგორც ამ ორგანიზაციის საქმიანობას, ასევე მისი ლიდერის პრინციპულ პოზიციასა და ყველა საჯარო გამოსვლას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მეგრული სეპარატიზმი არ არსებობს, რომ მეგრელ კაცს, როგორც იმ კუთხის შვილს, რომელიც ისტორიულად იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის ინიციატორი, კი აქვს პრეტენზია, თანაც გამოხატული, რომ თავი წარმოაჩინოს როგორც უფროობით ხარისხში ქართველმა, მაგრამ არასოდეს გამოხატავს სეპარატისტულ მიდრეკილებებს. თუმცა მე კაცებზე ვსაუბრობ და ამას ვერასოდეს გაიგებენ გვარამია და სხვა კაცუნები.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დედაქალაქში მეტწილად პროსომხური ელემენტებისა და ფსევდო-ინტელიგენციის წარმომადგენელების მიერ წლების მანძილზე ინერგებოდა მეგრელის, როგორც ამ სივრცისთვის უცხოს, კლიშე. ამ კლიშეს კარგად იყენებდნენ სპეცსამსახურები და სამწუხაროა, რომ ამ ჯერზეც მეგრული გვარის მქონე ადამიანი – ვინმე გვარამია გამოიყენეს არარსებული **«მეგრული სეპარატიზმის»** ტორპედირებისთვის.

გვარამიას და ვასაძეს **«რია-ნოვოსტი»**, მგონი, არა რუსული, არამედ ჩინური სააგენტო ჰგონიათ და ამ სააგენტოს კედლებიდან ბრალს გვდებენ რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით სეპარატიზმის კულტივირებაში.

ეს სასაცილოა. თუკი რომელიმე სპეცსამსახური ამ თემას ვინმეს მეშვეობით კულტივირებს, მაშინ ფაქტი უდავოდ სახეზეა: იგი ამისთვის აგენტებად გვარამია-ვასაძის ტანდემს იყენებს და, ამ ტანდემისთვის აშკარა რუსული კვალი რომ წაშალოს, სწორედ იმ საკითხებსა და იმ სპეცმეთოდებზე ასაუბრებს თავის გავლენის აგენტებს, რაც თეთრი ძაფით შეკერვის გამო ესოდენ თვალშისაცემია ხსენებული **«მეგრული მაგიდის»** მასალების გაცნობისას.

ეს აბსურდის თეატრი კიდევ ერთი კოვზია, რომელიც ნაცარში ჩაუვარდათ «მეგრული სეპარატიზმით» მოვაჭრე გრანტიჭამიებს, რომლებიც გაუგონარი სიცრუითა და სხვებისთვის ლაფის შესხმით ცდილობენ მზისქვეშ ადგილის დამკვიდრებას.

მათ უნიჭობაზე ის არგუმენტიც მეტყველებს, რომელიც «მრგვალ მაგიდაზე» გვარამიამ ვინმე მურადიანთან ჭაჭიას არარსებული ინტერვიუს დასტურად – მოიყვანა – თუ არ მიუცია ჭაჭიას ეს ინტერვიუ, მაშინ რატომ არ უარყოო.

საინტერესო რა და სად უნდა უარეყო ჭაჭიას: ინტერვიუ, რომელიც არ მიუცია, და შესაბამისად, როგორც არარსებული, ნანახიც არ აქვს?

ეხ, გვარამია, გვარამია, ამ ლოგიკით პრესაში თქვენზეც დაწერეს **«მეგიოხვენჯე»**... ამის უარყოფა ან რაიმე დასტური, რომ ასე არ არის, არც თქვენგან წამოსულა... და რა ვქნათ ახლა, ვირწმუნოთ, რომ, რადგან არ უარყოფთ, ესე იგი ფაიზადი **«მეგიოხვენჯე»** ხართ?!

გაანებეთ, ბაბაია, თავი უკუდმა ჭრას და კერვას, გაანებეთ... არც ერთი გრანტი არ ღირს იმად, საქვეყნოდ რომ იჭრით თავს... სახელი გიტყდებათ, თორემ სიცრუის ტირაჟირებისთვის თავს არავინ გაგიტეხავთ... ისე, რომ იცოდეთ, სჯობს, სახელის გატეხვას ისევ თავის გატეხვა გერჩიენოთ.

ზაურ გახარია,
სახალხო მოძრაობა
«სამეგრელოს» კოორდინატორი

რატომ კვდებიან ჯარისკაცები სამხედრო ნაწილებში

გორის სამხედრო ნაწილში 11 ივლისს 19 წლის ჯარისკაცი კობა მახარაშვილი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მახარაშვილმა მშობლებს სხვა სამხედრო ნაწილში გადაყვანა სთხოვა. ოჯახის წევრები მომხდართან დაკავშირებით კომენტარებს არ აკეთებენ. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით კი, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელსაც სამხედრო პოლიცია იძიებს. დაკრძალვის ხარჯებს და მატერიალურ დახმარებას გარდაცვლილის ოჯახს თავდაცვის სამინისტრო გაუწევს.

“კახეთის საინფორმაციო ცენტრის” ინფორმაციით, მახარაშვილს ტყვია პირში აქვს ნასროლი. **“ზოგი ამბობს მოკლესო, ზოგი ამბობს თავი მოიკლაო, რა მოხდა არავინ იცის”,** – აცხადებენ გარდაცვლილის მეზობლები.

მათივე თქმით, ოჯახზე სამხედრო პოლიცია ზეწოლას ახორციელებს, რომ მათ გარდაცვალების გარემოებებზე არ ისაუბრონ.

გარდაცვლილი ჯარისკაცის მამის შალვა მახარაშვილის განცხადებით: **“ეს ამბავი გუშინწინ 21:30 საათზე მოხდა, სხვა არაფერი ვიცი. რა მოხდა, არავინ იცის, ვერ გეტყვით თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა. ბოლოს ერთი თვის წინ ვნახე შვილი, აქ იყო ჩამოსული, არაფერი უთქვამს, თუ ვინმესთან კონფლიქტი და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ჯარში. ექსპერტიზა ჩაუტარდა უკვე და ალბათ გამოძიება დაადგენს ყველაფერს, მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. ეს არის, რაც ვიცი”.**

სამხედრო ექსპერტები და ანალიტიკოსები მომხდარს სამხედრო ნაწილში გამკაცრებულ დისციპლინას უკავშირებენ. თუმცა პოლიტიკოსთა ნაწილის აზრით, ეს თავდაცვის სამინისტროს შეცდომებზე და სამხედრო ბაზებზე არასათანადო მდგომარეობაზე მიუთითებს.

როგორც ჟურნალისტებს სამხედრო ანალიტიკური კვლევების ცენტრ **“ჰერის”** წარმომადგენელმა გიორგი მელითაურმა უთხრა, თავდაცვის სამინისტრომ პირად შემადგენლობასთან მუშაობას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს და მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად ჯარისკაცებს ფსიქოლოგიური მომზადება უნდა უტარდებოდეთ.

“რა მოხდა გორის სამხედრო ნაწილში, ჯერჯერობით ინფორმაცია არა მაქვს. გავრცელებული ინფორმაციით კი თვითმკვლელობის ვერსიისკენ ვიხრები.

“ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული მეთოდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირში იარაღის ლულის ჩადება და სასხლეტის გამოკვრაა, რასაც, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში აქვს ადგილი. შესაძლოა ეს ფსიქოლოგიური მომენტითაც იყოს განპირობებული.

“როდესაც საქმე სამხედრო ნაწილს ეხება, რომელიც დახურული კოლექტივია და ურთიერთობა პირად შემადგენლობაში დისციპლინის მოთხოვნებზეა აწყობილი, რა თქმა უნდა, დაძაბულობა უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ სამოქალაქო კოლექტივში. ვფიქრობ, შედეგი ამ მოთხოვნების სიმკაცრემაც გამოიწვია”, – აცხადებს მელითაური.

რაც შეეხება ჯარისკაცის გარდაცვალების ვერსიებს, მელითაური ფიქრობს, რომ შესაძლოა, მახარაშვილს ამხანაგებთან ჰქონდა კონფლიქტი. თუმცა მისივე თქმით, ასეთ შემთხვევებს თავდაცვის უწყება მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს, რათა მსგავსი ფაქტები არ მოხდეს.

“ბევრ ვერსიაზე შეიძლება საუბარი, მაგრამ ეს გამოძიების პრეროგატივაა და კონკრეტულად ვერ ვილაპარაკებ. არ არის გამორიცხული, ამ პიროვნებას კონფლიქტი ჰქონოდა თავის ამხანაგებთან, ან თავი პირადი მოტივით მოეკლა.

“რამდენიმე წლის წინ გვქონდა შემთხვევა, როცა ჯარისკაცმა თავი მოიკლა შეყვარებულის გამო. მან წერილი დატოვა და შეყვარებულს აბრალებდა თავის სიკვდილს.

ვფიქრობ, თავდაცვის უწყებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს პირად შემადგენლობასთან მუშაობას, ანუ ურთიერთობა არამარტო დისციპლინაზე უნდა იყოს დამყარებული, არამედ უნდა ტარდებოდეს შესაბამისი ფსიქოლოგიური ტრენინგები, რათა მსგავსი ფაქტების არიდება მოხდეს”, – აცხადებს მელითაური.

მისივე თქმით, ის დაძაბულობა, რომელიც სამხედრო სამსახურისათვის ნორმალურია თავისი სირთულეებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური მუშაობის შედეგად უნდა შემცირდეს.”

მელითაური ამბობს, რომ შესაძლოა ფაქტი დაუდევრობითაც მოხდა, რაც დაქვეითებული დისციპლინის შედეგია.

“როცა უბედური შემთხვევა გაუფრთხილებლობით ხდება, ამ დროს არამარტო დისციპლინარული, არამედ სისხლის სამართლის საქმეც დგება. რაც იმის მანიშნებელია, რომ სამხედრო ნაწილში სათანადო სამუშაო ოფიცრების და ხელმძღვანელების მხრიდან არ ტარდება. დაუდევრობა დაქვეითებული დისციპლინის შედეგად ხდება. ეს კი მეთაურების პრობლემაა, ისინი არიან არასათანადო დონეზე”, – აცხადებს მელითაური.

“თავისუფალი საქართველოს” კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი ჯარისკაცის გარდაცვალებას სამხედრო ბაზებზე ბოლო პერიოდში გამკაცრებულ ზეწოლებს უკავშირებს და ამბობს, რომ ჯარისკაცებზე სამხედრო პოლიციის თანამშრომლები ტერორს და შანტაჟს ახორციელებენ.

“თითქმის ყველა სამხედრო ბაზასთან მაქვს ურთიერთობა და ვიცი, რომ იქ შესულები არიან სამხედრო პოლიციის თანამშრომლები, რომლებსაც კონკრეტული დავალებები აქვთ მიცემული.

ზომების გამკაცრება თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცვლილებამ გამოიწვია. თქვენ იცით რომ სერიოზული სამხედრო ბაზებია თელავში, პალდოში და ვაზიანში. აქედან რა ინფორმაციაც გამოდის არის ის, რომ სერიოზული ტერორი და შანტაჟი დაიწყო როგორც ჯარისკაცებზე, ასევე საკონტრაქტო სამსახურში მყოფ პირებზეც”, – აცხადებს მოსიაშვილი.

მისივე თქმით, უმცროს მეთაურთა შემადგენლობაში ისეთი სერჟანტები დააწინაურეს, რომელთა მიმართაც სისხლის სამართლის საქმეები იყო აღძრული.

“ამ პირებს სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმები ჩამოაწერეს და სამხედრო ნაწილებში დააბრუნეს. მათი მთავარი დავალება საკონტრაქტო სამსახურში მყოფი ჯარისკაცებზე ზეწოლის მოხდენაა. ცდილობენ ისინი ტერორით და წნეხით ჰყავდეთ ფორმაში, რათა მათ ხელისუფლების მიმართ სხვა შეხედულებები არ გამოხატონ.

ის, რომ გარდაცვლილი ჯარისკაცი ამ შემთხვევამდე სხვა ნაწილში გადაყვანას სთხოვდა მშობლებს, ირიბად ადასტურებს იმას, რომ სამხედრო ნაწილში არ იყო ის სიტუაცია, რაც უნდა ყოფილიყო. არ მიკვირს, რომ მშობლებმა და ოჯახმა ამ საქმის გამოკვლევის თავისი სტრატეგია შეცვალა. ვფიქრობ, მათზეც განახორციელეს ზეწოლა”, – აცხადებს მოსიაშვილი.

მისივე თქმით, როდესაც ჯარში არ არის პროფესიონალი კადრები, ამ ყველაფერს შემდეგ გაგრძელებები მოსდევს და მსგავს შედეგებამდე მივყავართ.

“შესაძლოა, “ნაციონალური მოძრაობის” ერთგული ადამიანი მიიყვანონ სამხედრო ნაწილში, მაგრამ ის პროფესიონალი არ იყოს. ასეულობით პროფესიონალი მოსამსახურეა დათხოვილი თავდაცვის უწყებიდან სწორედ იმიტომ, რომ “ნაციონალურ მოძრაობას” მხარს არ უჭერდა. თავდაცვის უწყება რომ პოლიტიზებულია ყველამ ვიცით.

იმის მტკიცება, რომ ვიდაცამ ეს განზრახ ჩაიდინა, არ შეიძლება, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციაა, რომ უზრუნველყოს ყველა საჯარისო თუ არასაჯარისო ფორმირებების სამუშაო გარემოს უსაფრთხოება, რასაც აშკარაა, რომ ვერ ახერხებს”, – აცხადებს მოსიაშვილი.

გაზეთ **“რეზონანსის”** ჟურნალისტები საქართველოს სახალხო დამცველის ოფისსაც დაუკავშირდნენ, თუმცა როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გვითხრეს, ჯარისკაცის გარდაცვალების მიზეზებზე ექსპერტიზის დასკვნის გამოქვეყნებამდე კომენტარის გაკეთება არ შეუძლიათ.

შეგახსენებთ, რომ 2007 წელს ქუთაისის მე-3 ბრიგადაში ლევან სონღულაშვილი გარდაიცვალა, სამხედრო პოლიციის ვერსიით ჯარისკაცმა თავი მოიკლა, თუმცა ოჯახი ამბობდა, რომ სონღულაშვილი გარდაცვალებამდე სასტიკად იყო ნაცემი და ტყვიით იყო მოკლული. ამავე წლის 13 ივლისს ზემო აფხაზეთში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაწვეული 21 წლის ჯარისკაცი ლევან ნათათრალიშვილი გარდაიცვალა. მანამდე კი, თავდაცვის სამინისტროს უფლისციხის სამხედრო ნაწილში გაუფრთხილებლობით იქნა მოკლული 19 წლის გიორგი მუმლაძე.

თ. კაკაურიძე

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

ტატიანა გოლიკოვამ მაღალი შეფასება მისცა აღდგენილ ობიექტებზე კომპლექსური გეგმის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს

რუსეთის ფედერაციის თანაშემწემ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური დახმარების საკითხებში ტატიანა გოლიკოვამ მაღალი შეფასება აღდგენილ ობიექტებზე ჩატარებულ აღდგენით სამუშაოებს, რაც გათვალისწინებული იყო ამ რესპუბლიკათა 2010-2012 წლების სოციალურ-ეკონომკური ხელშეწყობის კომპლექსური გეგმით. მან პირადად აცნობა ამის თაობაზე ჟურნალისტებს ქალაქ სოხუმში ყოფნის დროს. კონკრეტულად, საუბარი იყო გალის რაიონის საბავშვო ბაღზე, ოჩამჩირის კულტურის სახლზე და სკოლა-ინტერნატზე, სოხუმის აფხაზურ და რუსულ თეატრებზე და სხვა.

"გალში, ოჩამჩირესა და სოხუმში ჩვენ დავათვალიერეთ სოციალური ობიექტები, რომლებიც მალე ჩადგებიან მწყობრში და ასევე ის ობიექტებიც, რომლებიც საჭიროებენ რეკონსტრუქციას ან კაპიტალურ შეკეთებას. ჩვენ ადგილზე გადავწყვიტეთ, რომ უახლოეს პერიოდში დავამთავროთ მიმდინარე სამუშაოები, რომელიც 3-4 წელიწადზეა გათვლილ ახალი კომპლექსური გეგმით, რომელიც ასევე მოიცავს ახალ ობიექტებს. რაც შეეხება სარემონტო სამუშაოების ჩატარებას აღდგენილ ობიექტებზე, ისინი შესრულებულია მაღალხარისხიანად, – აღნიშნა გოლიკოვამ, **– მე ვფიქრობ, რომ ამ ობიექტებზე დასაქმებული ადამიანები ბედნიერები იქნებიან. ეს განსაკუთრებით საბავშვო ბაღს ეხება, რომლის შიდა ანტურაჟი სავსებით მორგებულია პაწიების გემოვნებას, რაც, ჩემის აზრით, მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ ცალკეული წარმატება არ გვაძლევს ხელების ჩამოშვების უფლებას, წინ კიდევ უფრო მეტი სამუშაოებია, რაც ასევე მაღალხარისხოვნად უნდა შესრულდეს".**

გოლიკოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი კვლავაც გაუწევს რესპუბლიკებს ფინანსურ და ორგანიზაციულ-მეთოდურ დახმარებას. **"ჩვენ დღეს სპეციალურად ჩამოვიყვანეთ სპეციალისტების დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიან პედაგოგები, მედიცინის დარგის მუშაკები, ეკონომისტები, ფინანსისტები, რომლებიც დაეხმარებიან თავიანთ აფხაზ კოლეგებს პროფესიულ სრულყოფაში და ოპერატიულად აღმოუჩენენ მათ დახმარებას კონკრეტულ საქმიანობაში",** – აღნიშნა ქალბატონმა ტატიანა გოლიკოვამ.

ასევე დადებითი განწყობა შეექმნათ სტუმრებს რუსული და აფხაზური თეატრების დათვალიერებისას.

"აფხაზეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში აღდგენილია ისტორიული რეალობა. ვფიქრობ, რომ აქ მაყურებელთა რაოდენობა მოიმატებს არა მხოლოდ საინტერესო სპექტაკლების დადგმის მიზეზით. აქ მოვლენ ადამიანები, რათა იხილონ მთელი ეს შიდა სილამაზე. ეს უკვე კულტურაა, კულტურა კი ახალგაზრდების აღზრდის შეუცვლელი შემადგენელია", – თქვა გოლიკოვამ შენობის დათვალიერების შემდეგ.

ვიზიტის დასრულებამდე სტუმრებმა ასევე დაათვალიერეს გაგრის შემოსავლელი გზის მშენებლობა და ასევე კმაყოფილება გამოთქვეს სარემონტო-საამშენებლო სამუშაოების მაღალხარისხიანად ჩატარების გამო.

ალექსანდრე ანქვაბი: "სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა გამოეკიდონ გაუმჯობესებულ მონაცემებს დანაშაულების მიჩქმალვის გზით"

აფხაზეთის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა მიიღო რესპუბლიკის პროკურორი საფარბეი მიქანბა, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი ჯამალ გოგია, შინაგან საქმეთა მინისტრი ოთარ ხეცია და შინაგან საქმეთა სოხუმის სამმართველოს უფროსი მურმან გეგია.

პრეზიდენტი დაინტერესდა ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობით, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში და, და სამართალდამცავი ორგანოების დანაშაულთან ბრძოლის შედეგებით. კერძოდ, როგორ ხდება ყაჩაღობის, ქურდობის და სხვა დანაშაულობათა აღკვეთა.

სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა მურმან გეგიამ აღნიშნა, რომ სოხუმის ხალხმრავალ ადგილებში აქტიურად მიმდინარეობს პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, რომელშიც მონაწილეობენ სამართალდამცავთა დიდი ძალები. **"ჩვენი ძალებს მიერ სოხუმში გაუვნებელყოფილია სამი დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად არასრულწლოვანებით იყო დაკომპლექტებული. რა თქმა უნდა, ჩვენ მათ გავესაუბრეთ, მკაცრად გავაფრთხილეთ და გავანთავისუფლეთ",** – აღნიშნა მურმან გეგიამ.

– თუ ისინი 13-14 წლისანი არიან და მათ ჰყავთ მშობლები, თუ არის სკოლა და საზოგადოება, ამის თაობაზე დაუფარავად და ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ. როგორც არაერთგზის დავრწმუნებულვართ, დანაშაულის ფაქტების მიჩქმალვას სასურველი შედეგი არ მოაქვს, – აღნიშნა ალექსანდრე ანქვაბმა. პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამართალდამცავები არ უნდა იყვნენ დაინტერესებული მხოლოდ წარმატების მაჩვენებელ ციფრებზე დევნით.

"ჩვენ არასოდეს მოგცემთ ამგვარ დავალებას. დანაშაულის ყველა შემთხვევა პუნქტუალურად უნდა იყოს აღნუსხული. ამას ზედამხედველობა უნდა გაუწიონ გენერალურმა პროკურატურამ და მისმა რაიონულმა ქვედანაყოფებმა. ეს ჩვენი საერთო ამოცანაა!" – დაასკვნა ანქვაბმა.

შეხვედრის მთავარი მაგისტრალური ხაზი გახლდათ ის, რომ სამართალდამცავებმა უნდა იმოქმედონ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში, რაც სამართალდარღვევებთან ბრძოლის საქმეში მომავალი წარმატების მიღწევის საწინდარი იქნება.

აფხაზეთის უშიშროების საბჭომ განიხილა გალში არსებული მდგომარეობა

სიტუაციას გალის რაიონში და საქართველო-აფხაზეთის საზღვრის ამ მონაკვეთის დაცვის საკითხებს მიეძღვნა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელიც აფხაზეთის პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის თავმჯდომარეობით გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ გალის და ტყვარჩელის რაიონების ხელმძღვანელები, რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების უფროსები, საპასპორტო-სავიზო სამსახურთა ხელმძღვანელები.

აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსის ასლან ბჟანიას ინფირმაციით, უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა ოპერატიული მდგომარეობა გალის რაიონში, რაც ხასიათდება ისეთი მძიმე დანაშაულთა რისხვის ზრდით, როგორიცაა: ტერორისტული აქტები, დივერსიები აფხაზეთის ძალოვანი უწყებების თანამშრომელთა წინააღმდეგ, შეიარაღებული თავდასხმები, მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა, მკვლელობები, ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით.

2012 წლის დასაწყისიდან მოკლულია 8 ადამიანი, მათ შორის სამი სამართალდამცავი.

აფხაზეთის უშიშროების საბჭოს ხელთ არსებული ინფორმაციებით დასტურდება, რომ ეს აქციები ტარდება საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უშუალო ხელმძღვანელობით.

ასლან ბჟანიამ აღნიშნა, რომ ამ მიზნით გამოიყენებიან ქართული ტერორისტული ორგანიზაცია **"ტყის ძმების"** ყოფილი წევრები, რომელთაც ადგილსამყოფელი ზუგდიდის რაიონში მდებარეობს.

საბჭოს წევრებმა განიხილეს დამატებითი ხუთი პუნქტი, რომელიც ამოქმედდება საქართველო-აფხაზეთის საზღვრის გადაკვეთის მსურველთა მიმართ.

"საჭიროა იმის ლეგალიზება, რაც უკვე არსებობს", – აღნიშნა ალექსანდრე ანქვაბმა.

მან განაცხადა, რომ მითითებული პუნქტების დამატება გამორიცხავს საზღვარზე კონტრაბანდისტული ტვირთების მოძრაობას.

ანქვაბი: „აფხაზეთში საქართველოს მხრიდან დივერსიებზე რეაგირების შტაბი შეიქმნა"

გალის რაიონში, ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთის ხელისუფლებამ სპეციალური შტაბი შექმნა. ამის შესახებ სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა. მისი თქმით, იქ განლაგდება საქართველოს მხრიდან დივერსიულ ქმედებებზე რეაგირების შტაბი.

იმის გათვალისწინებით, რომ გალის რაიონში კრიმინოგენურად რთული ვითარებაა, ანქვაბმა განაცხადა, რომ გაიზრდება გალის რაიონში დისლოცირებული რეგულარული სპეციალური დანიშნულების მომსახურეთა რიცხვიც.

„ეს არის ბრძოლისუნარიანი, გაწვრთნილი, ჩამოყალიბებული და ძლიერი ქვედანაყოფი, რომელიც მზად იქნება, რეაგირება მოახდინოს საქართველოს მხრიდან ყველა გამოწვევაზე".

პარალელურად, რაიონის სამართალდამცავი ორგანოები კრიმინალურ ელემენტებთან ბრძოლის კუთხით პროფილაქტიკურ სამუშაოებს ჩაატარებენ. **„ჩვენ უკვე გასულ წელს დავიწყეთ ბრძოლა გამოძალვისა და რეკეტის წინააღმდეგ",**– განაცხადა ანქვაბმა.

რაც შეეხება სახელმწიფო საზღვრის მოწყობას, წლის ბოლოსთვის **„საზღვარი ტექნიკურად იქნება დაცული ელექტრონული და სხვა შესაბამისი მოწყობილობებით",**– განაცხადა ანქვაბმა.

მისივე თქმით, გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ნათესავები საქართველოს მხარეს ჰყავთ და აქვთ სურვილი, ჰქონდეთ მათთან ურთიერთობა, დაუშვებელია ბიუროკრატიული მიდგომა.

მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საშვებისა და ნებართვების გაცემა, მკაცრი აღრიცხვიანობის ფორმის შესაბამისად, სოფლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელების მიერ მოხდება.

აფხაზეთის წარმომადგენლები მონაწილეობენ მსოფლიო მედიის მოსკოვის სამიტის მუშაობაში

აფხაზეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი მანანა გურგულია, აფხაზეთის სახელმწიფო ტელერადიოკომპანიის გენერალური დირექტორი ალხას ჩოლოქუა და აფხაზეთის მედიაკლუბ **"აინარის"** პრეზიდენტი ზურაბ არგუნი მონაწილეობენ მსოფლიო მედიის მოსკოვის სამიტის მუშაობაში.

ორდღიანი სამიტი, რომელშიც მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 103 ქვეყნის 300-მდე მედიასაშუალების ხელმძღვანელი, მოსკოვში გაიხსნა **"იტარ-ტასის"** ინიციატივით.

სამიტის მუშაობაში მონაწილეობდნენ ავტორიტეტული მსოფლიო მედიასაშუალებები: **"ასოშიეტედ პრესი", "ბი-ბი-სი", "როიტერი", "ენ-ბი-სი", "ალ-ჯაზირა", "კიოდო", "სინხუა", "მენა"** და ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციები, როგორიცაა იუნესკო, ევროპარლამენტის დელეგაცია და ცხრა საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

"მსოფლიოს მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა სოლიდარული პოზიცია თანამედროვეობის უამრავი პრობლემის გადაწყვეტის საშუალება იქნება, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, როცა სამიტის მონაწილეებს მიესალმა, – **სწორედ საინფორმაციო რესურსები განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკაში დღევანდელ და ხვალინდელ დღეს, ეკონომიკასა და ცხოვრების ყველა სფეროში".**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობის აუცილებლობის თაობაზე ილაპარაკა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა. **"მთავარია, რომ გაზეთებმა, ტელე და რადიოარხებმა, ქსელურმა რესურსებმა შესძლონ საზოგადოებისათვის სასარგებლო დამოუკიდებლად საქმიანობა, ობიექტურად გააშუქონ მიმდინარე მოვლენები, ობიექტურად ასახონ შეხედულებები და პოზიციები, ხელი შეუწყონ კულტურული სახესხვაობების შენარჩუნებას და ჰუმანური ფასეულობების განუხრელ წინსვლას,"** – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მისალმებაში.

"სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ჟურნალისტების დასაცავად, დაუნდობლად უნდა ებრძოლონ დაუსჯელობის სინდრომს და აღადგინონ სამართლიანობა" – ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პან გი მუნის მისალმებაში. მან შეახსენა სამიტის მონაწილეებს, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დაიღუპა 500 ჟურნალისტზე მეტი, უფრო მეტი ჟურნალისტი დაპატიმრებულია, ან იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ იმიტომ, რომ მათ დაუფარავად აშინებდნენ.

რუსეთის სახელმწიფო დუმის თავმჯდომარემ სერგეი ნარიშკინმა სამიტის მინაწილეების წინაშე დააყენა საერთაშორისო წესების შემუშავების საკითხი, რომელზეც აიგება სახელმწიფოსა და მასმედიის დამოკიდებულება. მისი აზრით, **"სახელმწიფო უნდა იყოს არა მხოლოდ გამჭვირვალე მასმედიის მიმართ, არამედ აქტიური პოზიცია უნდა დაიკავოს მედიასაშუალებებთან დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის". ამასთან, ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს მოქალაქეების, მათ შორის მედიასაშუალებების წარმომადგენელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა",** – ხაზგასმით აღნიშნა სერგეი ნარიშკინმა.

დღეს, მთელ მსოფლიოში ელექტრონული მედიასაშუალებების განვითარების ფონზე ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ინფორმაციების უტყუარობას და საიმედოობას, აღნიშნა **"როიტერის"** სააგენტოს ხელმძღვანელმა სიუზან ტეილორმა. **"მე ვთვლი, რომ დღეს ეს ჩვენი მთავარი გამოწვევაა და ამიტომაც უნდა დავფიქრდეთ საკუთარ როლზე სამყაროს მედიასივრცეში, რა სახის ინფორმაცია უნდა ჩვენი პროდუქციის მომხმარებელს",** – თქვა მან.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ "ᲤᲔᲡᲢᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲡ" ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ

ეს წერილი მოკლედ განიხილავს იმ ვითარებას, რომელიც ახლდა 1908 წელს ლუიჯი პერნიეს მიერ კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში, აღმოჩენილი ე. წ. ფესტოსის დისკოს შესწავლას, შეფასებასა და მისი წარწერის დეშიფრირების ცდებს, სანამ ამ დისკოს ტექსტს პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე ამოიკითხავდა მათემატიკოსი გია კვაშილავა.

ვეცდები, ერთის მხრივ, ვაჩვენო, თუ რამ დააბრკოლა მთელი ამ დროის განმავლობაში ფესტოსის დისკოს ტექსტის დეშიფრირება. ამას გარდა, წარმოვადგენ ჩემს მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა პოსტულატებისა და თეორიული წანამძღვრების წარმოდგენით შეძლო გ. კვაშილავამ დისკოს ტექსტის ამოკითხვა. აქ ზოგადად ვიტყვი, რომ მათემატიკოსმა გ. კვაშილავამ გადაჭრა მანამდე გადაუწყვეტელი საკითხები, წარმოადგინა ფესტოსის დისკოს პრობლემისადმი ახლებური მიდგომა და შექმნა სრულიად ახალი, ზოგადი სახის ალგორითმი ტექსტის წასაკითხად.

უკვე 100 წელია, რაც მე-20 საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკო მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ამ დროის განმავლობაში 16-სანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე დისკოსთან დაკავშირებით სპეციალისტები მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, რომ დისკოს ორივე მხარეს დაბეჭდილია გარკვეული სახის ტექსტი, თუმცა თვით ამ ტექსტის რაგვარობის თაობაზე მრავალი სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

2008 წლის შემოდგომაზე ლონდონში ფესტოსის დისკოსადმი მიძღვნილმა საგანგებო კონფერენციამ ერთგვარად შეაჯამა დისკოს კვლევის ყველა შედეგი, ცხადად წარმოაჩინა მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები და შეხედულებათა მრავალფეროვნება.

გადაუჭრელ საკითხთა ისეთი სიმრავლე და სირთულე გამოჩნდა კონფერენციაზე, რომ ლამის უკვე დაბეჯითებით გამოცხადდა, რომ მკვლევართათვის ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია; კონფერენციის ორგანიზატორმა ჯ. აიზენბერგმა დასვა შეკითხვა: ხომ არ არის დისკოს წარწერა ნიშნების ნებისმიერად დაბეჭდვით შექმნილი ნაყალბევი?

მაგრამ ამ მოსაზრებამ ვერ პოვა მხარდაჭერა, რამდენადაც წაუკითხავი წარწერაც კი ნიშნების განაწილების ისეთ კანონზომიერებასა და სიმეტრიას ავლენს, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა მხოლოდ ის არის ცხადი, რომ ეს ტექსტია, არამედ ფესტოსის დისკოს ტექსტის რაგავარობაზეც მეცნიერთა ჯგუფმა ერთნაირი ზოგადი ვარაუდიც გამოთქვა. კონფერენციის დასასრულს 29 რეგისტრირებული მონაწილიდან 20-მა დისკოს წარწერის ავთენტურობას დაუჭირა მხარი, 5-მა – თავი შეიკავა, ხოლო 4 მონაწილე ფიქრობს, რომ ტექსტი ნაყალბევია. ამდენად, ფესტოსის დისკოს წარწერა ნამდვილ ტექსტად გამოცხადდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოგვიანებით კრეტაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაზე – არკალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე არსებული წარწერები იმეორებს დისკოს ნიშნებს და, როგორც უკვე ვიცით (კვაშილავა გ. 2008, 230-233), მათი ამოკითხვაც იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება, რასაც თვით დისკოს წარწერა.

ქვემოთ მოკლედ შევეხები რამდენიმე კონკრეტულ საკითხს.

I. ᲤᲔᲡᲢᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ა. წარწერის შესრულების ტექნიკური მხარე

აღიარებულია, რომ წარწერა შესრულებულია ოქროსაგან საგანგებოდ დამზადებული **«საბეჭდი ქვებით»,** როდესაც ერთი და იგივე ყალიბი იმდენჯერ გამოიყენა მბეჭდავმა, რამდენჯერაც გვხვდება მოცემული ნიშანი დისკოზე, ამ თვალსაზრისით ფესტოსის დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში ჯერჯერობით ცნობილ ყველაზე ძველ ნაბეჭდ ტექსტს. თუ ფესტოსის დისკო, როგორც ვარაუდობენ, ძველი წელთაღრიცხვის 1850-1700 წლებით თარიღდება, იგი გუტენბერგის მიერ დაბეჭდილ პირველ ევროპულ წიგნებს (1440-1445 წ.წ.) დაახლოებით 3300 წლით უსწრებს წინ.

წარწერის შესრულების ტექნიკასთან დაკავშირებით საინტერესოა გერმანელი მკვლევარის – დ. რუმპელის (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008) მიერ დიუსელდორფში ჩატარებული სამუშაო. მან თვითონ დაამზადა დისკოზე აღბეჭდილი ქალღმერთის მსგავსი ოქროს ყალიბი და ამ ყალიბით თიხაზე დაბეჭდა გამოსახულება, შემდეგ თიხა გამოწვა (ანუ მან, ფაქტობრივად, გაიმეორა დისკოს ტექსტის შექმნის პროცესი). დ. რუმპელის მიერ დაბეჭდილი გამოსახულება გამოწვის შემდეგ უფრო ნატიფი და მკვეთრი გახდა.

მისი აზრით, ოქროს აქვს თიხაში შედწევის ქიმიური თვისება, რითაც იქმნება მტკიცე შენაერთი, რომელსაც შეუძლია საუკუნეები გაძლოს. ლ. გოდარი თვლის, რომ თიხაზე ოქროს ყალიბებით ბეჭდვა საერთოდ ბეჭდვის ყველა სხვა საშუალებაზე უფრო გამძლე და მტკიცეა. დ. რუმპელის მიერ სხვა მეტალის ყალიბით დაბეჭდილი გამოსახულებები არ გამოდგა ასეთი მკვეთრი – ისინი გაფუჭდა და დაიფშვნა.

როგორც ცნობილია, კოლხური წარმოშობის მქონე კორიბანტები ფლობდნენ წერის სპეციფიკურ ხელოვნებას, რომელსაც ძველი ბერძენი ავტორები **«ოქროთი წერას»** (ოქროდამწერლობას) უწოდებდნენ. კორიბანტებმა ამ ხელოვნებით შექმნილი წარწერები ჩაიტანეს კრეტაზე და ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებზე. ოქროთი წერის ამ ტექნიკის აღწერა ვერძის ტყავზე იყო აღწერილი; ქართველ მკვლევართა აზრით (მაგ., ინგოროყვა პ. 1939, 169-170), სავარაუდოდ, სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხელოვნების ამოსაცნობად ჩამოვიდნენ არგონავტები კოლხეთში.

ბ. ფესტოსის დისკოს ნიშნების გრაფიკა და თვისებრიობა

აღიარებულია, რომ ფესტოსის დისკოს ნიშნები არის ლოგოგრამები და სილაგოგრამები, ანუ ეს არის სილაბურ-ლოგოგრამული დამწერლობით შესრულებული ტექსტი.

ფესტოსის დისკოს ნიშნების გრაფიკული მახასიათებლების ტიპოლოგია, ამ ნიშნების გრაფიკული მსგავსება სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან ადრეც შეისწავლებოდა.

სპეციალისტების აზრით, დისკოს ნიშნები აშკარა მსგავსებას ავლენს მინოსური და ხაზოვანი დამწერლობების, აგრეთვე, კრეტული იეროგლიფური დამწერლობის ნიშნებთან (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008). გ. ოუენსი თვლის, რომ მ. ვენტრისის მიერ მიკენური პერიოდის ბერძნულით ამოკითხული ხაზოვანი წარწერის ნიშანთა ფონეტიკური მნიშვნელობებით შესაძლებელია ფესტოსის დისკოს ზოგიერთ ნიშანთა ფონეტიკური წაკითხვაც. აგრეთვე, ფიქრობენ (დ. რუმპელი. იხ. კონფერენციის თეზისები, 2008), რომ ფესტოსის დისკოს ნიშნების ფონეტიკური შედარება ხაზოვანი წარწერის სტრუქტურებთან დიდი ალბათობით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ფესტოსის დისკოზე წარმოდგენილი სილაბური ნიშნები ღია მარცვლებს წარმოადგენს.

ბ. ფესტოსის დისკოს წარწერის წაკითხვის მიმართულება

მნიშვნელოვანია ფესტოსის დისკოს სპირალური ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა; ამ საკითხზე ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული.

ეს სხვადასხვაობა ჩანდა ამ საკითხის გადაწყვეტაში ლონდონის 2008 წლის საერთაშორისო კონფერენციაზეც, მაგრამ ახლა შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საერთო დასკვნა მაინც ის არის, რომ წაკითხვა სპირალის ცენტრიდან გარეთ უნდა იყოს მიმართული. მკაფიოდ დასაბუთდა გია კვაშილავას მტკიცებულება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების თაობაზე ტექსტის ცენტრიდან გარეთ წაკითხვის შესახებ (ამაზე უფრო დაწვრილებით – ქვემოთ). უნდა ითქვას, რომ კითხვის მიმართულების გასარკვევად საკმაო მასალა ჰქონდათ ხელთ მკვლევარებს, მაგრამ ეს საკითხი მაინც საკამათოდ იყო მიჩნეული.

დ. ფესტოსის დისკოს ტექსტის შესახებ

თავისი აღმოჩენის შემდეგ ფესტოსის დისკო მტკიცედ ინახავდა წარწერის საიდუმლოებას ერთი საუკუნის განმავლობაში. არსებობს მრავალი ვერსია იმის თაობაზე, თუ რას ეხება ტექსტი. მაგალითად, ვარაუდობენ, რომ ეს არის პროტო-ბიბლიური ტექსტი, უძველესი მიკენური საზღვაო კალენდარი, სასოფლო-სამეურნეო კატასტროფის აღწერა და სხვა მრავალი (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008).

მაგრამ ართურ ევანსის მიმდევრები (მკვლევართა დიდი ნაწილი) ფიქრობენ, რომ ტექსტი წარმოადგენს ჰიმნს ან სხვა სახის რელიგიურ ტექსტს. უფრო მეტიც, ნ. რიდი, მაგალითად, თვლის, რომ ტექსტის ორი მხარე ერთმანეთისაგან განსხვავებულია (და დაკავშირებულიც) იმით, რომ მხარეზე მიმართავენ ან ხოტბას ასხამენ ერთ ღვთაებას, ხოლო მხარეზე კი – მეორე ღვთაებას (იხ. კონფერენციის თეზისები, 2008).

ნ. რიდი ამბობს, რომ ბეჭდვის დროს ფესტოსის დისკოზე 16-ჯერ მოხდა ნაბეჭდის ჩასწორება: მბეჭდავმა საგულდაგულოდ წაშალა და გაასწორა ნაბეჭდი ნიშნები, რამდენადაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექსტის გამიზნული შინაარსის ზუსტი გადმოცემა. ამის საფუძველზე, მეცნიერის აზრით, არა მხოლოდ დასტურდება ტექსტის ავთენტურობა, არამედ ისიც, რომ ეს არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი ან, იქნებ, კანონიკური ტექსტი, რომელშიც დაუშვებელი იყო შეცდომა, ნიშნების შეცვლა, გადასმა და ა.შ.

ტექსტის განსაკუთრებულ ღირებულებას და მისი ორივე მხარის ერთიან ტექსტად განხილვის აუცილებლობას ადასტურებს ისიც, რომ წარწერისათვის დისკოს ორივე მხარეა გამოყენებული, რაც გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული. თიხის დისკოს ორივე მხარეს ბეჭდვას, ცხადია, ზედმეტი ტექნიკური სიძნელეები უნდა შეექმნა მბეჭდავისათვის.

ახლა შეგვიძლია ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ფესტოსის დისკოს ტექსტი სხვადასხვა თვალსაზრისით იყო შესწავლილი მრავალი გამოჩენილი მკვლევარის მიერ, მისი ამოკითხვა ვერა და ვერ მოხერხდა. გ. კვაშილავას მიერ ტექსტის ამოკითხვამდე მიღებული ყველა დასკვნა ეხებოდა მხოლოდ ტექსტის ნიშანთა გრაფიკულ დახასიათებას, ნიშანთა განაწილებასა და გამოჩენის სიხშირეს, გრაფიკული პარალელების ძიებას, ზოგი ნიშნის შესაძლო ფონეტიკურ გაჟღერებას.

ყოველივე ეს, ცხადია, ტექსტის შინაარსის ცოდნის გარეშე ხდებოდა, კვლევა ერთგვარად **«ადგილზე იტკეპნებოდა»**, ანუ დისკოს აღწერისა და შესწავლის პროცესში არ მომხდარა ტექსტის ამოკითხვისთვის საკმარისი და საჭირო თვისებრივი სიახლე, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტს იკვლევდნენ, როგორც ვთქვით, გამოჩენილი მეცნიერები და ანალიზური კვლევის დიდოსტატები (მაგ., ე. კობერი).

თვითონ წარწერის გარკვეული ვიზუალური სისადავე და სილამაზე არის, ალბათ, იმის მიზეზი, რომ მეცნიერები განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებიან ფესტოსის დისკოს და იმ საიდუმლოსაც, რომელსაც, როგორც აქამდე ფიქრობდნენ, ისინი ვერასდროს ამოიცნობდნენ. როგორც ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე ითქვა, წარწერის მტკიცე ოქროს ყალიბებით შესრულება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მბეჭდავებს სურდათ მათთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დისკოს ტექსტი უსათუოდ დიდხანს (საუკუნეები) შენახულიყო, რაც ასეც მოხდა, მაგრამ მის წაკითხვას, სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთო.

მ. ვენტრისი და ჯ. ჩედვიკი ამბობდნენ, დისკოს ტექსტს ვერ ვკითხულობთ იმიტომ, რომ არ ვიცით, რა ენაზეა იგი შესრულებულიო. მათ ვერ მოახერხეს დისკოს ენის ამოცნობა. ერთადერთი, რაც მათ სრულიად მტკიცედ და ცალსახად განაცხადეს და რაც ყველა მკვლევარმა გაიზიარა, ის იყო, რომ დისკოს ენა არ არის ძველი ბერძნული (ამის თაობაზე, აგრეთვე, იხ. ყაუხჩიშვილი თ. 2002, 47, 51).

ე. მცირე დასკვნა

ახლა შევაჯამოთ ფესტოსის დისკოს კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები მისი ტექსტის ამოკითხვამდე პროტო-ქართველურ ენაზე:

1. ფესტოსის დისკოს წარწერა არის ტექსტი;

2. დისკოს ტექსტი წარმოადგენს მსოფლიოში პირველ ნაბეჭდ ტექსტს;

3. ტექსტის საბეჭდი ყალიბები ოქროსაგან იყო დამზადებული;

4. დისკოს ტექსტი შესრულებულია წერის სილაბურ-ლოგოგრამული სისტემით;

5. დისკოს სილაბური ნიშნები წარმოადგენდნენ ღია მარცვლებს;

6. დისკოს ნახატ-ნიშნებს გარკვეული გრაფიკული მსგავსება აქვს მინოსური და ხაზოვანი დამწერლობებისა და კრეტული იეროგლიური დამწერლობის ნიშნებთან; ასეთ ნიშნებთაგან რამდენიმეს აქვს, აგრეთვე, მსგავსი ფონეტიკური გაჟღერებაც;

7. ტექსტი რელიგიური ხასიათისაა და წარმოადგენს ჰიმნს;

8. ტექსტის ენა არ არის ძველი ბერძნული.

II. ᲤᲔᲡᲢᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ Გ. ᲙᲕᲐᲨᲘᲚᲐᲕᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ

1. ტექსტის ენის შესახებ

ცხადია, ზემოთ წარმოდგენილი მიღწევები მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი არასაკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ წაკითხულიყო ფესტოსის დისკოს ტექსტი. ამდენ ხანს წარმოებული ასეთი ზომის სამუშაოს მიუხედავად, დისკოს დეშიფრირებით დაკავებულმა ბრწყინვალე მეცნიერებმა მაინც ვერ ამოიკითხეს ტექსტი; ამის მიზეზად თვითონვე ასახელებდნენ იმას, რომ ვერ გაირკვა, რა ენაზეა შესრულებული ტექსტი.

მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო: ვარაუდი იმისა, რომ ტექსტის ენა კოლხურია, გამოითქვა 20-22 წლის წინ.

ავსტრიელმა ინჟინერმა ჰ. ძებიშმა, შექმნა კომპიუტერული პროგრამა ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშნების სტატისტიკური მახასიათებლებისა და მათი განაწილების საფუძველზე; იგი დაინტერესებული იყო ფესტოსის დისკოთი და სურდა დაედგინა, რომელ ენაზეა შედგენილი ტექსტი. ამ პროგრამას ძებიშმა დაუკავშირა ყველა მისთვის ცნობილი ძველი ენა: უძველესი ბერძნული, ბიბლიის ებრაული, ძველი სლავური, სხვა ძველი აღმოსავლური ენები, მაგრამ ამაოდ, ეს ენები პროგრამას არ მიუდგა. წელიწადნახევარიანი ძიების შემდეგ ძებიში წააწყდა გამოკვლევას პროტო-ქართველური ენის შესახებ. შეიტანა მისი მონაცემები კომპიუტერში და აღმოჩნდა, რომ პროგრამამ **«უპასუხა»** მასალას – მარცვლების განაწილება ეთანადებოდა დისკოს ნიშნების განაწილებას.

ჰ. ძებიშმა გააგრძელა მუშაობა, დაიბეჭდა მისი შრომები და გამოიცა მისი წიგნები იბერიულ-კოლხური ენის შესახებ, რომელსაც იგი ევროპის უძველეს ენას უწოდებს (ბიბლიოგრაფიისათვის იხ. კვაშილავა გ. 2008, 307-308). თავისი შრომის შედეგები მან 1988 წელს ბუდაპეშტის კონგრესს (EIRENE) მოახსენა. ბუდაპეშტის მოხსენებაში ჰ. ძებიშმა განაცხადა, რომ ფესტოსის დისკო კოლხურ-იბერიულზეა დაწერილი.

ძებიშის თეორიამ ვერ პოვა გაგრძელება, ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურზე ამოკითხვის მიმართულებით სხვა კვლევა აღარ ჩატარებულა. მაგრამ დისკოს ტექსტი საბოლოოდ (2006 წელს) სწორედ ამ ენაზე ამოიკითხა მათემატიკოსმა გია კვაშილავამ.

2. ფესტოსის დისკოს ტექსტის წაკითხვის მიმართულება

მხოლოდ დისკოს ენის არცოდნა და ძებიშის ჰიპოტეზის უგულებელყოფა არ ყოფილა ტექსტის ვერ ამოკითხვის მიზეზი.

კვლევის დროს მეტისმეტი ყურადღება ენიჭებოდა ტექსტის წაკითხვის მიმართულებაზე მსჯელობას, რაც აქამდე მთავარ პრობლემად იყო მიჩნეული. ეს საკითხი **«მარტივად»** გადაწყვიტა გ. კვაშილავამ:

ფესტოსის დისკოს ტექსტის, როგორც ისე მხარეს სპირალის გარე ბოლო უჯრაში მოცემულია დასასრულის ნიშანი – ხუთი ვერტიკალური წერტილი. ამ ნიშნის თაობაზე ადრეც მსჯელობდნენ ა. ევანსი და ლ. გოდარი. გ. კვაშილავამ აჩვენა, რომ ამ წერტილების მნიშვნელობა კარგად დასტურდება სხვადასხვა წარწერებში (მაგ., კვიპროსული მარცვლოვანი, ძველბერძნული, ეტრუსკული და ძველი ქართული წარწერები). განკვეთილობის ნიშნები ივ. ჯავახიშვილის მიხედვით (ჯავახიშვილი ივ. 1949, 144-146; ყაუხჩიშვილი თ. 2002, 95, 50), ქართულ დამწერლობაში გამოიყენება VI საუკუნიდან, შემდეგ კი გიორგი მთაწმინდელთან, ეფრემ მცირესთან და სხვებთან.

გ. კვაშილავამ, აგრეთვე, გაითვალისწინა ვ. კეანის მოსაზრება დისკოს მხარის ცენტრალური ნახატ-ნიშნის – ვარდულის ერთ-ერთი მნიშვნელობის შესახებ, კერძოდ, ეს მნიშვნელობაა **«დასაწყისი»**. გ. კვაშილავას აზრით, სპირალის ცენტრი ვარდულით ტექსტის დასაწყისია და დისკოს მხარეზე ცენტრში მოთავსებული მთვარის ნიშნის სიმბოლოც დასაწყისის ნიშანია.

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ამრიგად, სულ რამდენიმე საათის განმავლობაში, ნიკიტა ხრუშჩოვმა **"სტალინის პიროვნების კულტის"** აღიარებით, იმდენად გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა რუსეთის მომავალს, რომ ანალოგიური დარტყმის მისაყენებლად, დასავლეთის სამყაროს, ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური პროპაგანდის ჩასატარებლად საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის წინააღმდეგ, მაშინდელი კურსით, რამდენადაც მესმის, ათეულ მილიარდობით დოლარიც კი არ ეყოფოდა.

საბჭოთა კავშირის პირწავარდნილი მტრებიც კი მხრებს იჩეჩდნენ. ინგლისის პრემიერმა უინსტონ ჩერჩილმა ასეთი აზრიც კი გამოთქვა, რომ ცოცხალმა ვირმა წიხლები დააყარა მკვდარ ლომს. და ამ შედარების დასტურად მისი მეორე გენიალური გამოთქმაც იკმარებდა: **"იოსებ სტალინმა ჩაიბარა კავის რუსეთი და დასტოვა რუსეთი ატომური ბომბით".**

თვით ჩერჩილიც კი აღშფოთდა... რაც შეეხება **"სტალინის"** მარშლებს, **"სტალინის"** სახალხო კომისრებს, **"ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფეებს"**, ისინი ან თავად ლანძღავდნენ სტალინს, ან ხელს არ უშლიდნენ სხვებს ამ საძრახის საქმეში.

გონებაში გავიაზრებთ რა სსრკ კომპარტიის XX ყრილობას, საკუთარ თავს ვუსვამთ შემდეგ შეკითხვას: **"რა საჭირო იყო ყოველივე ეს? რა საჭირო იყო ამგვარი საყოველთაო მასშტაბით "ჭურჭლის მსხვრევა"?** რეპრესიების შემდეგ ოცი წელი იყო გასული. მრავალმა რეპრესირებულმა ადამიანმა მოიშუშა ჭრილობები, უსამართლოდ დასჯილთა უარყოფითი ემოციებიც კი დადებითით შეიცვალა... შეიძლებოდა გამოცხადებულიყო საყოველთაო ამნისტია სტალინის ეპოქისა და თვით სტალინის ლანძღვის გარეშე.

პარტიის მეოცე ყრილობა ხომ შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა: იყო საქმიანი საანგარიშო მოხსენება, კამათი, დირექტივები ახალი ხუთწლედისათვის... და უცებ, ყრილობის დასრულებისას... (ყრილობის დახურვის შემდეგაც კი), ზარბაზანივით გავარდა აღიარება იმის თაობაზე, რომ იოსებ სტალინი დიდი ორგანიზატორი კი არა, დიდი **"სალახანა ყოფილა"**...

რით იყო განპირობებული ამგვარი თავშეუკავებლობა? ჯერ კიდევ 1956 წლის 9 თებერვალს სკკპ ცეკას პრეზიდიუმის სხდომაზე მოუწოდა ყველას კაგანოვიჩმა, რომ საქმეს ყოველგვარი ემოციის გარეშე მოჰკიდებოდნენ, რათა ქვეყნის **"30-წლიანი ეპოქის ავტორიტეტი არ შელახულიყო"**, კლიმენტი ვოროშილოვიც აფრთხილებდა ყველას, რომ **"ჩვენი ყოველგვარი შეცდომა ძვირად შეიძლება დაუჯდეს ქვეყანას..."**, ვიაჩესლავ მოლოტოვიც იგივეს ამბობდა და თვით შეპილოვიც კი თავაზობდა კოლეგებს: **"მოეფიქრებინათ ფორმა, რათა ქვეყანას ზიანი არ მიადგეს"**...

და უცებ – ასეთი ზიანი!

მაგრამ, უმიზეზოდ ცხვირზე მუწუკიც კი არ უჩნდება ადამიანს, და, მით უმეტეს, უმიზეზოდ არ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მოხსენება **"პიროვნების კულტის"** თაობაზე და მისი გაჟღერება მოსკოვში, 1956 წლის 25 თებერვალს. და ამასთან დაკავშირებით მე მოგახსენებთ ჩემს მოსაზრებას, შევახსენებ რა მკითხველს, რომ პოსპელოვმა და არისტოვმა **"პიროვნების კულტზე"** მოხსენების პროექტი ხრუშჩოვს წარუდგინეს 18 თებერვალს, როცა ყრილობდა უკვე მუშაობდა. მეორე დღეს ხრუშჩოვი **"კარნახობს"** საკუთარ **"დამატებებს"**, 23 თებერვალს კი მოხსენების შეჯამებულ 83-გვერდიან ტექსტს უგზავნის სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრებს, კანდიდატებს და ცეკას მდივნებს. ამ პროექტში პრეზიდიუმის წევრებმა შეიტანეს პრინციპული ხასიათის შენიშვნები და დამატებები და ტექსტის საბოლოო – 82-გვერდიანი ვარიანტი გაფორმდა ამ შენიშვნების გათვალისწინებით. მოხსენება 25 თებერვალს იქნა წაკითხული.

მაშ რა გამოდის? მოხსენების აუცილებლობის თაობაზე პრეზიდიუმის წევრები საუბრობდნენ 1 თებერვლიდან 9 თებერვლამდე, მაგრამ ყრილობის დაწყებამდე მოხსენების თეზისებიც კი ვერ მიიღეს. თავად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი მოხსენება **"იხილა"** მხოლოდ პარტიის ყრილობის გაგანია მუშაობის დროს, სკკპ ცეკას პრეზიდიუმის წევრები კი პრაქტიკულად მას გაეცვნენ ყრილობაზე წარმოდგენამდე ერთი დღით ადრე.

მაინც რაშია საქმე? ვინ იყო ის, ვინც თავიდან ანელებდა მოხსენების ტექსტის შედგენას, შემდეგ აჩქარებდა მოვლენებს, ერთიანობაში კი ყველაფერს ურევდა?

ხრუშჩოვის მიერ 19 თებერვალს გაკეთებულ **"დამატებებში"** იყო ერთი პასაჟი, რომელიც აშკარად არ გახლდათ დამახასიათებელი მისი სტილისა და ლექსიკისათვის:

"ავიღოთ ტროცკისტები. ახლა ჩვენ ამის თაობაზე შეგვიძლია მშვიდად ვისაუბროთ და ობიექტურად გავერკვეთ სიტუაციაში, იმიტომ, რომ მას გვაშორებს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული ეტაპი. ტროცკისთან ხომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ მემამულეებისა და ბურჟუაზიულ წრეებს, მათი ნაწილი იყო პარტიული ინტელიგენცია, ნაწილი კი წამოადგენდა მუშათა კლასს. მათ შორის იყვნენ ის ადამიანებიც, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციის გამარჯვების საქმეში და ამ გამარჯვების განმტკიცებაში...

(...)

ალბათ ადამიანები ბევრს იმუშავებენ და შეისწავლიან საარქივო მასალებს და დარწმუნდებიან, რომ ეს მასალები მოწყვეტილი არიან რეალობას, მიუკერძოებელი ისტორიკოსები საკუთარ თვალებს ვერ დაუჯერებენ, ისინი შეუდგებიან ფაქტების ძიებას, შეაჯერებენ ამ ფაქტებს, გააანალიზებენ და გააკეთებენ საკუთარ დასკვნებს.

(...)

ადამიანები შეისწავლიან პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებს, შეისწავლიან ჩვენს მოხსენებებს ამ ყრილობაზე, გააკეთებენ საკუთარ დასკვნებს და ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ მომავალმა თაობამ არ გაგვკიცხოს..."

განა საინტერესო მსჯელობა არ არის? თუმცა იგი აშკარად ვერ ჯდება ნიკიტა ხრუშჩოვის სტილში! და, ჩემის აზრით, ეს სტრიქონები (ისევე, როგორც კორნეი ჩუკოვსკის დღიურში ჩანაწერები **"ტროცკის შესახებ"** რეპლიკის თაობაზე) გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან, თუ რატომ ჩქარობდნენ ასე ფართხა-ფურთხით **"პიროვნების კულტის"** აღიარებას.

უპირველესად, ფარული ტროცკისტები, რომელთა რიგებში შედიოდა თავად ხრუშჩოვიც, ცდილობდნენ პოლიტიკური რევანში აეღოთ სტალინის ხსოვნაზე მაინც.

მეორე რიგში კი, რეაბილიტაციის ფართო და ხმაურიანი კამპანია საშუალებას იძლეოდა ხელისუფლებაში გზა გაკვალოდათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ენერგიულად იმუშავებდნენ **"სტალინიზმის"** დემონტაჟზე, სინამდვილეში კი დაანგრევდნენ სოციალიზმს. ამასთან, ეს კადრები შეივსებოდნენ არა მხოლოდ **"რეაბილიტირებულებით",** არამედ მათი პირმშოებითაც, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაშვება პირველი როლის თანამდებობებზე.

მესამეც – ნიკიტა ხრუშჩოვს სურდა უბრალოდ შური ეძიებინა სტალინზე. ამგვარი განწყობის შექმნის მსურველი კი მოსკოვში საკმაოზე მეტი მოიძებნებოდა.

მეოთხეც – გარდა ფარული ტროცკისტებისა, ხრუშჩოვის გარემოცვაში და თავად მოსკოვშიც მოიძებნებოდა სხვა ფარული ძალაც. და სოციალიზმის დასამხობად (უპირველესად – საზოგადოებრივ შემეცნებაში) ძალას არ იშურებდნენ გავლენის აგენტები. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების საკონტროლო ციფრები, რომლებიც მოყვანილი იყო პარტიის მეოცე ყრილობაზე, სავსებით რეალური გახლდათ. მიუხედავად პარტოკრატიის მზარდი არაკომპეტენტურობისა, მიუხედავად მისი ლპობისა, საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ აღმავლობის გზით მიდიოდა და ძალიან შორს და მაღლა შეეძლო სვლა. **"სტალინის პიროვნების კულტის"** დაგმობა კი ვითარდებოდა ტროცკისტულ-ხრუშჩოვისეული სქემით და ამზადებდა ტოტალურ კრახს, რაც, საბოლოო ჯამში, მოხდა კიდეც.

ჯერ, 1956 წელს, იყო **"სიტყვა",** 1985 წელს მოხდა **"საქმისათვის"** აუცილებელი პირობების ფორმირება, 1991 წელს კი პოლიტიკურმა მკვლელებმა ბოლო მოუღეს ერთ დროს მძლავრ საბჭოთა კავშირს.

რა უნდა გაეკეთებინა ხრუშჩოვს იმ შემთხვევაში, თუ იგი, როგორც კომპეტენტური პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწე, გადაწყვეტდა სტალინის ეპოქისათვის ობიექტური შეფასების მიცემას ყველა ასპექტში, მათ შორის რეპრესიებისა და სხვა გადაცდომებისათვის? თანაც, არა 1956 წელს, პარტიის მეოცე ყრილობაზე, არამედ დიდი ხნის ფიქრისა და აზრების გადახარშვის შემდეგ, თუნდაც 1957 წლის 7 ნოემბერს – ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავზე – მოეწყოთ საბჭოთა ერების წინაშე საერთო-სახალხო აღიარება.

აი, რა უნდა თქმულიყო: **"ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის მოქალაქე ქალებო და მამაკაცებო! ორმოცი წლის მანძილზე ჩვენმა სამშობლომ რთული და ძნელი გზა გაიარა. ქალამნის რუსეთიდან ჩვენ ვიქეცით სოციალისტურ რუსეთად. ჩვენ დავამარცხეთ შიდა კონტრრევოლუცია, ჩვენ შევძელით ტროცკიზმის ფსევდორევოლუციური განწყობისა და ბუხარინის მემარჯვენეობის აღმოფხვრა. სახნავი კავიდან ჩვენ ავედით კოსმოსის სიმაღლეებამდე. ჩვენ დავიცავით საბჭოთა ხელისუფლება ომის მძიმე წლებში და შემდეგ, ატომური ფარის გამოყენებით შევძელით სოციალიზმის მონაპოვარის დაცვა გარე მტრული ძალების შემოტევებისაგან.**

ყველაფერი ეს ჩვენ შევძელით ბოლშევიკების პარტიის წინამძღოლობითა და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მაგრამ ამ ბრძოლაში, პარტიისა და სტალინის ხელმძღვანელობით, დავუშვით რიგი შეცდომებისა, და ახლა, როცა ჩვენ უძლეველნი ვართ – დადგა დრო, რომ ამ შეცდომებზე ვილაპარაკოთ... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თვით ამხანაგ სტალინს სურდა ამ შეცდომებზე საუბარი, მაგრამ ვერ მოასწრო. და აი, ჩვენ, მისმა მოწაფეებმა და მისი საქმის გამგრძელებლებმა, გადავწყვიტეთ განვაცხადოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ გააფთრებულ ბრძოლაში ჩვენი მახვილი ხშირად პატიოსან მოქალაქეთა თავებზე დაეშვებოდა ხოლმე..." და ა.შ.

ამ მონანიების აუცილებლობის საკითხი პირველად, თანამოზრეთა ვიწრო წრეში, სწორედ სტალინმა წამოაყენა, როცა აღიარა, რომ **"ომმა გვიჩვენა, რომ მტერი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ჩვენ მოგვახსენებდნენ..." "უნდა მოვინანიოთ",** – წინადადება მისცა მაშინ სტალინმა კოლეგებს, მაგრამ მხარი არავინ დაუჭირა. და სტალინი მაშინ შეეცადა თავად მოენანიებინა ყოველივე, როცა 1945 წლის 24 მაისს, გამარჯვების აღლუმთან დაკავშირებულ ბანკეტზე რუსი ხალხის სადღეგრძელო წარმოთქვა.

მე სრულად მოვიყვან ამ სადღეგრძელოს ტექსტს:

"ამხანაგებო, ნება მომეცით წარმოვთქვა კიდევ ერთი, უკანასკნელი სადღეგრძელო.

მე მინდა წარმოვთქვა საბჭოთა კავშირისა და, უპირველესად, რუსი ხალხის სადღეგრძელო!

მე უპირველესად, დიდ რუს ხალხს ვადღეგრძელებ იმიტომ, რომ იგი წამყვანი ერია საბჭოთა კავშირის სხვა ერებს შორის.

მე ვსვამ რუსი ერის სადღეგრძელოს იმიტომ, რომ ამ ომში მან მოიპოვა საყოველთაო აღიარება როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ასევე მთელი საბჭოთა ხალხის მიერ.

მე ვსვამ რუსი ერის სადღეგრძელოს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წამყვანი ერია საბჭოთა კავშირში, არამედ იმიტომაც, რომ მას გააჩნია ნათელი გონება, მტკიცე ხასიათი და მოთმინების უნარი.

ჩვენმა ხელისუფლებამ არაერთგზის დაუშვა შეცდომა, გვქონდა სასოწარკვეთის პერიოდიც 1941-1942 წლებში, როცა ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ, როცა მტერი თანდათან ეუფლებოდა უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლენინგრადის ოლქის, ბალტიისპირეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებს, საბჭოთა ჯარი უკან იხევდა იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. სხვა ხალხს შეეძლო ეთქვა ხელისუფლებისათვის: "თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი ნდობა, მოგვშორდით, დაგვანებეთ თავი, ჩვენ ავირჩევთ სხვა ხელისუფლებას, რომელიც დაამყარებს ზავს გერმანიასთან და სიმშვიდეს მოგვიპოვებს". მაგრამ რუსი ხალხი არ წავიდა ამაზე იმიტომ, რომ მას სჯერდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის მართებულობისა და გაიღო დიდი მსხვერპლი, რათა დაემარცხებინა ფაშისტური გერმანია. სწორედ ეს ნდობა გამოდგა გადამწყვეტი იმაში, რომ საბჭოთა ხალხმა სასტიკად დაამარცხა გერმანული ფაშიზმი.

დიდი მადლობა რუს ხალხს, ამგვარი ნდობისათვის.

დავლოცავ რუს ხალხს!"

როგორც ხედავთ, რუსეთის დიდ მმართველებს შორის სტალინი აღმოჩნდა მესამე და უკანასკნელი პეტრე პირველისა და ლენინის შემდეგ, რომელმაც საჯაროდ აღიარა საკუთარი შეცდომები. და ერთადერთი, რომელმაც ეს შეცდომა აღიარა საკუთარი ტრიუმფის დღეებში!

ამასთან, ეს შეცდომები აღიარებული იქნა არა ნაცრის თავზე წაყრით, არამედ იმით, რომ ამ აღიარებამ კიდევ უფრო აამაღლა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი!

სწორედ სტალინის ეს აზრი უნდა განევითარებინა ნიკიტა ხრუშჩოვს, ესე იგი, უნდა მოეხდინა იმ ხალხის რეაბილიტირება, რომელთა რეაბილიტაციაც უკვე შესაძლებელი იყო და ამინისტია უნდა გაევრცელებინა გარკვეულ ხალხზე. ამასთან, რეაბილიტაცია უნდა ჩაეტარებინათ იმ ნიშნით, რომ ყოველი რეაბილიტირებული პიროვნება არ წარმოჩენილიყო უსამართლობის მსხვერპლად.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოჰკიდებოდნენ იმ ადამიანების ამნისტიას, რომლებსაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. მათი სახელმწიფოს მართვის ბერკეტებთან დაშვება, განსაკუთრებით იდეოლოგიის, უფრო განსაკუთრებით კი – საორგანიზაციო განხრით, ძალიან ფრთხილად უნდა მომხდარიყო. საზოგადოების თვალსაზრისით ამ ხალხისათვის უნდა მიენიჭებინათ პირადი თავისუფლება, მაგრამ მათგან გმირები არ უნდა გამოეძერწათ.

ტუხაჩევსკისა და მისი მსგავსი ფიგურების რეაბილიტაცია კი საერთოდ არ შეიძლებოდა იმიტომ, რომ მათი დანაშაული სახეზე იყო. სტალინის მავზოლეუმიდან გამოსვენება და მისი საჯარო გაკიცხვა კი სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი გახლდათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲤᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲝᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

ამდენად, მარტივად და ცალსახად განისაზღვრა ტექსტის წაკითხვის მიმართულება სპირალის ცენტრიდან გარეთ, ანუ მარცხნიდან მარჯვნივ სპირალის გასწვრივ (საზოგადოდაც, სპირალი ბრუნვის დროს ცენტრიდან გარეთ იშლება და ფართოვდება).

3. ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნიშანთა ბრუნვა

და გ. კვაშილავას ალგორითმი

ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რამაც დააბრკოლა ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა, იყო მასზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნების სხვადასხვა მიმართულებით დაბეჭდვის, ანუ მათი ბრუნვის ენობრივი ღირებულების უგულებელყოფა. ეს, ალბათ, ზოგადად გამოწვეული იყო მეცნიერთა შორის გავრცელებული წინასწარი განწყობით, რაც ხშირად დიდი ხნით აბრკოლებს კვლევას.

მაგალითად, დისკოზე ლომის თავის ხან ჰორიზონტალურად და ხან ვერტიკალურად, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიმართულად (სულ ოთხი შესაძლებელი პოზიციაა) დაბეჭდვის მიზეზად ითვლებოდა მბეჭდავის დაუდევრობა. მაგრამ, ამავე დროს, სხვა მკვლევრები ხაზს უსვამდნენ დისკოზე შეცდომების საგულდაგულო გასწორებას (ნ. რიდი და სხვები), რაც ცხადყოფს, რომ ეს ისეთი სახის ტექსტია, რომელიც უსათუოდ უხარვეზოდ, უშეცდომოდ უნდა დაბეჭდილიყო.

ტექსტის შესწავლის დროს გ. კვაშილავამ მისი ამოკითხვისათვის გადამწყვეტი და თვისობრივად ახალი ნაბიჯი გადადგა: მან ღირებულად ჩათვალა ფესტოსის დისკოზე ნახატ-ნიშნების სხვადასხვა პოზიცია სპირალის ხაზის მიმართ, და განსხვავებულ პოზიციაში დაბეჭდილი ერთი და იგივე ნიშნები ფონოლოგიურად და, მაშასადამე სემანტიკურადაც, სხვადასხვანაირად ამოიკითხა. მის მიერ ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენამ მნიშვნელოვანი საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ გაირკვეს თვით მბრუნავი ნიშნების ამოსავალი პოზიციის განსაზღვრა.

მეტიც, გ. კვაშილავამ შექმნა ალგორითმი, რომელიც ასახავს ამ ბრუნვის დროს ნიშანთა წაკითხვისა და ინტერპრეტაციის ერთსა და იმავე ზოგად კანონზომირებას.

კერძოდ, ალგორითმი განსაზღვრავს დისკოს წარწერის მბრუნავი ნიშნებისათვის მათი მარცვლების წაკითხვის რიგს: სპირალის ხაზისადმი ჰორიზონტალურად დაბეჭდილი ნიშნები იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა; სპირალის ხაზისადმი 900-ით დაბეჭდილი იმავე ნიშნისათვის იკითხება მხოლოდ პირველი მარცვალი, სპირალის ხაზისადმი ჰორიზონტალურად 1800-ით დაბეჭდილი ნიშანი იკითხება როგორც ორმარცვლიანი სიტყვა მარცვალთა შებრუნებული რიგით, ხოლო სპირალის ხაზისადმი 2700-ით დაბეჭდილი ნიშნისათვის იკითხება მხოლოდ მეორე მარცვალი.

რა თქმა უნდა, უფრო მეტი დეტალი არსებობს ალგორითმის სრულყოფილი მოქმედებისათვის, მაგრამ ჩვენ მიერ მათი აქ განხილვა ზედმეტია.

მოცემული ალგორითმი წარმოადგენს ფესტოსის დისკოს ტექსტის წაკითხვის გასაღებს. მეტიც, გია კვაშილავას ალგორითმით, იმავე სისტემითა და იმავე ენაზე იკითხება წარწერები არკალოხორის ცულზე, მალიის ქვის ბლოკზე, ფესტოსის ლარნაკზე; აგრეთვე, კრეტული იეროგლიფური და ხაზოვანი წარწერებიც. აქაც ნიშნები სხვადასხვა მიმართულებით არის ამოტვიფრული.

4. ხაზების მნიშვნელობა ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოსაკითხად

ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვის დროს, გ. კვაშილავას მიხედვით, მნიშვნელობას იძენს და სხვა თვისებრიობა ენიჭება, აგრეთვე, დისკოს უჯრებში ვერტიკალური და დახრილი ხაზების გამოჩენას.

ეს ხაზებიც, მბრუნავი ნიშნების მსგავსად, სერ ა. ევანსმა და მის შემდეგ ყველა სხვა მკვლევარმა ახსნეს მბეჭდავის აჩქარებით და დაუდევრობით. მაგრამ, როგორც გ. კვაშილავა წერს, დისკოზე კარგად ჩანს, რომ ამ ხაზებს ძალიან ზუსტი პოზიცია უჭირავს, მათი გამოჩენა დისკოს წარწერაზე გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. გ. კვაშილავამ გამორიცხა ამ ხაზების შემთხვევითად გამოჩენა ნაბეჭდ ტექსტში და დაუშვა, რომ ისინი ფონეტიკურად და სემანტიკურად ღირებულ ნიშნებს წარმოადგენენ.

აქვე მინდა მხოლოდ დამატებით აღვნიშნო საინტერესო ფაქტი, რომელიც გ. კვაშილავას კვლევას განსაკუთრებულ თვისებას ანიჭებს: ალგორითმი, ისევე როგორც ტექსტის წაკითხვის მიმართულების დადგენა, ნიშანთა ბრუნვისა და ხაზების რელევანტურობის დაშვება და სხვა მიგნებები, თავის საფუძველში ეყრდნობა თავისთავად ცხად და ბუნებრივ კანონზომიერებებსა თუ მონაცემებს, ე.წ. ბუნებრივ ლოგიკას. ამიტომაც ჩანს ეს მიგნებები მარტივი და ესეც სარწმუნოს ხდის გ. კვაშილავას შედეგებს.

5. ლინგვისტური მასალის მნიშვნელობა

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ამოკითხვას ბრწყინვალედ ასაბუთებს ძალიან ზუსტი ლინგვისტური მასალა, რომელიც ქართველური ენების უძველესი საფეხურის რეკონსტრუქციას ეხება (გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ. 1965).

ლინგვისტურ მასალას ასევე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ფესტოსის დისკოს წარწერის დათარიღებაში: დისკოს ტექსტში დასტურდება ისეთი ფონეტიკური მასალა, რომელიც მხოლოდ პროტო-ქართველურისათვის არის დამახასიათებელი, უფრო გვიანდელი პროცესები, რომლებიც პროტო-ქართველურის დაყოფის შემდეგ მოხდა, დისკოს ტექსტში არ არის ასახული. იგივე ითქმის პროტო-ქართველურის ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემების თავისებურებაზე და სხვ.

6. შეჯამება

გ. კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს ტექსტის ამოკითხვა პროტო-ქართველურ ენაზე შესაძლებელი გახდა, პირველ რიგში, ყველა იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომლებიც თვით ფესტოსის დისკოს ეხება.

ეს არის: დისკოს დათარიღება, მისი თიხის მასალის თავისებურება, ბეჭდვის სახე; გათვალისწინებულია, აგრეთვე, ყველა ის ანალიზი, რომელიც გაუკეთდა ტექსტს, ის მასალა და მოსაზრებები, რომელიც მანამდე გამოითქვა დისკოს შესახებ. ასევე გათვალისწინებულია ძველი ბერძნული და სხვა ევროპული თუ ქართული წყაროები, გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალა; კარტოგრაფია, მიგრაციები, მითოლოგია. შესწავლილია ის დამწერლობები და ენები, რომლებიც რაღაცნაირად მაინც უკავშირდება ფესტოსის დისკოს წარწერას.

ფესტოსის დისკოს ნახატ-ნიშანთა ამოკითხვა მოხდა უმდიდრესი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით, აგრეთვე, სხვა თანადროული წარწერების ნიშნებთან გრაფიკული, ფონეტიკური და სემანტიკური პარალელების დადგენის საფუძველზე. მთელი ამ მასალის სიუხვემ გააბათილა სირთულე, რაც განპირობებულია ამ სილაბურ-ლოგოგრამული ნიშნებით დღემდე მხოლოდ ერთი გაბმული ტექსტის – ფესტოსის დისკოს წარწერის არსებობით და, ამავე დროს, მანვე გახადა სარწმუნო ფესტოსის დისკოს პროტო-ქართველურ (კოლხურ) ენაზე ამოკითხვა.

ამოკითხვის შემდეგ ფესტოსის დისკოს ტექსტი უნდა ვაღიაროთ ამქვეყნად ერთ-ერთ უძველეს რელიგიურ ტექსტად. ეს არის ჰიმნი-ლოცვა, რომელიც მიმართულია დიდ დედაღვთაება ნენანასადმი, ჰეფესტოსადმი, თარხონისადმი და ერთგვარ მიმართვას წარმოადგენს, ასევე, ნენანას (რეა-კიბელეს) მცველების – კორიბანტებისადმი.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახადა გ. კვაშილავას დიდი ხნის განუზომელმა და თავდადებულმა შრომამ და ნიჭმა.

ტექსტის გაშიფვრისათვის მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, რომ გ. კვაშილავა ღია აღმოჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა არსებული ინფორმაციისათვის, არ იყო შეზღუდული წინასწარი განწყობით, რაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ხშირად ყველაფერში ასე ძალიან გვიშლის ხელს.

ყოველივე ეს გახდა საწინდარი იმისა, რომ ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან ერთი საუკუნის შემდეგ გია კვაშილავამ ამოიკითხა XX საუკუნის ენიგმად წოდებული ფესტოსის დისკოს წარწერა.

ᲜᲐᲜᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ

ᲠᲐᲛ ᲒᲐᲐᲦᲘᲖᲘᲐᲜᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲤᲝᲩᲮᲣᲐᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ – ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲔᲑᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

“სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო, საოცრად კეთილი, ყურადღებიანი, თბილი და ხალისიანი”, – ასე ახასიათებენ მეგობრები გიორგი ფოჩხუას. მასზე წარსულ დროში საუბარი უჭირთ. მომდერალი და მსახიობი 27 წლის ასაკში, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ცხედარი ანაკლიაში ზღვამ 14 ივლისს გამორიყა. გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის კვალი აღენიშნებოდა.

16 ივლისს სოციალურ ქსელში გავრცელდა ეჭვმიტანილის ფოტოები და დასახელდა მისი ვინაობა. ბექა ცობეხია 17 ივლისს პოლიციას ჩაბარდა. სამეგრელოს მედიაორგანიზაციის ინფორმაციით, ის გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან დედამ, ეთერ ცხაკაიამ გადმოიყვანა და სამართალდამცველებს ჩააბარა. ცობეხიასთან ერთად, დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დაკავებულია მისი მეგობარიც, დაცვის პოლიციის თანამშრომელი ნიკოლოზ ბაძაღუა. ფაქტთან დაკავშირებით შს სამინისტრო ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს.

ᲔᲚᲔᲜᲔ ᲤᲝᲩᲮᲣᲐ, გიორგის და:

– მოგეხსენებათ, გიორგი ზუგდიდის თეატრში მუშაობდა. ის სახლიდან 13 ივლისს გავიდა. სამსახურის შემდეგ ანაკლიაში მეგობრებთან ერთად წასულა. იქ სამსახურის საქმეებზე ისედაც ხშირად ჩადიოდა. მეგობრებთან ერთად კაფეში დამჯდარა. მერე ბულვარში გაუსეირნიათ, ფოტოები გადაუღიათ. სწორედ იქ შეხვედრია ბექა ცობეხია და გამოლაპარაკებია. გიორგის ხელზე სამაჯური და საქორწინო ბეჭედი ეკეთა, თან ჰქონდა ძვირად ღირებული ფოტოაპარატი და ოქროს ყელსაბამიც. როგორც ჩანს, იმ ადამიანმა (თუ შეიძლება, **“ადამიანი”** ვუწოდო) შეამჩნია და იფიქრა, დავაყაჩაღებო. მშვიდი ლაპარაკით შეიყოლია. გიორგი მეგობრებს ჩამორჩა. მათ რამდენჯერმე დაურეკავთ და ჩემი ძმა ყოველ ჯერზე ეუბნებოდა, 5 წუთში მოვალო. ისინიც ფიქრობდნენ, დაგვეწევაო. მერე ეძებეს, მაგრამ ვეღარ იპოვეს.

– გიორგიმ მოძალადეს წინააღმდეგობა გაუწია?

– ალბათ. ჩვენ ვიცით, რომ მას პირველად ძალიან ძლიერად დაურტყამს. გიორგის უთქვამს: რას მიკეთებ, ბიჭოო?! – და მერე გონება დაუკარგავს. ახლა თავს იმართლებს, შემომაკვდაო. თუ შემოაკვდა, რატომ არ გაიქცა?!. ჩემი ძმა ნაწამებია. ყელზე ფოტოაპარატის თოკი შემოუხვევია და უთრევია, მერე ზღვაში ჩაუგდია. ისეთი დასახიჩრებულია... ლაპარაკი ძალიან მიძძიმს.

– იმ დამეს გიორგი რომ არ მოვიდა, არ შეეხმიანეთ?

– გიორგი შინ ხშირად გვიან ბრუნდებოდა. თეატრში ბევრ დროს ატარებდა; ზოგჯერ მეგობრებთან ერთადაც რჩებოდა. ზოგჯერ ტელეფონი უჯდებოდა და ვერ გვიკავშირდებოდა. იმ ღამესაც ვიფიქრეთ, რომ ასე მოხდა. იმდენად მშვიდი, უკონფლიქტო და გაწონასწორებული ადამიანი იყო, ცუდი არაფერი გვიფიქრია. მეორე დღეს რომ აღარ გამოჩნდა, ავფორიაქდით და ძებნა დავიწყეთ.

– მეგობრებმა, რომლებიც მას ახლდნენ, არ მოგაკითხეს?

– დიახ. პოლიციაშიც მათ განაცხადეს. მერე რაც მოხდა, უკვე იცით.

ᲠᲣᲡᲙᲐ ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ, მეგობარი:

– არც კი ვიცი, რა უნდა გითხრა... გიორგის დაღუპვის ამბავი გავიგე თუ არა, ჩემს დასთან და 2 მეგობართან ერთად, ზუგდიდში წავედი. გავიგე, მოკლესო. რას ნიშნავს, მოკლეს?! რატომ მოკლეს?!. შოკიდან ვერ გამოვდივარ. გიორგი უკონფლიქტო ადამიანი იყო. წლების განმავლობაში ერთად ვსწავლობდით და ერთი შემთხვევაც კი არ მახსენდება, ვინმესთან ეჩხუბოს. ზუგდიდში ვერავის ვერაფერი ვკითხე, ელენესთან დალაპარაკებაც გამიჭირდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ანაკლიაში ყოფილა, იქ ვიღაცა გამოლაპარაკებია... გიორგი იყო (**“იყოს”** რომ ვამბობ, ცუდად ვხდები) ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. მისი იუმორი მიყვარდა. ისეთს იტყოდა, სიცილით ვიხოცებოდით. ლექციებზე ერთად ვისხედით, მაცინებდა და მასწავლებელმა ორივე გარეთ გაგვაგდო... კეთილი და საყვარელი ბიჭი იყო. დაუჯერებელია, რომ გიორგი აღარ გვყავს. თავისი ასაკის კვალობაზე ბევრს მიაღწია. ზუგდიდის თეატრის მსახიობი და მთავარი რეჟისორი იყო. დღე არ გავიდოდა, არ დაერეკა, არ მოვეკითხე. გიოს წლინახევრის ბიჭი დარჩა – ლუკა. შვილზე ჭკუა ეკეტებოდა, ყოველ წუთში ახსენებდა.

ᲡᲐᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘ, გიორგის მეგობარი:

– მე და გიორგი თეატრალურში დავმეგობრდით. უღალატო ადამიანი იყო, გამგები და მხიარული. გიორგის გვერდით ვერ მოიწყენდი. ბოლოს ზამთარში ვნახე. მისი გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, დავმუნჯდი, ვეღარაფერი ვიკითხე. მეგობრის დაკარგვა დიდი ტკივილია. ამ ბოლო დროს ხშირად ვლაპარაკობდით და ძალიან მონდომებულები ვიყავით, რომ თეატრალურის მეგობრები შევკრებილიყავით. ხუთშაბათს გიორგი ყველას ერთად **“შეგვკრებს”**. ძალიან ვწუხვარ.

ᲡᲝᲡᲝ ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲔ, მეგობარი:

– გიორგის მანამდე ვიცნობდი, სანამ სტუდენტები გავხდებოდით. ჩვენ მანანა ბერიკაშვილთან ერთად ვემზადებოდით; მერე ერთ ჯგუფში ვსწავლობდით. იმ სფეროში, რომელშიც მუშაობა გვიწევდა, იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანს, რომელსაც სხვისი წარმატება საკუთარ წარმატებასავით ახარებს. გიორგი სწორედ ასეთი კაცი იყო... როგორც კი მისი დაღუპვის ამბავი გავიგე, ელენეს დავურეკე და იმ ღამესვე ზუგდიდში წავედი. გიორგის ცხედარს ძალადობის კვალი ეტყობა. მე სახეზე ვნახე და სულ სილურჯეები აქვს. რომ არ მცოდნოდა, ალბათ ვერც ვიცნობდი. ყელზე მოხრჩობის კვალი ეტყობა.

– იმ ადამიანებს თუ იცნობ, ვისთან ერთადაც ანაკლიაში იმყოფებოდა?

– ერთ-ერთს ვიცნობ. როგორც გავიგე, ეჭვმიტანილი გააღიზიანა გიორგისა და მისი მეგობრების ქართულმა პასუხმა: უსაყვედურია, – მეგრელები ხართ და ქართულად რატომ ლაპარაკობთ? მეგრულად მიპასუხეთო!.. ბევრი არაფერი ვიცი. როგორც მითხრეს, გაძარცვეს. გიორგის კარგად ვიცნობდი და არ იყო ისეთი ბიჭი, ამის გამო ვინმესთვის თავი რომ შეეკლა. ჩემი აზრით, ერთი ადამიანი ვერც მოახერხებდა გვამის წყალში გადაგდებას, ანდა ეჭვმიტანილი ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს... მეგობრები ამბობენ, გიორგი და ის მშვიდად ლაპარაკობდნენო. შეიძლება, ეს სიმშვიდე მოჩვენებითიც იყო, რომ მათ ვერაფერი შეეტყოთ.

– გიორგი ბოლოს როდის ნახე?

– მისი შვილის ნათლია ვარ. ბოლოს ლუკას ნათლობაზე ვნახე – თბილისში მონათლა, სამებაში. მას შემდეგ აღარ მინახავს. დღეებს ვითვლიდით – გვინდოდა, ორივეს აგვისტოში ზღვაზე ცოლ-შვილთან ერთად დაგვესვენა, მაგრამ...

– გიორგის მეუღლე ვინ არის?

– რუსკა წურწუმია. ისიც ზუგდიდელია. გიორგის 9 წელია, ვიცნობ და რაც ვიცნობ, ერთმანეთი უყვართ. სამწუხაროდ, მხოლოდ სამი წელი იცხოვრეს ერთად. გიორგის აღარაფერი ეშველება, მაგრამ იმედია, დამნაშავე მალე სამართალდამცავების ხელში აღმოჩნდება და საკადრისად დაისჯება.

დაბოლოს – ამონარიდები გიორგი ფოჩხუას დღიურიდან, რომელიც დაახლოებით 1 წლის წინ liverpress.ge-ზე გამოქვეყნდა (სტილი დაცულია):

23 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

გათენდა... 7-ის ნახევარია. ლუკას ტირილმა გამაღვიძა. იყო დრო, როცა ჩემი დილა 12 საათზე იწყებოდა... თუ ვინმე დილაუთენია გამაღვიძებდა, ჩხუბით მთავრდებოდა. ლუკას დანახვაზე ძილის სურვილი მიქრება. დღეს 12 საათზე თეატრში უნდა წავიდე, პირველი რეპეტიცია მაქვს. მუშაობა დავიწყე. დიდი ხანია, სპექტაკლის დადგმას ვფიქრობ, უფრო მეტად მომეძალა პასუხისმგებლობის გრძნობა. მინდა, ბოლომდე დავიხარჯო.

24 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ

“იპოვე საკუთარი გულის კარი და მიხვდები, რომ ის ცათა სასუფევლის კარია”, ამ სიტყვებით იწყება ჩემი სპექტაკლი, რომელზეც მეორე დღეა ვმუშაობ.

27 ᲛᲐᲘᲡᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ

მომავალ კვირას სპექტაკლის დეკორაცია მზად უნდა იყოს. მარიკა მოვიდა, ვისაუბრეთ და ჩამოვწერეთ დეტალურად, თუ რა გვჭირდება სპექტაკლისთვის... რუსო მირეკავს, ლუკა ტირის, მამა ენატრებაო...

Ⲧ. ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-180

ქალღმერთი ისიდა და მისი შვილის ქანდაკება (ძვ. წ. XI საუკუნე) ეგვიპტურია, მაგრამ სახელი მადონა ლაზურ-მეგრული წარმოშობისაა. ეგვიპტურ ქანდაკება ისიდაზე დიდი ხნით ადრე არსებობდა შუამდინარეთში ქალღმერთ ნანას ქანდაკება. რომელიც ყველა ეგვიპტურ ქანდაკებაზე უძველესია. აგრეთვე, ქალღმერთ ნანას სახელთანაა დაკავშირებული შუამდინარეთის მრავალი ქალღმერთის სახელები: ინანა, ნანაია, ნანარა და სხვა. ყველაფერი ეს კარგად მიგვანიშნებს ქალღმერთ მადონას წარმოშობის სადაურობას. ყველა ისინი მეგრული წარმომავლობისაა.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულადაა მიჩნეული, რომ ეგვიპტურ ცივილიზაციას დიდი ხნით წინ უსწრებდა შუამდინარეთის ცივილიზაცია, მაშინ ქალღმერთ ნანას ქანდაკება (შუამდინარეთი), რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. მეოთხე ათასწლეულის პირველ ნახევარს, დიდი ხნით უსწრებდა ეგვიპტურ ქალღმერთ ისიდას ქანდაკებას ბავშვით, გორათი, ხელში. ასევე მადონა, როგორც ნანა, უძველესი მეგრული სახელია. ანდა როგორც ნ. ფოფხაძე წერს: **„ანმარეს თავზე ებურა ერთიანი ქიმეთის სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც ტრადიციით მომდევნო ათასწლეულებშიც ამკობდა იქაურ მეფეებს. ეს გვირგვინი ებურა ჩვენი დიდი წინაპრის მეფე რატის ასულს თათუს, რომელსაც დედოფლის ტახტზე აღსაყდრებისას „ნეფერტიტი" დაარქვეს და მთელი მსოფლიო მას ამ ახალი სახელით იცნობს".** – თათუ ბატონიშვილმა ღირსეული გზა განვლო ქიმეთის (ეგვიპტე) დედაქალაქამდე.

ძვ. წ. XIV საუკუნის შუა წლებში ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს მითანის (ანუ მითანის მთიანეთის) მეფე იყო რატი, მთავრსარდალი კი მეფის ძმა – ართაშური, ხოლო რატის ასული თათუ ქიმეთის (ეგვიპტის) მეფემ – ფარაონმა ექნატონმა (ეხნატონი, ექნათონ – აჩინა) შეირთო ცოლად.

ქალაქი ახეტატონის (ექნატონი), რომელიც ბენი ჰასანისაგან სამხრეთით მდებარეობს, **„მეფე-ერეტიკოსმა ეხნატონმა ააგო, როგორც ახალი დედაქალაქი. მან ეგვიპტის ღმერთების თავყანმცემლობა დაგმო და აკრძალა, სანაცვლოდ კი ერთი ღმერთის – ატონის კულტი დააწესა."** (**იხ. ეგვიპტოლოგია,** თარგმანი: **სოფი ქარჩხაძე,** რედაქცია **მაკა ბაქრაძე, ლელა ბერიშვილი,** კონსულტანტი: ეგვიპტოლოგი **მანანა ხვედელიძე.** ქართული გამოცემა, 2007, თბ., გია ქარჩხაძის გამომცემლობა (ეგვიპტოლოგია, ოსირისის სამარხის ძიებაში. მის ემილი სენდსის დღიური, ნოემბერი, 1926წ.).)

ეხნატონის მეუღლის ნეფერტიტის კირქვისაგან დამზადებული კარის მოქანდაკის თუთმოსის სახელოსნოს ნანგრევებში, 1911 წელს (ზოგიერთი წერს: 1912 წელს) აღმოაჩინა გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ქალაქ ახეტანონში.

ლ. ბორჰარდტმა თუთმოსის სახელოსნოში იპოვა ექნატონის (ეხნატონის) ოჯახის წევრების პორტრეტები – ფარაონ ექნატონის მამის, ამენჰოტეპ III-ის პორტრეტი, ნეფერტიტის მცირე ზომის კირქვის ქანდაკება და მისი ორი პორტრეტი. ერთი თაბაშირის, მეორე კი გრანიტისაგან დამზადებული. აღმოჩენებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნეფერტიტის ბიუსტი. ეს ბიუსტი რომ აღმოაჩინა, ლ. ბორჰარტს დღიურში ჩაუწერია: **„იგი ცოცხალივით სუნთქავს... მისი აღწერა შეუძლებელია, იგი უნდა ნახო."**

ეგვიპტე დიდი ხანია გერმანელებისაგან თხოულობს ნეფერტიტის, აგრეთვე ბრიტანეთის, საფრანგეთის (ლუვრის), ბოსტონის და ასევე ჰელიცაუსის (გერმანია) მუზეუმებიდან ეგუპტის კუთვნილი (ეგვიპტიდან გატანილი) სამუზეუმო ნივთების დაბრუნებას. (**გენადი თვაური,** დაბრუნდება ნეფერტიტი ევვიპტეში? გაზ. **„ახალი თაობა"**, 2009, 16 თებერვალი, №43, გვ. 10, 12.)

„ექნატონი ამარანას პერიოდის" შემდეგ, ტუტანჰამონის მეფობის დროს, ეგვიპტელების ტრადიციული მრავალღმერთიანი რელიგია აღდგა.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნების ისტორიის სპეციალისტმა, შვეიცარიელმა ჰენრი სტირლინმა განაცხადა: ნეფერტიტის ბიუსტი სინამდვილეში 100 წელზე ნაკლები ასაკისაა. მეცნიერი ამტკიცებს, რომ სკულპტურის ასაკის დადგენა შეუძლებელია, რადგან იგი კირქვისგანაა დამზადებული.

ბერლინის ეგვიპტური მუზეუმის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს შვეიცარიელი სტირლინის ჰიპოთეზას. **„ლამაზი ქალი და ცრუ სკანდალი ყოველთვის კარგად იყიდებოდა"**, – განაცხადა მუზეუმის დირექტორმა. (**გენადი თვაური**, ნეფერტიტი 100 წლისაა? გაზ. **„ახალი თაობა"**, 2009, №122, გვ. 12.)

2006 წელს გამოსულ **„ეგვიპტოლოგიაში"** მოტანილია „ეგვიპტური გვირგვინების" ისტორია და სურათები: **„როგორც ზედა და ქვედა ეგვიპტის მეფე-ფარაონი ორმაგ გვირგვინს ატარებდა. ეს გვირგვინი, თეთრი – ზედა ეგვიპტის გვირგვინისა და წითელი – ქვედა ეგვიპტისა, გვირგვინისგან შედგება. წითელი გვირგვინი ასოცირებული იყო ქვედა ეგვიპტესთან, რომელიც ქალაქ მეფისიდან ჩრდილოეთით, ნილოსის დელტამდეა გადაჭიმული. თეთრი გვირგვინი ეს ზედა ეგვიპტის გვირგვინია. ზედა ეგვიპტე იშლება მემფისიდან სამხრეთით, თებემდე და მის იქითაც გრძელდება. ლურჯი გვირგვინი ასევე „ომის" გვირგვინადაც მოიხსენიება, რადგან ამ გვირგვინით მებრძოლი სეთი I და მისი ვაჟი რამზეს III მრავალგანაა გამოსახული".** (ეგვიპტოლოგია, გვ. 5)

სწორედ ასეთი გვირგვინი (მეფის, ფარაონის) ადგას თათუ ნეფერტიტს, ის მეფის, ფარაონის ჩველუბერივი მეუღლე კი არ იყო, არამედ მეუღლის ეხნატონის სკივდილის შემდეგ ფარაონი გახდა. ასეთი გვირგვინი, ებურა, ეხურა ჩვენი ქვეყნის (კოლხეთის) დიდ მეფეს ანმარეს (ანმარეს იმპერია). ნეფერტიტის ყველა ქანდაკება (დიდი თუ პატარა) და პორტრეტი ამ გვირგვინითაა შესრულებული.

ქვეყანა მითანის (მთიანეთის) სამეფოს დედაქალაქი იყო **„ფაზისყანა"** (რაც ვენახოვანს ნიშნავს). იმავე მნიშვნელობის იყო სახელწოდება **„ბაბილოვანი".** ბაბილო ქართულად არის ვაზის ლერწამი, რტო. ქალაქ ბაბილოვანის სახელწოდება, შემდგომში გავრცელდა თვით ქვეყნის, სამეფოს სახელწოდებაზე. ბაბილო, ბაბილონი (ამ ქალაქის ბერძნულ და ებრაულ სახელწოდებაზე, ქვემოთაც გვაქვს საუბარი) საქართველოს (სამეგრელოს) სხვა დედაქალაქის შესატყვის სახელწოდებად იქცა, მაგალითად, დედაქალაქ კოლხას სახელი დაერქვა ჯერ ვრცელ ქართულ კუთხეს – მხარეს, შემდგომში კი დიდ ქართულ სამეფოს კოლხეთს. უფრო გვიან, როცა ის შემოსეულმა მტრებმა დაიპყრეს, ბაბილონი საქართველოს (კოლხეთის) ქალაქი იყო, ხოლო ახ. წ. VIII საუკუნეში დაარსებულ ქალაქ ბაღდადს ხშირად ბაბილონად მოიხსენიებდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქალაქის სახელი შეიქმნა ქართული სიტყვებისაგან **„ბაგ", „დადუ"** (მეფის სახელებია); აგრეთვე დადუსაგან მომდინარეობს ქართული გვარები: დადუანი (იგივე დადვანი), დადიანი და სხვები.

მითანის მეფის რატის ასული თათუს ქიმეთის (ეგვიპტის) მეფის მეუღლედ გახდომისას, ჩვეულებისამებრ, ახალი სახელი დაარქვეს – **„ნეფერტიტი",** რომელიც მკვლევარების აზრით, უცხოეთიდან ჩამობრძანებულ მზეთუნახავს, ლამაზ ქალბატონს ნიშნავს! (**ნათელა ფოფხაძე,** ქიანა ენგურ ანუ ქვეყანა, სახელად ენგური (წერილი მეორე), გაზ. **„დიოსკურია",** 2005, თებერვალი, №20, გვ. 4. ნათელა ფოფხაძეს მრავალი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული ძველი კოლხეთისა და სამეგრელო-სვანეთის ისტორიაზე. მას რიგი აღმოჩენა და მიგნება აქვს ძველი კლხეთის ისტორიის ურთულეს საკითხებზე. კოლხეთის, შუმერეთის ეგვიპტის ისტორიის საკითხებზე მომუშავე ქართველი მეცნიერები შესაფერისად იყენებენ მის მიერ პირველად მოძიებულ წყაროებს, დოკუმენტურ მასალებს. ამ აღმოჩენებში მას ხელს უწყობს უცხო ენების უბადლო ცოდნა, დიდი ერუდიცია, ჟურნალისტური გამოცდილება. მან პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა დოკუმენტური მასალები ეგვიპტელ ქართველი ფარაონების თათუ-ნეფერტიტისა და აიეს შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნ. ფოფხაძის მიერ შედგენილი ნარკვევი **„ჩვენი საქართველო. ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ",** თბ., 2002) წერს ნ. ფოფხაძე

ქიმეთში (ეგვიპტეში) ეხნატონ (ექნათონ) ფარაონის შემდეგ გამეფდა თათუ-ნეფერტიტი, რომელსაც თანამოსაყდრედ ჰყავდა თავისი უფროსი ქალიშვილი ანქესეპა-ათენა; სამი თუ ოთხი წლის შემდეგ თათუ-ნეფერტიტი გარდაიცვალა. მისი მუმია შემონახულია – დაკრძალულია ქიმეთის მეფეთა და დედოფალთა პანთეონში. შემდეგ ტახტზე დასვეს 8-10 წლის თუთანქი – ათენი, (თუთანჰამონი), რომელიც ნათესავების, – პირველ რიგში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის და უმაღლესი ქურუმის – კოლხი აიეს საშუალებით მართავდა ქვეყანას.

ზოგი მეცნიერი **„თუთანქამონის"** (თუთანჰამონის, ტუტანხამონის) ბიოლოგიურ დედად თათუ-ნეფერტიტს მიიჩნევს, ზოგი კი თვლის, რომ ის სხვა, ქართველთა მეფის ასულმა ქიიამ გააჩინა. მიუთითებაენ, რომ თათუმ მას დედობა გაუწია, გაზარდა და მისი დედა თუ არა, ახლო ნათესავი ნამდვილად იყოო. მაგარამ, არა, აქ საჭიროა სიცხადის შეტანა, ჭეშმარიტების დადგენა. ცნობილია, რომ **ეხნატოინის, ექნატონის** მეუღლე იყო ნეფერტიტი, ისიც კარგად ცნობილი, რომ ეხნატონის შვილი იყო ტუტანჰამონი, მაშასადამე, ეხნატონისა და თათუ-ნეფერტიტის შვილია ტეტჰამონი: სხვა განსახვავებული შეხედულების, მოსაზრების არსებობა უსწორო.

თუთანჰამონის სახელი უთუოდ უკავშირდება მეგრელი მთავარის (თუთას) სახელს, ამონი კი მზის ღმერთია; ეგვიპტის ყველაზე გავლენიანი ფარაონი თუთანჰამონი მეგრულად ნიშნავს მთვარეს და მზეს.

მითანის (მითანის მთიანეთის) მეფის რატის სახელიდან მომდინარეობს ქართული გვარი რატიშვილი (ხშირად ამბობდნენ რატიშვილს, რატის, რატიევს, – განსაკუთრებით საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ). დასტურდება, რომ მეფე რატის მემკვიდრეები, შთამომავლები არიან რატიშვილები.

ისიც სათქმელია, რომ ცნობილი პიროვნება, ჩეხი მომღერალი იოსებ რატილი (27.XI. 1840-1912წწ.) პირველი ქართული ფოლკლორული ანსამბლის ლოტბარი იყო.

თუთანჰამონს დედის ბიძად ერგებოდა **„პრემიერ-მინისტრი"** აიე (ეიე), რომელმაც ახალგაზრდა ფარაონის დაკრძალვას უხელმძღვანელა და მომდევნო ფარაონი გახდა და ათი წელი მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას. იმასაც აღვნიშნავთ, რომ **„ფარაონ აიეს ძმის – მეფე რატის ქალიშვილის – თათუ-ნეფერტიტის ასული (უმცროსი ქალიშვილი) მენი-ათენა, საქართველოს დედოფალი, ქადაშმან მეფის მეუღლე იყო, ცხოვრობდა თანამედროვე სამხრეთ ერაყში (ნათელა ფოფხაძე სწორედ ამბობს: არა „ტუტანს(ქ)ამონი"**, არამედ **„თუთანქამონი".**).

ეგვიპტოლოგთა ჯგუფმა წამოაყენა (2007 წ.) ახალი ჰიპოთეზა ფარაონ ტუტანჰამონის გარდაცვალების შესახებ, რომლის თანახმადაც ფარაონმა ტუტანჰამონმა, რომელიც ეგვიპტეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIV საუკუნის მეორე ნახევარში მართავდა, სასიკვდილო ტრავმა ნადირობის დროს მიიღო – მეფე ეტლიდან გადმოვარდა და წვივი მოიტეხა.

მეცნიერები ადასტურებდნენ, რომ ფარაონის გარდაცვალების მიზეზად განგრენა იქცა. უკანასკნელ დრომდე (2007წ) ეგვიპტოლოგებს შორის გაბატონებული იყო ვერსია, რომლის თანახმადაც ეიეს (აიეს) მიერ ორგანიზებულმა შეთქმულებამ იმსხვერპლა. ტუტანჰამონის შემდეგ ძველი ეგვიპტის ტახტზე სწორედ აიე ავიდა, მის ქვრივზეც დაქორწინდა და სრულიად კანონიერად გახდა ეგვიპტის მეფე – ფარაონი.

ამ ჰიპოთეზისკენ მეცნიერებს ფარაონის თავის ქალაზე ჯერ კიდევ 1960-იან წლებში რენტგენოლოგიური გამოკვლევების დროს შემჩნეულმა დეფექტმა უბიძგა.

მიუხედავად ამისა, როგორც გაზეთი **„ინდეფენდენთი"** აღნიშნავს, მეცნიერებმა რამდენიმე საბუთი წარმოადგინეს, რომლებიც მიანიშნებენ, რომ 19 წლის მეფე უდაბნოში ნადირობის დროს ეტლიდან გადმოვარდა და მარცხენა ფეხი მოიტეხა. მოტეხილობას შემდეგ სისხლის მოწამვლა დაემატა და ფარაონი განგრენის შედეგად გარდაიცვალა.

მანამდე გავრცელებული აზრის თანახმად, ტუტანჰამონი ფიზიკურად სუსტი ადამიანი იყო. ამჟამად მეცნიერები საწინააღმდეგო აზრს იზიარებენ და მიაჩნიათ, რომ იგი საკმაოდ აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა. სანადირო ეტლს, რომელიც მის სამარხში იპოვეს, ცვეთის კვალი ეტყობა. ასობით ისარი, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ საფლავში ჩაატანეს, ასევე არ იყო ახალი, ამ ისრებს ნადირობისას ხმარობდნენ.

კიდევ ერთი საბუთი, რომელიც არაპირდაპირ ადასტურებს, რომ ტუტანჰამონი მონადირე იყო და ეტლით მგზავრობდა, მისი ტანისამოსის გროვაში ნაპოვნი კორსეტი იყო. ამ კორსეტს იგი ეტლით მგზავრობის დროს მუცელში დარტყმისაგან უნდა დაეცვა.

გარდა ამისა, მუმიას თან ყვავილების გირლიანდები ახლდა, მათ შორის გვირილების თაიგულები. ცნობილია, რომ ეგვიპტეში გვირილა მარტსა და აპრილში ყვავის, რაც იმას მიანიშნებს, რომ ტუტანჰამონი ამ დროს დაკრძალეს, მაგრამ მუმიფიკაციისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით გამოდის, რომ იგი დეკემბერში, ან იანვარში, ანუ შუა ნადირობის სეზონის დროს დაიღუპა.

მეცნიერების მიერ წარმოებულმა გამოკვლევამ ბალზამის ოსტატებსაც მოსწმინდა ჩირქი, რომლებიც ფარაონის ცხედართან უყურადღებო მოპყრობაში იყვნენ **„ბრალდებული"**. დამტკიცდა, რომ ქურუმები მეტად გულმოდგინედ მოეკიდნენ თავიანთ საქმეს, მუმია სხვადასხვა ქსოვილის ფენაში იყო შეხვეული, ბალზამირების პროცესი კი მრავალსაფეხურიანი იყო.

ფარაონის მუმია და მისი სამარხის სხვადასხვა ნივთები ამჟამად (2007წ.) ლონდონში არის გამოფენილი (ტუტანჰამონი ნადირობის დროს მიღებული ტრამვის შედეგად გარდაიცვალა, გაზ. **„ახალი თაობა"**, 2007, 23 ოქტომბერი, №292.).

ერთი კი თითქმის ცხადად ჩანს, რომ ძვ. წ. XIV საუკუნეში ეგვიპტის ფარაონი იყო კოლხი სახელად აიე. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ეგვიპტის ფარაონის მრჩეველი (პრემიერ-მინისტრი) აია (ეიე), რომელიც ხელმძღვანელობდა ფარაონის დაკრძალვის ცერემონიას, ფარაონი გახდა.

ძველი ეგვიპტის ფარაონის სახელი აიე (აია) და ძველი კოლხეთის სახელმწიფოს დედაქალაქის (და თვით სახელმწიფოს) სახელწოდება **„აია"** ხომ არ მიგვანიშნებს რაიმეს?

უთუოდ საინტერესოა 2008 წლის გამოქვეყნებულ მასალები იმის შესახებ, რომ ევროპელ არქეოლოგთა ჯგუფი, ეგვიპტელი ოტო შადენის ხელმძღვანელობით გეგმავს ლეგენდარული მეფეთა ველის კვლევის განახლებას. მეცნიერები მიზნად ისახავენ ეგვიპტის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი დედოფლის ნეფერტიტისა და მისი მეუღლის ეხნატონის (ექთაათონის) მუმიების კვლევას.

ეგვიპტის პირველი ფარაონის ნარმერის ანუ მენესის (ქვეყნის სატახტო ქალაქი იყო თინისი ზემო ეგვიპტეში) ჩათვლით, კლეოპატრას დრომდე, ეგვიპტის ყველა ფარაონი კოლხი იყო. შვეიცერიელმა მეცნიერმა, რომელმაც ფარაონი თუთანამონის დნმ-ს შესწავლის საფუძველზე დაამტკიცა, რომ დასავლეთ ევროპის მამაკაცი მოსახლეობის (გაუგებარია – რატომ მხოლოდ მამაკაცები?) წარმომადგენელთა დაახლოებით 50 პროცენტი, ინგლისში კი თითქმის 70%, ესპანეთში – 70%, საფრანგეთში 60-%) ტუტანჰამონის შორეული ნათესავი ან შთამომავალია.

ამენჰოტეპის შვილის ექნატონის მეუღლე თათუ-ნეფერტიტი, მათი შვილი ტუტანჰამონი, თათუ-ნეფატიტის ბიძა აიე (ეიე) ეგვიპტის ფარაონები იყვნენ, ასევე რამზეს I, რამზეს II, რამზეს III, და მათი მემკვიდრეები თეთრკანიანები და კოლხები იყვნენ.

მეცნიერთა მტკიცებით ფარაონ თუთანჰამონის (ტუტანჰამონის) და ევროპელი მამაკაცების ნახევრის საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ" (ეგვიპტის დიდი ფარაონების პერიოდში კავკასია, კერძოდ სამხრეთი კავკასია კოლხებით იყო დასახლებული).

„მეცნიერების ვარაუდით დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ თანამედროვე ევროპელებისა და ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა... ამ ჯგუფის წევრთა განსახლება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე დაახლოოებით 9 ათასი წლის წინ დაიწყო, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად". (ფარაონ ტუტანჰამონისა და ევროპელი მამაკაცების ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყავდათ გაზ. **„ახალი თაობა",** 2011, 4 აგვისტო, №183, გვ. 11.)

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

�ᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

„მეცნიერება ბუნებით ნიჭიერ, ერუდირებულ, შრომისმოყვარე, გამბედავ პიროვნებებს მიჰყავს“.
ᲜᲘᲙᲝ ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მეგობრობა ჩინებული სამკაულია ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. გულითადი მეგობრის გარეშე ადამიანთა ურთიერთობა უინტერესო იქნებოდა. აკი გვიანდერძა დიდმა შოთა რუსთაველმა **„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.** ასეთი მეგობრობით გაატარეს თავისი ცხოვრება აკადემიკოსმა ბატონმა ილია ვეკუამ და აკადემიკოსმა ბატონმა ანდრო ბიწაძემ.

1935 წელს როდესაც ბატონი ა. ბიწაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა ილია ვეკუა უკვე ცნობილი მეცნიერი იყო. წარჩინებული სტუდენტის ნიჭი არ გამოპარვიათ ნიკო მუსხელიშვილს და ილია ვეკუას და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (ყველა საგნები ფრიადზე ჩაბარა) ბატ. ა. ბიწაძე ასპირანტურაში ჩარიცხეს და დაუნიშნეს სტალინური სტიპენდია. ხელმძღვანელად კი ილია ვეკუა დაუნიშნეს, რომელიც იმ დროს უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი იყო. ხელმძღვანელისა და ასპირანტის ერთად მუშაობამ კიდევ უფრო დაახლოვა დიდი მეცნიერი და პერსპექტიული ასპირანტი ერთმანეთს. 1944 წელ. ბატ. ა. ბიწაძემ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ერთხმად მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, და მუშაობა დაიწყო ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იმ დროს ინსტიტუტის დირექტორი იყო აკადემიკოსი ბატონი ნ. მუსხელიშვილი. 1947წ. ბატ. ნ. მუსხელიშვილის წინადადებით ანდრო ბიწაძე მივლინებული იქნა მოსკოვში – დოქტორანტურაში. ხელმძღვანელად მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი მ. ლავრენტიევი დაუნიშნეს. 1951 წელს ანდრო ბიწაძე წარჩინებით იცავს სადოქტორო დისერტაციას რომელსაც დიდ შეფასებას აძლევს აკადემიკოსი ვ. კელდიში. **„ამ დისერტაციამ მნიშვნელოვნად დასძრა წინ შერეული ტიპის განტოლებათა თეორია. დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს ავტორის შემოტანილი მეთოდები“** – ბატონი ვ. კელდიშის ასეთმა შეფასებამ საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ ანდრო ბიწაძე, ახლა უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამუშაოდ დაეტოვებინათ მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. ამ დროს ბატ. ი. ვეკუა თბილისში ფართო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. გამოაქვეყნა მონოგრაფია **„ელიფსური ტიპის განტოლებების ამოხსნების ახალი მეთოდები“,** რომლისათვისაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ილია ვეკუას ეს წარმატება ბევრს გაუხარდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, **„კრიტიკოსებიც“** გამოჩნდნენ. ცოტა ხანი გავიდა და შეიქმნა უსიამოვნო გარემო. გაზეთში გამოქვეყნდა წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობამ (ამ დროს ბატონი ვეკუა აკადემიკოს-მდივანი იყო) დაუშვა შეცდომები, მაგრამ მიღებულია ზომები მათ გამოსასწორებლად. ბატ. ნ. მუსხელიშვილს და ბატონ ი. ვეკუას გამოეცხადათ საყვედური პირად საქმეში შეტანით. (აღნიშნული საყვედური ნიკოლოზ მუსხელიშვილმა და ილია ვეკუამ დაახლოებით 10 წელიწადი ატარეს – ყველას დაავიწყდა მის მოხსნა. წესდება კი ერთ წელს ითვალისწინებდა).

1951 წელს ბატ. ი. ვეკუა ოჯახით საცხოვრებლად მოსკოვში გადადის. იქ მას რუსს მეგობრებთან ერთად ხვდება ყოფილი სტუდენტი და კოლეგა ახლა უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ანდრო ბიწაძე. ახალ ფაზაში შევიდა მათი მეგობრობა, ორთავე იწყებს ფართო მუშაობას მათემატიკური მეცნიერების განვითარებისათვის. ილია ვეკუა და ანდრო ბიწაძე, დიდ შემოქმედებით კვლევა-ძიებასთან ერთად, მაღალ დონეზე ფლობდნენ მეცნიერულ ადმინისტრაციულ მართვის ხელოვნებას. ამიტომ მაშინდელმა საბჭოთა მთავრობამ დიდ რუს მეცნიერთან ბატ. მ. ლავრენტიევთან ერთად ბატ. ი. ვეკუას და ბატ. ა. ბიწაძეს დაავალეს უდიდესი სამეცნიერო ცენტრის შექმნა შორეულ ციმბირში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების სახით. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის პირველი გასაღები ბატონმა ილია ვეკუამ ჩაიბარა. ეს დიდი ტვირთი იყო, ბატონ ილია ვეკუასათვის – ახალი სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულების შექმნა და ჩამოყალიბება დიდ შრომას მოითხოვდა რომელსაც ბატ. ილიამ წარმატებით გაართვა თავი.

ბატონი ვეკუა გაზ. **„პრავდაში“** წერდა **„ნოვოსიბირკის უნივერსიტეტი მხოლოდ ახალი სასწავლო დაწესებულება როდია. იგი ახალი ტიპის უნივერსიტეტია“** (ა. ბიწაძე. **“ილია ვეკუა”.** 80გვ. 23 1987წ.) იქ, შორეულ ციმბირში, დიდ რუს მეცნიერ მ. ლავრენტიევთან ერთად ორი დიდი ქართველი მეცნიერი ილია ვეკუა და ანდრო ბიწაძე ქმნიდნენ და აყალიბებდნენ დღეისათვის რუსეთში ერთ-ერთი სასწავლო სამეცნიერო ცენტრს – ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტს.

ბატონმა ი. ვეკუამ და ბატონმა ა. ბიწაძემ უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მათემატიკის განვითარების საქმეში. მათმა ახალმა გამოკვლევებმა, ტერმინებმა და ცნებებმა სამუდამოდ დაიკვიდრეს ადგილი დიდ მათემატიკურ სამყაროში. ორმა დიდი ქართველმა მეცნიერმა ბოლომდე უერთგულეს ერთმანეთს და სიკვდილამდე დარჩნენ მეცნიერების ერთგულ მსახურებად. მსოფლიო სამეცნიერო წრეებში ერთხმად აღიარებენ, რომ მათმა ფენომენალურმა ნიჭმა და კომპიუტერულმა აზროვნებამ ბატონები ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა და ანდრო ბიწაძე მსოფლიოს ისეთი დიდი მეცნიერების გვერდზე დააყენა, როგორებიც იყვნენ პასკალი, ჯოულ-ლენცი და ნიუტონი. ამ ვარსკვლავედში ოქროს ასოებით ჩაწერილი მათი სახელები იკაშკაშებს მანამ, ვიდრე დედამიწაზე სიცოცხლე იარსებებს.

ბატონი ი. ვეკუა ბოლოს ავად იყო, ვერ ლაპარაკობდა, თავის სათქმელს გრიფელის დაფაზე წერდა. იგი მოსკოვის საავადმყოფოში – კუნცევოზე იყო როდესაც თავისთან გამოიძახა თავისი ერთგული კოლეგა და მეგობარი ანდრო ბიწაძე. მათ შორის თბილი და მეგობრული საუბარი გაიმართა. შეეხენ მრავალ მეცნიერულ თემებს.

ბატ. ილია – **„თქვენ გინდათ მითხრათ, რომ მეცნიერება ვერ ეტევა ეროვნულ ჩარჩოში? ეხ მართლაც ასეა, მაგრამ უკეთესი იქნება ჩვენ სამშობლოში არ შეწყდეს მუშაობა იმ პრობლემებზე, რომელთანაც ჩვენ ყველა ნიკო მუსხელიშვილმა მიგვიყვანა“.**

ბატ. ი. ვეკუამ შეძლო დაბრუნებულიყო საქართველოში. მაგრამ ეს ვერ შეძლო ბატ. ა. ბიწაძემ, იმ დექსტრუქციული ძალების პროვოკაციების გამო, რომლებიც ბოგინობდნენ მაშინდელი საქართველოს მენციერებაში. სწორედ მათი ძალისხმევის შედეგი იყო, ბატონი ილია ვეკუა რომ წავიდა მოსკოვში, რაც, საბედნიეროდ, მას და მთლიანად ქართველ ერს სასიკეთოდ შემოუბრუნდა. როგორც ანდრო ბიწაძე წერს: **„მოსკოვის ხანა აღინიშნა** მისი (ბატონი ილიას ლ.ბ.) **მეცნიერული მოღვაწეობის მსოფლიო აღიარებით“** (დას. ნაშ. გვ. 29).

დექსტრუქციულმა ძალებმა ბატ. ი. ვეკუას პრობლემები შეუქმნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის დროს, რის გამოც არჩევნები შეჩერდა. საქმეში ჩაერია აკადემიკოსი ვ. კელდიში და არჩევნები ვეკუას გამარჯვებით დამთავრდა. ბატონ ა. ბიწაძესაც დიდი სურვილი ჰქონდა დაბრუნებულიყო საქართველოში, რასაც რამდენჯერმე ეცადა. ბატ. ნიკო მუსხელიშვილიც ეხმარებოდა, მაგრამ თვით მუსხელიშვილის ფაქტორიც უძლური აღმოჩნდა. ანდრო ბიწაძემ წერილით მიმართა მაშინდელ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს. როდესაც ბატონი ა. ბიწაძე მაშინდელმა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ, გაუნათლებელმა და უწიგნურმა შ. ბუხრაშვილმა მიიღო; – აკადემიკოსს, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს სკამიც კი არ შესთავაზა და ფეხზე მდგომს უპასუხა: ორ ოთახიან ბინას მოგცემთ, მეტის შესაძლებლობა არ გვაქვსო.

მაშინდელი ორ-ოთახიანი ბინა 32 კვადრატული მეტრი იყო, რომელიც ბატ. ა. ბიწაძის ბიბლიოთეკასაც კი არ ეყოფოდა. გულნატკენი ანდრო ბიწაძე იმ დღესვე გაეცალა თბილისს და გაფრინდა მოსკოვში, სადაც ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. გადის გარკვეული დრო და ანდრო ბიწაძე ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად ინიშნება შეთავსებით, ნახევარ განაკვეთზე. აქაც გამოჩნდნენ ხელმოცარული **„მეცნიერები“,** რომლებიც ვერ შეეგუენ სამეცნიერო მუშაობის დიციპლინას – რომლის გარეშე წარმოდგენილია სამეცნიერო მუშაობა და აფრინეს წერილი მოსკოვში, საკავშირო აკადემიაში, რომ ბიწაძე უკანონოდ ღებულობს ხელფასსო. იქედან მოდის პასუხი: ა. ბიწაძის დონის მეცნიერებისათვის ასეთი დანიშვნა დასაშვებია, და მის მიმართ არ შეიძლება რაიმე პრეტენზიები არსებობდესო. ეს რომ გაიგო, ანდრო ბიწაძემ, ორ საათში მოაგვარა განთავისუფლების საკითხი და გაფრინდა მოსკოვში. ამ სტრიქონების ავტორი დარწმუნებულია, რომ ბატ. ი. ვეკუამ და ბატონმა ა. ბიწაძემ ერთად გადაწყვიტეს დაბრუნებულიყვნენ საშობლოში დიდი სამეცნიერო პროგრამით, რომ საქართველოს მეცნიერება განვითარებულიყო მსოფლიოს თანამედროვე მიღწევების შესაბამისად. საკუთარი დიდი გამოცდილება და მიღწევები, რაც მათ მოიპოვეს წლების განმავლობაში, სურდათ გაეზიარებინათ ქართველი ახალგაზრდობა. ეს შეძლო ბატონმა ი. ვეკუამ, მაგრამ ვერ შეძლო ანდრო ბიწაძემ, იმ ხელმოცარული **„მეცნიერების“** გამო, რომლებიც დღესაც დაძრწიან ქართულ მეცნიერებაში. ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ ვინმეს პასუხი მოეთხოვოს. ვწერ იმიტომ, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამოფხიზლდეს ქართველი ინტელიგენცია და აღკვეთოს ის უხამსობა, რაც დღეს განათლების სისტემაში ხდება. არაპროფესიონალი განათლების მინისტრი, არაპროფესიონალი დედა-უნივერსიტეტის რექტორი, რა არის ეს?

– ეს გახლავთ იმ ყბადაღებული ლომაია-თევზაძის რეფორმების შედეგი, რომელმაც განადგურებამდის მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, აკაკი შანიძის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, გრიგოლ წერეთლის, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე წერეთლის, ნიკო კეცხოველის დიდი შრომის შედეგად შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის დედა-უნივერსიტეტი.

მართალია ანდრო ბიწაძეს საქართველოში დიდხანს არ უღვაწნია, მაგრამ ერთი წუთითაც არ გამქრალა მის მეხსიერებაში ქართული მეცნიერება და დედა უნივერსიტეტი. როდესაც ბატ. ი. ვეკუას სამოცი წლის იუბილეზე მოხსენებით გამოვიდა, რამდენიმე წუთი რუსულად ილაპარაკა, შემდეგ ლამაზი, კარგი ქართულით გააგრძელა მოხსენება. მეორე დღეს ვუთხარით ბატონ ანდროს: რა კარგი ქართულით ლაპარაკობდითო.

– ბიჭო, ცხრუკვეთში ნასწავლ ქართულს რა დამავიწყებსო, – სიცილით მოგვიგო მან.

დღეს დიდი მეცნიერი ილია ვეკუა მთაწმინდაზე, თავისი მეგობრის ბატონი ნიკო მუსხელიშვილის გვერდით, განისვენებს.

ბატონ ანდრო ბიწაძის ფერფლი კი დონის მონასტრის პანთეონ კოლიმბარიუმშია დავანებული.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს დიდი მამულიშვილები!

სამშობლოს დიდი სიყვარული ბატონმა ა. ბიწაძემ მრავალ ლექსში გამოხატა რომელსაც ბავშვობიდან წერდა. ერთ დროს ფილოლოგობაზეც კი ოცნებობდა.

„თუ ვერ მოვესწარ, დავუბრუნდე მე ჩემს მიწა-წყალს,
შენ მკერდს მოწყვეტილს ჩრდილოეთში ამომხდეს სული,
დედა-სამშობლოვ, გევედრები, გთხოვ, დამიჯერო,
შენ სადიდებლად, მხოლოდ შენთვის ძგერდა ეს გული!“

მანვე, დიდი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით მიუძღვნა დიდი მეცნიერს, მასწავლებელს და მეგობარს, ბატონ ილია ვეკუას მშვენიერი ლექსი:

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ

მიკოჭყვართ გვალას შარა,
სქვამი რე შორშე ოჯინაფუ,
მარა ქარქამც ქიგნაჯინდა
თოლი გართუუ, ოდინაფუ.
ვარა ეთის მუ რე უჯგუ,
კირდეს გინობუ კინჩხაში ჭყვერთი,
ინოხვილირი ცაში ორტყაფუში
შორშე მაძირაფუ რექი?
ქიმიგართ ხოლოშა და
ქგგარზამუ ჩხე დო ჩხურუ,
მუდგა მანგარი ძვალიში რდენი,
შიშით გური დოიღურუ.
ვარდის ორწყექ, მალამო რე,
სარკო ფერით მაპირალი,
ფრთხილას ორდა, თისთი უღუ
უბედრობა კაკილარი.
ათაში რე ყოროფათი
კვანწილი ცირას ქოგნფერი,
ოდო, ბაბა, მოუთხილე,
ვარა დორხაშნც ჟვერი.

ᲘᲚᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐᲡ

მარტოობაში ალბათ ხშირად მოგაგონდება
ბავშვობის წლები, შეშელეთში გატარებული,
ბაბუა თედოს მართებული და მკაცრი სახე,
ძვირფასი დედის სათნოობით აღსავსე გული.
ახალ ცხოვრების განთიადის მომსწრე ხარ სიყრმით,
სისხლის ღვრა, მტრობა მძვინვარებდა გარეთ და შინა,
გზამ ეკლიანმა, მომავლისკენ ძნელად სავალმა,
სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვერ შეგაშინა.
მეგრელი გლეხის მართებულმა და ფიცხმა შვილმა,
მეცნიერებას შეალიე ახალგაზრდობა,
წარმატებებით ფრთაშესხმული წინ ისწრაფოდი,
ვერ გაშინებდა უგუნურთა შური და მტრობა.
ბევრს ალბათ ახსოვს, უსამართლოდ როგორ ასტეხეს
ცრუმკვლევარებმა ერთობლივი სტვენა, განგაში.
ბოლო კი მინც გაიმარჯვა, როგორც ყოველთვის,
მართალმა საქმემ სამართლიან ჩვენ ქვეყანაში.
კვლავაც მძიმეა დღევანდელი ჩვენი ცხოვრება,
ჩვენი ხვედრი სულ მუდამ შფოთი და ჭიდილია,
მრავალჟამიერ მოყვასისთვის სასიხარულოდ,
გამარჯვებული და დღეგრძელი იყავ ილია!

1951 წელი ნოემბერი, მოსკოვი

ამ სტრიქონების ავტორს ჰქონდა დიდი ბედნიერება სუფრასთან ენახა ბატ. ნიკო მუსხელიშვილი, ბატ. ილია ვეკუა, ბატონი ანდრო ბიწაძე, მომესმინა მათი დინჯი საუბარი, მენახა დიმილიანი კეთილი თვალები, საიდანაც გამოსჭვივოდა ძლიერი უშრეტი ენერგია, შინაგანი სიძლიერე, სამეცნიერო შემოქმედების ფენომენალური ნიჭი, და რაც მთავარია, საქართველოს დიდი სიყვარული. მოვისმინე და ჩემმა მეხსიერებამ შემოინახა ბატონ ნიკო მუსხელიშვილის სიტყვები: **„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი უნდა იყოს მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი“.** დღეს დედა უნივერსიტეტს რექტორად ჰყავს მეცნიერებიდან შორს მდგარი პიროვნება რომელსაც სასკოლო ჟურნალიც კი არასოდეს აუღია ხელში.

ᲚᲔᲝᲜᲢᲘ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
ინჟინერ-ეკონომისტი

საქართველოს ერთიანობისათვის!

ბატონო როლანდ,

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ჩამოვცილებოდი დისკუსიებს ქართული პოლიტიკური სინამდვილის გარშემო, მაინც ვერ ვძლიე ცდუნებას და თქვენს "**ილორთან**" შეხმიანება მომინდა, რომელიც შენდაუნებურად გაცდუნებს და სნეულ სამშობლოზე გაწყვეტინებს ფიქრს!

არც ინტერნეტგამოცემები გვაძლევენ მოსვენებას, ოღონდ, სულ სხვა კუთხით – იქ, აშკარად უთანასწორო ბრძოლები მიდის, ქვეყნის გადარჩენის მსურველთა და მის დამაქცევრებს შორის, სადაც, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელნი ლიდერობენ, რადგან, "**მიშამაგარიას**" მთავრობა, ქვეყნისთვის უკადრებელი საქმისთვის დიდ ფულს იხდის, რაც უკომენტაროდ ეტყობა სახელმწიფო ინტერნეტგამოშვება "**პრესა-ge**"-ს!

...უკვე საკმაო დრო გავიდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ციებ-ცხელების ჩაქრობიდან. დღეს, ფეხბურთზე თუ არ ამომდის მზე, მე ის ქართველი გახლავართ, რომელმაც, ორი კვირის დამოუკიდებლობაგამოცხადებულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე, 1990 წლის ზაფხულს, პირდაპირ ეთერში ვისაუბრე გიუნტერ ნეტცერთან ერთად გერმანიის ტელევიზიით. აქედან გამომდინარე, მაქვს უფლება შეევკამათო "**პრესა-ge**"-ს და არა მის მიერ გამომზეურებულ, ვითომც კახა კალაძის ოპონენტებს, რომლებსაც „**წერილებზე**" ეტყობათ, საკუთარი დედის გინების მეტი არაფერი აქვთ აქამდე ქვეყნისთვის ნაკეთები!

კახა კალაძის სახელს კი, სხვა ევროპელ ფეხბურთელებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატის დღეებში, სიამაყით ახსენებდნენ სპორტული მიმომხილველები, რომელთა დამსახურების გამო მაყურებელი არ აკლია აქაურ სტადიონებსა და ტელეეკრანებს!

როცა, სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან გადმორეკილი ქართველები, შევარდნაძეს და სააკაშვილს იცავენ ხმალამოღებული – **უბრალო ავადმყოფობასთან კი არა, ეპიდემიასთან გვაქვს საქმე!**

ისტორიულად ცნობილია, ქვეყანაში უკიდურესი გასაჭირის ჟამსაც კი, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნებოდა ხოლმე!

უკიდურესი გასაჭირი, საქართველოსათვის "**პრესა-ge**"-ს მიერ შეთხზული სიბინძურეები და, მერეთსა და კარალეთში გამოყვანილი „**ნაცმოს**" სულგაყიდული ქართველებია, რომლებიც მძიმე ავადმყოფები არიან, მაგრამ ეს ნუ დაგაღონებთ, მე ზემოთ ვახსენე – **გამოსავალი ყოველთვის მოძებნილა! გამოსავალი, ამ ავადმყოფთა სამკურნალოდ, ბატონ ბიძინა ივანიშვილის დანაპირები „საქართველოს ყველა მოქალაქის დაზღვევაა", რომელიც „ნაცმოური" სახადით დაავადებულთა მკურნალობასაც ითვალისწინებს!**

– ვინც განიკურნება და გადარჩება, უფალი წყალობდეთ, ვინც არა და, ისე განათლდნენ, როგორც იმსახურებდნენ!

ბატონო როლანდ, გთხოვთ გადახედოთ, ორი წლის წინ, სწორედ მორიგ არჩევნებამდე გამოქვეყნებულ ჩემს წერილს და იგივე რომ არ გამეორდეს, რასაც მაშინ ვწერდი, კიდევ ერთხელ გავაცნოთ იგი იმ მკითხველს, რომლისთვის საარჩევნო ყუთთან მისვლა, მხოლოდ მოვალეობის მოხდა არ არის!

პატივისცემით,

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

საქართველოს ერთიანობისათვის!

ეს წერილი რომ გამოქვეყნდება, (ან მის შემდეგ) კიდევ ერთი არჩევნები იქნება ჩავლილი საქართველოში. არჩევნები, რომელიც, სამწუხაროდ, ვერაფერს შეცვლის ჩემი ხალხის და ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ, რადგან, ჩემს ხალხს და სამშობლოს არავინ ეკითხება ვინ უნდა აირჩიოს და ვის მიანდოს ქვეყნის ბედი და მომავალი!

ადრე თუ ერთი ბატონის გადასაწყვეტი იყო ჩვენი ქვეყნის მომავალი, ახლა რამდენიმეს უნდა ვთხოვოთ გამოიჩინოს კეთილი ნება (რისი უტყუარი დასტური, პოზიცია-ოპოზიციის გაუთავებელი ვოიაჟებია სხვადასხვა მიმართულებით!) და ყოველივე ამას, დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტი და მისი მთავრობა – **თავისუფლებას და დამოუკიდებლობას უწოდებს!..**

გასული 26 მაისის გრანდიოზული შოუც ამაზრზენი ფარსი გახლდათ – **მტერს რომ თვალს უბრმავებს და მოყვარეს კი გულს უკლავს!**

უნებურად შექმნილმა გარემოებამ მაიძულა, თორემ ნამდვილად არ ვაპირებდი ამ თემაზე კალმის დასველებას.

„ძართველ ხალხს,
საქართველოს ყველა მოსახლეს,
ვისაც საქართველო სამშობლოდ
მიაჩნია:

საქართველოს გაერთიანებაზე ჯერ კიდევ თუ ფიქრობს ქართველი ხალხი და მისი მკვიდრი და ერთგული მოსახლეობა, მან, მომავალ არჩევნებში „გასხვისებული ტერიტორიის" (აფხაზეთის, სამაჩაბლოს) მკვიდრი უნდა აირჩიოს პრეზიდენტად. მხოლოდ ასეთ პრეზიდენტს შეიძლება გაუჩნდეს მისი სამშობლოს წართმეული ტერიტორიების დაბრუნების სურვილი, სადაც იგი დაიბადა და წინაპართა საფლავები დარჩა!

ცხადია, ხალხის რჩეული, სრული საპრეზიდენტო ასაკის და სულიერად ჩამოყალიბებული უნდა იყოს და არა მისი წინამორბედის მსგავსი, რომელსაც ასაკიდან მოყოლებული, არც წინაპარი და არც მათი საფლავები აწუხებს!

წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც მათთვის, გაუთავებელი ვაჭრობის და სპეკულირების საგნად დარჩება!

ამაღლდით საკუთარ თავზე და სძლიეთ სატანას, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩასახლებულა თქვენს სულებში!

უფალი გწყალობდეთ
თანადგომისათვის!
29.05.2010"

საღამოს ფოსტით მიღებულ ამ წერილს თხოვნაც მოჰყვა:

„გთხოვთ გაეცნოთ და მოგვწეროთ თქვენი აზრი. წინასწარ გიხდით მადლობას, თქვენი კომპეტენტური პასუხისათვის!"

კომპეტენტურის რა მოგახსენოთ, ამხელა პასუხისმგებლობას ნამდვილად ვერ ავიღებ თავზე, მაგრამ უტყუარია – წინადადება ძალზე საინტერესოა!

აქვე უნდა ვთქვა: **დარწმუნებული ვარ, ეს არჩევანი არ იქნება იოლი მისაღწევი, „ნაცების" სომხური ორიენტაციის მთავრობა და პარლამენტი ამ იდეის სასტიკი წინააღმდეგი იქნება!**

მეორეც – **მსურველი უამრავი გამოჩნდება და თავს წამოჰყოფს ყველა ნაძირალა, ადრე რომ შევარდნაძე-უსსენებელს უძვრებოდა და დღეს „მიშამაგარიას" ეჩხირება უადგილო ადგილას, თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და არა ქვეყნის გადასარჩენად!**

გამომდინარე აქედან, ქართველმა ხალხმა უნდა შეარჩიოს ღირსეული კანდიდატი, რომელსაც ქვეყნის დაშლა-გასხვისებაში არ მიუღია მონაწილეობა, საკუთარ კეთილდღეობაზე არ გაუცვლია წინაპართა საფლავები, არცერთი ხელისუფლის დაკრულზე არ უცეკვია ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისთვის **„ტრადიციის შენარჩუნება"** ის კი არ არის, იცოდეს, **„რომელ სადღეგრძელოზე უნდა ამოუდგას განსხვავებულ სასმისს პატარა ჭიქა"**, არამედ – **ტრადიცია სამშობლოს ერთგულებაშია!**

ქართველმა ხალხმა, თუ კი მას ჯერ კიდევ შერჩენია სამშობლოს ხსნის სურვილი – **გადაჭრით უნდა უთხრას უარი ქვეყნის ათასგზის მოღალატეებს და ამდენჯერვე მომნანიებლებს, რადგან თვალსა და ხელს შუა შემოგველია ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო და იგი უსინდისო მოექსპერიმენტეებს არ უნდა გავანადგურებინოთ, რასაც ისტორია არ გვაპატიებს!**

მე სულაც არ ვარ იმ ჭკუაზე, ადამიანს შეცდომა არ ვაპატიოთ, მაგრამ, როცა იგი სამშობლოს ეხება – **„ცოდვა მიტევებული და ნაზიარები" იმავე საქმეს არ უნდა მიუბრუნდეს, რის გამოც მოძღვრის წინაშე მონანიებამ მოუწია!..**

სამწუხაროდ, ასეთები უამრავი არიან დღეს **„პოლიტიკოსებს"** რომ უწოდებენ საკუთარ თავს და **„პოლიტიკოსობა"** შემოსავლის წყაროდ **„ბიზნესად"** გაიხადეს. ასეთ ხალხს არასოდეს შერცხვება – **წარსულში, ქვეყნის და ხალხის წინაშე შეგნებულად ჩადენილი დანაშაული, უნებლიე შეცდომად წარმოგიდგინოთ და მონანიებაც არ ეთაკილებათ!..**

ნუ მოგერიდებათ, უარი უთხრათ და მოიკვეთოთ ისინი, რადგან მათ, თქვენ, თქვენი უმოქმედობის და მრავალგზის შენდობის გამო, პირდაპირ გეტყვით – **არასრულყოფილებად „დაბალ დონედ" მიაჩნიხართ, რომელიც მაინც ვერაფერს გაიგებს, მაგრამ, თუ დასჭირდით, ფეხქვეშ გაგეგებათ!"**

სახელგატეხილობაზე არაფერს ვამბობ, ფარისევლები და ტელეეკრანზე სახეგაცვეთილები ვერ უნდა ბედავდენენ თქვენთან გამოჩენას, მითუმეტეს – **თქვენი სახელით საუბარს და სპეკულირებას!**

საკუთარ თავს და სამშობლოს ეცით პატივი, როცა გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დადგებით, რაც მალე უნდა მოხდეს!

მაშინ მაინც გაითვალისწინეთ – **უმწიფარი ახალგაზრდა, რომელსაც არცერთი მეგობარი ენგურსგაღმა (სამაჩაბლოსაც ვგულისხმობ!) არ ჰყოლია და ერთი დღე იქ არ უცხოვრია, ვისთვისაც სამსახური მხოლოდ ფულის მოხვეჭის (არა აქვს მნიშვნელობა, იგი თუნდაც, მხოლოდ ხელფასი იყოს!) ადგილია და არა პასუხისმგებლობა და ტკივილი, რომელსაც არც ცხადში და არც სიზმარში არ მოელანდება უღრან ტყედ ქცეული სასაფლაოები და თქვენი ნასახლარები, თქვენს საქმეს არ გააკეთებს და თქვენი სატკივარი არ ასტკივდება!**

კაცი, რომელმაც მიცვალებული არ დატოვა წინაპართა სასაფლაოზე, იქ დაბრუნებას რომ არ დააპირებს, დიდი ფილოსოფოსობა რომ არ სჭირდება, თქვენთვის არ უნდა იყოს სასწავლი! მაგრამ – **ვაი რომ თქვენც ჩაიქნიეთ ხელი მგონია იქაურობაზე!.. მე ყველაზე მეტად ეს მაწუხებს და „ყვავს კაკალი რომ გააგდებინოთ" ის გირჩევნიათ!.. ამიტომაც გათითოკაცდით, ამიტომაც უქიცინებთ კუდს (ხშირად მინახიხართ სხვა და სხვა შეკრებებზე!) მაამებლად იმათ, ვინაც თქვენი უბედურებით მილიონები მოიხვეჭა და ზემოთნათქვამის არ იყოს „ოდაბადესეული" ტრადიციის შენარჩუნებად „საგანგებო სადღეგრძელოზე პატარა ჭიქის დროულად ამოდგმა მიაჩნიათ!"**

გაიხსენეთ, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (არც უწინ იყო გადასარევად ამ მხრივ საქმე – **ნახეთ და წაიკითხეთ ბ-ნი ნაპო მესხიას თავზარდამცემი წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი"**), ვინ საუბრობდა და ვინ წყვეტდა აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ – **ადამიანები, რომლებსაც, არასოდეს, არანაირი ურთიერთობა არ ჰქონიათ ამ კუთხეებთან!**.

დააკვირდით – ვინ ჩამოდის საქართველოში უცხოეთიდან თქვენი გასაჭირის მოსაგვარებლად!.. მე არავის ფერს არ ვიწუნებ, მაგრამ ნახშირივით გამურულს, თავის სამშობლოში ათასობით ბავშვი რომ შიმშილით უკვდება, ის დაგილაგებთ აქაურობას?

თქვენი გასაჭირი (**იგივე საქართველოს გასაჭირია!**), თქვენი და საქართველოს ინტერესების გამყიდველი ქართველების და უცხოელი დამკვირვებლებისათვის გამდიდრების წყაროდაა ქცეული.

...გველის ნაკბენივით (მეც ვტყუივარ, არასოდეს უკბენია, ღმერთმა დამიფაროს, გამოთქმა დამჭირდა უბრალოდ!) მახსოვს – ერთხელ, თბილისიდან ფრანკფურტში ფრენისას, შავკანიანი გაეროს დამკვირვებელი დამემგზავრა. ჩემს გვერდით, ილუმინატორის მხარეს იჯდა ბიზნესკლასის წინა რიგში. რამდენჯერმე ადგა და იმდენჯერვე ინგლისურად მომიბოდიშა შეწუხებისათვის. მეც, იმდენჯერვე გერმანულად რომ მივაგებე – **Kein Problem!**. რატომღაც გერმანელად მიმიღო და ენა არ გაუჩერებია – მთელი გზა ქართველების ნაკლზე (**რაც მართლა არ გვაკლია, მაგრამ არც ისე ვართ, რომ დარვინის საცდელი ლაბორატორიის ბინადარის დასამოძღვრი და აღსაზრდელები ვიყოთ!**) მესაუბრა. არ მიცდია ხელი შემეშალა და კითხვაც არ დამისვამს, ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რას ფიქრობდა ჩვენზე, ქართველებზე, გაეროს მადალანაზღაურებადი ნახევრად ველური!.. უჩვეულოდ გრძელი მკლავები და ხელის მტევნები კოჭებამდე რომ წვდებოდა!..

თვითმფრინავიდან გამოსვლისას სტიუარდესას ვკითხე – თუ არ დაგეზარებათ მითხარით რა ფერის ვარ-მეთქი!

კოპწია გამცილებელმა (რომელიც, ვხედავდი, მთელი გზა ისმენდა ჩვენს საუბარს!) მხიარული სიცილით გამომაცილა და თანაგრძნობა გამომიცხადა – **მძიმე საფრენი პირობებისათვის, რომელიც მათგან დამოუკიდებლად შემექმნა!**

უფალო შენ გვიშველე! – ენგურის ხიდთან გამართული აქცია მოაგვარებს თქვენს სატკივარს?

ხომ გაიგეთ რა თქვა ყურებამდე გადიმებულმა **„მიშამაგარიამ" – ავშენდით „ბონიემი" და რამდენიმე "ჟანგიანი" დედაკაცი გააცნობს მსოფლიოს, საქართველოს რომ ამდენი ლტოლვილები ჰყავსო(!!!).**

ახლა მინც ხომ დაინახეთ – **აქამდე, თქვენს შესახებ, არავის არაფერი სცოდნია?!.**

ჩემი მოგონილი არ გეგონოთ, ეს სინამდვილეშიც ასეა – **იქ (ევროპასა და ამერიკაში), მართლა არავინ იცის საქართველოს რეალური პრობლემების შესახებ, იმაზე მეტი, რასაც საქართველოს პრეზიდენტს და მის წარმომადგენლებს მათი ახალი, უცხოელი ბატონები დაუგეგმავენ სათქმელად!**

მინდა იცოდეთ – **ასე დაცემული და უფლებაწართმეული საქართველო არასოდეს ყოფილა, ვიდრე დღეს არის. იყო დრო (არა ერთხელ და ორჯერ!), როცა რამდენიმე მტერი უტევდა ჩვენს სამშობლოს, მაგრამ რამდენიმეს ერთად იგი არასოდეს დაუპყრია, არ შემოგვსევიან და ნაწილ-ნაწილ არ დავუგლეჯივართ – იმდროინდელ მტერს მეტი ზნეობა ჰქონდა, ისინი საქართველოს დასაპყრობად ერთმანეთს ეომებოდნენ, დაჩოქილს და ზურგზე დაცემულს ნამუსს არავინ ხდიდა!**

ქართველი ჯარისკაცები ერაყსა და ავღანეთში გაჰყავთ საომრად – **საქართველოს მიწებს კი უომრად ისაკუთრებენ!**

ქართველ ხელისუფალთა დანაქადნები **„საქართველოს ერთიანობაზე და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე"** რჩება **„ხმად მღარადებლისად უდაბნოსა შინა!"**, რაც იმთავითვე ცნობილია **„მიშა მაგარიას დამოუკიდებელი საქართველოს" ახალი მბრძანებლებისათვის**; თან, ისინი, როგორც იტყვიან, ორ კურდღელს იჭერენ ამ აქციით.

პირველი – **მშიერ და არაფრისმქონე ახალგაზრდობას აცდუნებენ, ქართული სინამდვილისათვის** (თორემ იგი ნებისმიერი უცხოელისთვის მათხოვრულია! დ.შ.) **მაღალი ანაზღაურებით და საკუთარი ნებით** (რიგები დგას ამ ბატალიონებში მოსახვედრად! დ.შ.) **მიჰყავთ სასაკლაოზე!**

მეორე – **მოჩვენებითი იმიჯი ექმნება საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, რომელიც არც ქართულ და არც უცხოურ მხარეს არ სჯერა, იგი მხოლოდ, გამათხოვრებული ქართველი ხალხის თვალის ასახვევად და მათი ამპარტავნული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაა მოგონილი, რომ ჩვენც რაღაცას წარმოვადგენთ, ვიღაცას ვჭირდებით – თითქოს უჩვენოდ რაღაცა საკითხი არ წყდება ამ ქვეყნად!..**

ღმერთო – **გამოიყვანე ჩემი ხალხი და სამშობლო ამ სიბნელიდან და გასაჭირიდან!**

შევარდნაძე-უხსენებლისა და **„მიშამაგარიას"** ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა – მის ძარცვა-გასხვისება და გარყვნილებაში გამოიხატა!

–აქ კი, ნამდვილად ტოლს ვერ დაგვიდებს არამც თუ პოსტსაბჭოთა – თვით, ამ **„საქმეში"** სახელგანთქმული, ევროპული ქვეყნები!.. ოღონდ ეგ არის – **ეგ „საქმე" მასობრივი კი გახდა, მაგრამ, ფეხბურთის არ იყოს, ამ „დარგშიც", პირველ ასეულს მიღმა ვრჩებით თურმე!..**

როგორც ამიხსნეს და **„განმანათლეს" – ქართველი „ჰუტანკები" სადგურის და თურქული ბაზრობების ზღუდეებს ვერ ცდებიან, რადგან მაღალინტელექტუალური მათი კლიენტები, კაცივით დედისმაგინებელ და უწიგნურ მდედრებს, მხოლოდ ხორცისთვის არ ეტანებიან!..**

–დავიღუპეთ, აქაც მოგვეჭრა თავი!

სამართლიანობას ვერ გავექცევი – **„მიშამაგარიამ"** კი იზრუნა ამ კუთხით და **„მოზარდთა განმანათლებელი შორენა"** შემოგვიყვანა ტელეეკრანით ქართულ **„ტრადიციულ"** ოჯახში! მაგრამ, როცა პრეზიდენტი **„ხალხზე ზრუნვას"** იყო გადაყოლილი, რომ იტყვიან – **თურმე ეშმას არ ეძინა!**

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

ᲪᲝᲓᲕᲘᲡ ᲙᲐᲚᲝ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲨᲘ

(იბეჭდება შემოკლებით)

პატარა ქალაქ წალენჯიხას მარად სამწუხარო მოგონებად დარჩება ოცი წლის წინანდელი სისხლიანი ბრძოლა, ავადმოსაგონარი ის დღე და შემაზრზენი შემდგომი დღეებიც, დაპირისპირებულ ძალთა ამ შეტაკებას რომ მოჰყვა.

1992 წლის 6 ივლისს წალენჯიხაში მომხდარი ტრაგედია არის უკანონო ხელისუფლებისა და დაქირავებული კრიმინალური ბანდების მიერ თავისივე ხალხისადმი მტრობის უსაზიზღრესი მაგალითი, როცა 30 ვერცხლის საფასურად ქართველი ქართველს შინ ეჭრება გასანადგურებლად და მერე გასაოცარი სისასტიკით უსწორდება უდანაშაულო ადამიანებსაც, კლავს, ძარცვავს, უკიდურესად შეურაცხყოფს თვისტომს.

არც ისტორიის ფოლიანტებს შემოუნახავს მსგავსი რამ, არც უცხოელი დამპყრობლებთაგან შეხვედრია ამ კუთხის მცხოვრებთ ამგვარი დამცირება და აწიოკება. აქ გამომჟღავნდა რენეგატთა და კოლაბორაციონისტთა ვერაგობა და დაუნდობლობა... მათ, პირველად ყველაზე მეტად წალენჯიხაში დააკნინეს, შერყვნეს საქართველოსა და ქართველობის მცნებები.

ივლისის ის დღეები ფაქტობრივად მთლიანად სამეგრელოს ცრემლიანი დღეებია, იმ დიდი ვარამისა და სატკივარის გახსენებაა, მოუშუშებელ ჭრილობად რომ დაჰნდა ამ კუთხის მცხოვრების გულს და რისი გახსენებაც უთუოდ საჭიროა მთელი ჩვენი ერის სამომავლოდ.

1991-92 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად, ეროვნული ხელისუფლების ქართველების ხელითვე დამხობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ასევე წარმოუდგენელი უბედურებანი მოჰყვა, რომელთა შორის სამეგრელოში დამსჯელი ეკზეკუციების, ანუ კრიმინალთა ბანდების მრავალგზის თარეშის საშუალებანი განსაკუთრებულია. საქართველოს დღევანდელ ყველაზე დიდ ტრაგედიას, აფხაზეთის დაკარგვასა და იქიდან ქართული მოსახლეობის დეპორტაციას სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი.

რისთვის და რატომ სჯიდნენ ცრუდემოკრატები სამეგრელოს მოსახლეობას?! (დასჯა სხვადასხვა ფორმით დიდ ხანს გაგრძელდა!) – სჯიდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სამეგრელოს მოსახლეობის უმეტესობამ გამოავლინა სამშობლოს სიყვარული, ჭეშმარიტი ეროვნული შეგნება, მაღალზნეობრივი თვისებები და შეეწინააღმდეგა ქვეყნის კვლავ იმპერიის შემადგენლობაში შებრუნების მსურველთ, სჯიდნენ, რადგან უერთგულა ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, შეიფარა დევნილი, კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები. სამეგრელოს მცხოვრებთა უმეტესობა მოიქცა ისე, როგორც ეს მართალ, პატიოსან ადამიანებს შეშვენით. მერე, ძალადობით დაკანონებული ხელისუფლების ვითომ მართლმსაჯულების მსახურნიც კი იძულებული გახდნენ, საჯაროდ ედიარებინათ, რომ 1992 წლის 12 ოქტომბრამდე კანონიერი ხელისუფლების დაცვა მართებული იყო და არის დღესაც. ამიტომაც, მომავლის წინაშე კიდევ უფრო გაბითურდებიან ისინი, ბოროტების იმპერიის შეკვეთას რომ ასრულებდნენ, სამშობლოსა და კანონიერების სიყვარულს რომ უკრძალავდნენ მოძმეთ. მით უმეტეს საწყევარნი და შესაჩვენებელნი არიან საქართველოს ის ხელისუფალნი, რომლებმაც ათასობით ბოროტმოქმედთა, საპატიმროებიდან გამოყრილ დამნაშავეთა ბრბოების ბინძური ვნებების ასპარეზად აქცია სამეგრელო და მთელი საქართველოც.

სამეგრელოს მახსოვრობას სამუდამო შემორჩება, რამდენჯერმე, როგორ იქნა **“აღებული”** აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი, ზუგდიდი, მარტვილი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა და ყოველ ასეთ აღებას როგორი გამაოგნებელი მწუხარება მოჰქონდა.

სამეგრელოს შავი დღეები მცხეთის რაიონის სოფელ აღაიანში დაიწყო. თუმცა, მანამდეც, მთავრობის სახლთან რუსთაველის პროსპექტიც შეიღება პირველი პრეზიდენტის ერთგული მრავალი კოლხი ვაჟკაცის სისხლით, მაგრამ იქ, მაინც, უმეტესად, ორმხრივი ბრძოლები მიმდინარეობდა. აღაიანთან 7 იანვარს ჩასაფრება და შინ მიმავალი ზუგდიდის ბატალიონის წევრთა და სხვათა ამოხოცვა კი სამოქალაქო დაპირისპირების ძალზე ვერაგული გამწვავება იყო, რასაც ომის კანონებითაც არავითარი გამართლება არ ჰქონდა ისევე, როგორიც შემდგომ განვითარებულ მოვლენებს – ნარკომან ნაძირალათა ბანდების გაგზავნას სამეგრელოში.

აღაიანთან დაღუპული ზუგდიდელი შესანიშნავი ვაჟკაცების – ვახტანგ და ნიკოლოზ თორდიების გლოვის დღეები დამთავრებულიც არ იყო, როცა სოფელ ცაიშს მიადგნენ გარე ძალების მიერ შეიარაღებული უკანონო ხუნტის საბრძოლო შენაერთები და იანვრის ბოლოს დროებით წინააღმდეგობა სისხლში ჩაახშვეს. ეროვნული ხელისუფლებისა და მშობლიური კუთხის დამცველებს იარაღი არ ჰქონდათ და რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ, იმით უწევდნენ წინააღმდეგობას, რადგან იცოდნენ, მოდიოდნენ კრიმინალები: მკვლელები, ყაჩაღები, **“ნასედკები”, “ობიჟნიკები”,** ისეთი ნაძირალები, საკუთარი დის გაუპატიურებისათვის რომ იხდიდნენ სასჯელს. მოძალადე სისხლიანმა ხელისუფლებამ სწორედ ეროვნულ გვარდიასთან საბრძოლველად აუნთო მათ მწვანე სინათლე – საპატიმროდან გაანთავისუფლეს 4 ათასზე მეტი კაცი, რომელთა დიდი უმეტესობა ნარკომანი იყო. მათ განუსაზღვრელი უფლებები მიეცათ. მკვლელთა და ყაჩაღთა უსინდისო ბანდებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს ამით. მომხვდურნი ტყვედ ჩავარდნილებს ხვრეტდნენ. ცაიშთან მდგარი წალენჯიხის მცხოვრები გიგანტი დგებუაძე, 35 წლის ვაჟკაცი, ორი შვილის მამა მიხვდა, რომ მცირეკალიბრიანი შაშხანით ტანკებისა და ნაღმმტყორცნებისაგან ვერ დაიცავდა ეროვნულ ხელისუფლებას, მშობლიურ კუთხეს, ამიტომაც იგი უბრძოლველად დანებდა, მაგრამ ხელაწეული ახალგაზრდა კაცი ავტომატის ჯერით მოცელეს. ასევე, პირველსავე შეტაკებებში დაიღუპნენ ზუგდიდელი ვაჟკაცები გია ესებუა, ვახტანგ ჯოჯუა, პაპუნა თოდუა, მამუკა ცხადაია, გოდერძი გოგია, ზვიად წურწუმია, კახა მიქავა, თეიმურაზ მესხია, გია შედანია, რომან კორკელია და სხვები, რაც დაძაბულობის შემდგომი ესკალაციის მიზეზი გახდა. სულ 70-ზე მეტი ზუგდიდელი შეეწირა სამოქალაქო დაპირისპირებას... სამეგრელოში კი – 300-ზე მეტი. ცხადია, ყველას ვერ ჩამოვთვლით.

მხოლოდ ჩვენთვის კარგად ცნობილი ფაქტებით შემოვიფარგლებით.

ზუგდიდში, 21 თებერვალს მომხვდურთა ერთ-ერთ საგუშაგოდან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ესროლეს და საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს რუსეთიდან შინ მომავალი წალენჯიხელი ახალგაზრდა სულხან სარია, იქვე მოკლეს ამ საშინელი ფაქტის გამო საყვედურის გამომთქმელი ზუგდიდელი ტაქსის მძღოლი ლადო ესართია.

25 თებერვალს ზუგდიდის კინოთეატრთან, დედის თავგანწირული მუდარის მიუხედავად გვარდიელმა ვახტანგ გიორგაძემ მოკლა სრულიად უდანაშაულო, ნიჭიერი ახალგაზრდა არქიტექტორი გოჩა ჯიქია, შემდეგ მანვე იქვე უმიზეზოდ მოკლა ქუჩაში მიმავალი ენუქი შონია. ეს გარეწარი მკვლელი იკვეხნიდა თურმე: მე – 18 მეგრელი მოვკალიო.

თებერვალშივე, ზუგდიდის ერთ-ერთ ქუჩაზე უმიზეზოდ გამოედევნენ ჩხოროწყელ 19 წლის გია ბერულავას და ხელაწეული ყმაწვილი დაცხრილეს.

თებერვალშივე ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში მხედრიონელები გასაძარცვად მიეჭრნენ აბო გულიას. მათ დააპირეს აბოს 14 წლის ქალიშვილის გაუპატიურება. გამწარებულმა მამამ იხსნა ქალიშვილი, იგი ნაძირალებს შეებრძოლა და იქვე დაცხრილეს ავტომატის ჯერით...

თებერვალშივე შინისკენ მიმავალ უწყინარ აბაშელ ჭაბუკს, ელვარდი ჭკადუას 18 ტყვია მიაყარეს იმის გამო, რომ ასანთი არ ჰქონდა.

მარტში, ქალაქ სენაკის ერთ-ერთ მიტინგზე, გულში დაახალეს ტყვია ორი შვილის მამას, ავთანდილ ელიავას.

მარტში, სოფელ რუხში, საკუთარი სახლის ეზოს ჭიშკართან მოკლეს ფეხმძიმე ქალი – ნინო ვლადიმერის ასული ფუტკარაძე-ფირცხალავა.

3 აპრილს აბაშასთან სამთავრობო შენაერთების 26-მა ჯავშანტრანსპორტიორმა გადაუარა გზაზე მდგარ მსუბუქ ავტომობილს და შიგ ჩაჭეჭყა 17 წლის კუსო ოდიშარია.

6 აპრილს ვერტმფრენიდან ნასროლი ტყვიებით წალენჯიხაში მოკლეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის პირადი მდივანი ლალი მაისურაძე.

აპრილშივე წალენჯიხის რაიონში ტანკებით გადაუარეს და მიწასთან გაასწორეს კურორტი სქური, რადგან იქ მანამდე ეროვნული გვარდიის მებრძოლები აფარებდნენ თავს.

აპრილშივე გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში კოოპერატორ ზაურ შელიას ოჯახს. მისმა მეუღლემ, მიმოზა ჯანაშიაშელიამ, ორი შვილის დედამ მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

7 აპრილს, ხარება დღეს, მხედრიონელებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალში მდინარე ჭანისწყალზე მოთევზავე ხუთი ყმაწვილი შეიპყრეს. თევზებს ალბათ ზვიადისტებისათვის იჭერთო და ისე დაუზოგავად სცემეს, ძვალ-რბილი გაუერთიანეს, ერთი მათგანი ავტომატის ტყვიით ფეხში დაჭრეს, მერე ყველანი თავდაღმა გააწვინეს და რადგან დაჭრილმა მათი **“ფაქიზი”** ყურთასმენა კვნესით შეაწუხა, სპილოდწოდებულმა მხედრიონელმა დაჭრილს თავზე დააშარდა.

იმ დღეებში იმავე სოფელში ერთმა მხედრიონელმა 19 წლის ჭაბუკს ჯიბეში რევოლვერი ჩაუჩურთა დ გაისროლა – მეგრელები არ უნდა გამრავლდეთო. ერთმაც 18 წლის ბიჭს გაუპატიურება მოუნდომა: თქვენ ეს დაიმსახურეთო.

იმავე პერიოდში ზუგდიდში ე.წ. საჯვარო გადასახვევთან, მხედრიონელებმა ტრანსპორტის მომლოდინე ქალების გაუპატიურება მოინდომეს. იქვე მდგომმა კაცებმა დაიცვეს ქალების ღირსება, რის შემდეგ მათმა მეთაურმა ბრძანა: ქალებს შეეშვით და ეს მამაკაცები იხმარეთო! ყოველივე დამთავრდა კაცების დაუზოგავად, გონების დაკარგვამდე ცემით. ამის შემდეგ მოხდა მხედრიონელ;ებზე რამდენიმე თავდასხმა ზუგდიდში.

ასეთი და სხვა, არანაკლები, ზოგჯერაც გამოუმჟღავნებელი მრავალი ბოროტმოქმედება უძღოდა წინ წალენჯიხაში მომხდარ საუკუნის დანაშაულს – 6 ივლისის ტრაგედიას.

წალენჯიხის ტრაგედია დაიწყო საქსახაბჭოს სხდომაზე, როცა გადაწყდა, რომ თებერვალ-აპრილის სადამსჯელო ეკზეკუციის შემდეგ, ახლა უკვე მესამედ, ივლისში გამოეგზავნათ მსედრიონელთა ძლიერი ძალა კანონიერი ხელისუფლების დამცველ გვარდიელთა, ანუ ზვიადისტთა გასანადგურებლად.

დაიძრნენ სამთავრობო ჯარის სტატუსით მხედრიონელები თვითმფრინავებით, ტანკებით, ჯავშნოსნებით, ქვემეხებით, ნაღმმტყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, **“მუხებითა”** და ნაირგვარი ავტომატებით.

დაიძრნენ და შემოიჭრნენ ვითომდაც სამართლიანობისა და წესრიგის დასამყარებლად. თან მიაცილებდათ **“ელიტარული”** თბილისის ყიჟინა: **“კიდევ ერთხელ ჰკა მაგათო!” “ახლა კი უთუოდ დაასამარეთო ხალხის არჩეული ხელისუფლება და კანონიერება საქართველოში!”** (ეს იყო გამაოგნებელი პარადოქსი, რომლის ანალოგია ალბათ არ არსებობს სხვა ერის ისტორიაში!..)

4 ივლისს ორგანიზებულად შემოვიდნენ მხედრიონელები ჩხოროწყუდან წალენჯიხაში, იქ, სადაც მტრად მიჩნეული მოძმე უნდა გაემეტებინათ გასანადგურებლად. **“პროფილაქტიკური”** მიზნით თვითმფრინავებით წინასწარ დაბომბეს წალენჯიხის რაიონის სოფლების: მედანისა და ჯგალის შემოგარენი, რამაც შინაური პირუტყვის დიდი ზარალი გამოიწვია! იმავე დღეს დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, ავტომანქანებზე **“კონტროლი”** და მათი წართმევა, ბილწი გინება, უხეში მუქარა, რაც შემდგომში **“გადაჭარბებით”** შესრულდა.

დამხვდურის მოთმინების ფიალა უკვე ავსებული იყო... 6 ივლისს მარადუამს მშვიდობისმოყვარე, პურ-მარილით ნაქები წალენჯიხა ძმათამკვლელობის არენად იქცა. ეჭვგარეშეა, რომ ამ დღეს მხედრიონელთა და მათი თანმხლები მხარდამჭერების მსხვერპლი ბევრად მეტი იყო, ვიდრე ოფიციალური მონაცემებით აღინიშნა. კანონიერების დამცველთაგან კი ბრძოლაში დაიღუპნენ: გაბედავა პავლუშა, ქანთარია ვახტანგი, ღვინჯილია გულადი, შენგელია ბიჭა, შონია ონისე. მხედრიონელებმა ტყვედ ჩაიგდეს და წამებით მოკლეს მებრძოლები: დარსანია როინი, კარტოზია ჯემალი, ლომია გოჩა, ძვაბავა ნუგზარი. ამ დღეებში მომხვდურებმა სადისტურად გამოასალმეს სიცოცხლეს სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი მაცხოვრებლები: ზარქუა ზაური, კვარაცხელია მერაბი, მიქავა მურთაზი, ფიფია გურამი. მხედრიონელთა არაადამიანობამ საკუთარ სახლში იმსხვერპლა ღვინჯილია რენო და ძიძარია გუგუ. დააპატიმრეს, თბილისში წაიყვანეს და იქ დაუზოგავად სცემეს, შეურცხყვეს ორი შვილის მამა, უდანაშაულო ოთარ კალანდია, რომელმაც განთავისუფლებისთანავე თავი მოიკლა.

თუ როგორ იცავდნენ წალენჯიხაში ეროვნული პოზიციების დამცველები, ე.წ. ზვიადისტები, ამის შესახებ მოწინააღმდეგე მხარესაც მოვუსმინოთ. აი, რას წერს ვინმე თამაზ ფანჩულიძე, ჯაბა იოსელიანის დაცის უფროსი (გაზეთი **“ახალი თაობა”**, №338, 8 დეკემბერი, 1997 წელი):

“10 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა. მე ასეთი ომი აფხაზეთშიც არ მინახავს... რამდენჯერმე განახორციელეს იერიში და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მათში უმრავლესობა არაფხიზელ მდგომარეობაში იყო. ეს იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ღიად და აშკარად მოდიოდნენ...

ბრძოლის დროს ერთი დეტალი დამამახსოვრდა განსაკუთრებით. თავიდან ამან გამაოცა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. ერთი სვანი ბიჭი იყო ჩვენთან, მოვიდა და უთხრა ბ-ნ ჯაბას: იმდენად ვაჟკაცურად მოდიოდნენ, რომ მენანებოდა მესროლა, ისიც ხომ ქართველია და მეც...”

შემდეგ ასე წერენ, მაგრამ ამგვარი გულწრფელობისაც როგორ უნდა გჯეროდეს, როცა შემაძრწუნებელია ყოველივე, რაც მათ **“გამარჯვების”** შემდეგ მოიმოქმედეს. კვლავ დაიწყო ცალკეული სოფლების შემოგარენის დაბომბვები თვითმფრინავებით, მოსახლეობის ტოტალური ძარცვა და სახლების დაწვა.

არასრული მონაცემების შესაბამისად ამ პატარა რაიონიდან გაიტაცეს 300-მდე მსუბუქი ავტომობილი, ასეულობით სატვირთო მანქანა და ავტობუსი, რომლებიც ისევ წალენჯიხელთა ავეჯით, ძვირფასეულობით, საყოფაცხოვრებო ნივთებით იყო დატვირთული. თვისტომთაგან ასეთი დაუნდობლობისა და განუკითხაობის ანალოგია ალბათ წარმოუდგენელია. თვითმხილველთა ვარაუდით, ბრძოლის შემდეგ წალენჯიხაში თავი მოიყარა 10 ათასამდე **“დემოკრატიული”** იდეებით აღტყინებულმა მოძალადემ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საშოვარზე იყო ჩამოსული.

9 ივლისს, სადამოს, ქალაქ წალენჯიხის მოსახლეობის უმეტესობა გაიხიზნა, რადგან მათ სავსებით შესაძლებლად მიიჩნიეს გავრცელებული ხმები, რომ მთელ წალენჯიხას გადაწვავდნენ, ააფეთქებდნენ... საქართველოში, სამაჩაბლოს შემდეგ, პირველად მშვიდობიან მოსახლეობას შორის სწორედ წალენჯიხაში გაჩდნენ დევნილნი, რომლებიც მასობრივად სტოვებდნენ მამაპაპეულ საცხოვრისს...

სამეგრელოში და, კერძოდ, წალენჯიხაში მომხდარმა გაუგონარმა დანაშაულობებმა და ხუნტის ჯარების უმსგავსობაში გაურკვევლობამ გარკვეულწილად განაპირობა სამეგრელოს მოსახლეობის ყურადღების მოდუნება აფხაზეთის ომისადმი და საბოლოოდ აფხაზეთის დაკარგვაც. ეს კიდევ უფრო დიდი ტრაგიკული მოვლენის თემაა.

P.S. *დღევანდელობის გადასახედიდან თვალსაჩინოა, რომ 90-იან წლებში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოავლინოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, კანონიერებისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხსოვნისადმი პატივისცემა სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობის განმამტკიცებელია, ხოლო რეპრესიის მსხვერპლთა ოჯახებისადმი მორალური და მატერიალური თანადგომა ჩვენი საერთო მოვალეობაა!*

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲤᲘᲤᲘᲐ

მასალები, რომელიც ამოღებულია გაზეთ “ᲜᲝᲯᲘᲮᲣᲠᲘ”-დან, მოგვაწოდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წალენჯიხის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲖᲐᲠᲫᲣᲐᲛ

საქართველოს ერთიანობისათვის!

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

როცა ვიფიქრეთ, კიდევ ერთი პრობლემა გადავლახეთ, კიდევ ერთი **„წარმატებული პროექტის წითელი ლენტი უნდა გაეჭრა „მიშამაგარიას“** და საზეიმოდ უნდა ეუწყებინა სამშობლოსთვის – **ამიერიდან, ქართველ გოგო ბიჭებს ეცოდინებათ, რომ ლოგინში მარტო ბავშვების საკეთებლად არ წვებიანო!** მაშინ გააქრეს **„მოზარდთა განმანათლებელი შორენა“** ეკრანიდან!..

არადა, ვინ იცის – **კიდევ რამდენი რამე უნდა „ესწავლებინა“ მას ერის მომავლისათვის!!!**

გვიან გავიგეთ, თავში აუვარდა თურმე **შორენა შეჩვენებულს**, გამორჩეული **„პედაგოგის“** პრივილეგიები და როცა თვითონ მიიწვიეს ტელესტუდიაში ინტერვიუზე, კითხვაზე – **სად ისწავლე შე შეჩვენებულო ეს საქმე ასე კარგადო,** თავმომწონედ უთქვამს – **მე ჩემს პრეზიდენტთან „მიშამაგარიასთან“ მაქვს პირადად კურსები გავლილიო!..**

ოი, უმადურობავ და უსამართლობავ! – სიმართლისათვის დაისაჯა **„განმანათლებელი შორენა“** და უდროოდ მოაცილეს ეკრანს!..

ეს კიდევ არაფერი – ქართველ მოზარდებს სწორედ იმ ლექციების კურსი დააკლდა, პირადად **„მიშამაგარიასგან“** რომ ისწავლა **„მოზარდთა განმანათლებელმა შორენამ!“**

თუმცა, ბოლომდე მაინც არ გაგვწირა განგებამ, რედაქციამ დამამშვიდებელი წერილი მიიღო – **ნუ დარდობთ, ერთ პაპარაც ჟურნალისტს, „მიშამაგარიასეული“ საგანმანათლებლო ნაწილის, შორენას კონსპექტი ჩავარდნია ხელთ და გვპირდება, მას უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთო!..**

მანამდე კი, მტკვარზე გადებული, 70 მილიონ დოლარად შემოსაღებული ხიდით გაერთეთ. იგი მარტო ქვემოდან შეხედვით კი არ დაგატკბობთ, სხვა, უამრავ საიდუმლოსაც ინახავს თურმე!..

სხვა რა გზა გვაქვს, დაველოდოთ!..

P.S. ამასობაში მორიგი საპარლამენტო არჩევნები გვიახლოვდება და იმედს ვიტოვებ, რომ გამარჯვებას მივულოცავ ქართველ ერს, წინა არჩევნებისაგან განსხვავებით, სადაც ნაცები მხოლოდ არჩევნების თავხედური გაყალბებით იმარჯვებდნენ!

ერთი მხრივ, ეს შეიძლება თვალსაჩინო და ჭკუისსასწავლებელიც ყოფილიყო ჩვენთვის, რადგან, ამ არჩევანით, ნათელი გახდა **„თავისუფალი, დამოუკიდებელი“** საქართველოს მმართველ **(სწორად გამიგეთ, მე არ ვსაუბრობ იმაზე, როგორი მმართველია იგი!)** ძალას ალტერნატივა არა ჰყავს საქართველოში და იგი ცხადია, ისე იქცევა, **რასაც მისი, ახალი ბატონები დაავალებენ.**

წარსული არჩევნებით ხალხმა კი გაწირა საკუთარი თავი, მაგრამ საბოლოოდ გააშიშვლა – **მუქთამჭამელების, უსაქმურების, სხვა და სხვა დროს ქვეყნის და საკუთარი ხალხის გამყიდველების, საბოლოოდ ხელისუფლებასთან შეკრული – ვითომც პარტიები, საკუთარ თავს ოპოზიციას რომ ეძახიან და აბუჩად და სასაცილოდ იგდებენ გაუბედურებულ ხალხს, ასიათასობით რომ იკრიბება საპროტესტო აქციებზე და საბოლოოდ უსინდისო გარიგებებზე მიდიან იმ ძალასთან, რომელიც ქვეყნის დეფაქტო მმართველია!**

ბოდიშს არ მოვიხდი, იმ თითო-ოროლა ალალმართალი ადამიანების წინაშე, რომლებიც მართლა არიან **„ვითომ ოპოზიციონერთა“** რიგებში, რადგან ისინი, აქამდე უნდა მიხვედროდნენ თუ რა ფარსში უწევთ მონაწილეობა!

შევარდნაძე-უხსენებელმა დაამკვიდრა ეს მანკიერი ტრადიცია, როცა კანონიერი, სამშობლოსთვის თავგანწირული ხელისუფლება დაამხო და მათ ნაცვლად, ქვეყნის და ხალხის მოღალატეები და კრიმინალები შეჰყარა პარლამენტსა და ქვეყნის მმართველობის სთავეებში. სანაცვლოდ – **სადაც კი დასჭირდებოდა იქ იყენებდა მათ, საკუთარი (და არა ქვეყნის და ხალხის!) ინტერესების დასაცავად.**

მრავალგზის გვინახავს – **ვითომ ოპოზიციონერების გამოყვანილი, სამარცხვინოდ მუხლებზე დაჩოქილი, უთავმოყვარეო და მლიქვნელი მასები!**

ტრადიცია გრძელდება: **საჭირო შემთხვევაში, შევარდნაძე-უხსენებელის შვილობილი „მიშამაგარიაც“ წარმატებით იყენებს „ვითომ ოპოზიციას“ – ხალხში დაგროვილი სიძულვილის, მოსალოდნელი რისხვის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ქვეყნის ზნეობრივად გამრყვნელი და ეკონომიურად გამანადგურებელი ხელისუფლება იმსახურებს!**

მე გულითადი მადლობა მინდა მოვუხადო, არჩევნებზე მოსულ ალალმართალ ხალხს, რომელმაც საკუთარი თავის გაწირვის სანაცვლოდ ქვეყანას დაანახა:

–რომ იგი, მატყუარა და ყალბისმქმნელებს არ გაჰყვება, ცოტასაც მოითმენს და თუ არავინ გამოჩნდა საკუთარ თავს თვითონ მიხედავს!

– ებედი და მატყუარა პრეზიდენტის სენსაციური ადიარება მოჰყვა იმ გაყალბებულ არჩევნებს, რომელმაც ხმამაღლა განუცხადა საქართველოს – **ეს იყო პირველი მიუკერძოებელი და გაუყალბებელი არჩევნები, რაც აქამდე ჩატარებულაო საქართველოში!**

–ჭეშმარიტი ქართველი ხალხი, **არც ავანტიურისტი პრეზიდენტის და მისი მთავრობის მედაფდაფე იქნება და არც სინდისგაყიდული ოპოზიციის მესაფლავე, იგი ქართულ პოლიტიკაში გამოჩენილ იმ ახალ ძალას გაჰყვება, თუ ჩვენი სამშობლოს გადარჩენა სურს!**

–უფალმა გვისმინოს და შეგვეწიოს, რომ ეს მალე მოხდეს!

ამისათვის კი, ნამდვილად ღირს **„ზურგზე თაფლის წასმა“** და თანამემამულეთა გვერდით თაკარა მზეზე დაწოლა!

P.S.-ის P.S.-ი როგორც თავში ვახსენე, შემთხვევით წავაწყდი ამ წერილს ჩანაწერების არქივში. გადავიკითხე იგი და რომ ვთქვა – არაფერი შეცვლილა ამ ორ წელიწადში საქართველოში-მეთქი, მკითხველი არ მაპატიებს!

როგორ არა, შეიცვალა კი არა “გაუგონარი” საქმეები გაკეთდა:

–ორი წლის წინ, “**შორენა**” და “**ნანკას**” იმედად მიგდებულ ქართველ მოზარდ თაობას, დღეს, “**მიშამაგარიას**” მოწვეული, ინგლისურენოვანი, ათას “**ფალოსზე**” გადამხტარი “**ჰომო**” და “**ლესბო**” პედაგოგები ლამის საბავშვო ბაღებიდან წრთვნიან!

–”**შორენა**” და “**ნანკა**” – ჩამორჩენილი, დრომოჭმული, ნახევრადსაბჭოური მეთოდებით რომ აცოდვილებდნენ ბავშვებს, “**მიშამაგარიას**”ინგლისურენოვან პედაგოგებს, ადამის მოდგმას რომ არ დაესიზმრება ისეთი პროგრამები და თვალსაჩინოებები აქვთ თურმე ჩამოტანილი!

ამბობენ: *“აკი გინდა თუ ქალი, სულ დაშლილი ჩამოაქვთ მასწავლებლებს და მთლად დაწყეველილი თუ არ არის, ამ თვალსაჩინოებებზე გაწრთვნილი და ნასწავლი ქართველი “გეიშა” – ტოლი არ უნდა დაუდოს კონკურენტებს, შიდა თუ უცხოურ სარბიელზე!”*

იმასაც ამბობენ: *“მიშამაგარიამ”* და *მისმა მთავრობამ უცხოელ მასწავლებლებს შეღავათი დაუწესა – ასაწყობი ქალის და მამაკაცის ნაწილების შემოტანა საბაჟო გადასახადებისგან გაათავისუფლაო!”*

იმასაც ამბობენ (ამჯერად ავი ხმები!): “*სამაგიეროდ, სარფის საბაჟოზე, ლუკმაპურის საშოვნელად თურქეთში გადახვეწილ, გაჭირვებულ ქალებს, სამზე მეტი საცვალი თუ ჩამოაქვთ, ზედ რომ აცვიათ იმასაც ხდიან და ანბაჟებინებენო!”*

ნაცმოძრაობის ეძო: “*ქვეყნის კარგი მომავალი მსხვერპლს მოითხოვსო!”*

–ამიერიდან, ინგლისური ენის სხაპასხუპით არმცოდნე ქართველი სტუდენტი, უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს ვერ მიიღებს!

საოცარი “**წინსვლაა**” მართლაც – **მსგავსი რამ, 70 წლის განმავლობაში, თვით კომუნისტებს არ უკადრებიათ ქართველებისთვის!**

...მადლობა უფალს, ცუდის გარდა, **“დიდი სიხარულის ხმებიც”** მოდის საქართველოდან!

ორი წლის წინათ, იმედს არ ვკარგავდით და ასე ვამბობდით: ***“ქართველი ხალხი იმ ახალ ძალას ელოდება, რომელიც დღე-დღეზე უნდა გამოჩნდეს, თუ ჩვენს სამშობლოს გადარჩენა უწერია!”***

–ძალა კი არა, პიროვნებაც გამოჩნდა, მოვიდა კიდეც, მაგრამ – **გადაიქცევა თუ არა იგი იმ ძალად, რომელმაც უფსკრულის პირას მდგარი ქვეყანა უნდა შემოატრიალოს, ჯერ კიდევ საკითხავი და დროის საქმეა, რომელიც ძალზედ მცირეა დარჩენილი!**

ახლის აღმოჩენას არ შევეცდები, ამასწინანდელ **„ილორში“** ნათქვამს გავიმეორებ:

„მოსალოდნელი ***„ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ“*** *დიდი სიფრთხილე და ასი თვალი სჭირდება, რადგან* ***– ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲮᲛᲐᲡ, ᲕᲘᲜᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲝᲡ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡ – ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ-ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲮᲛᲐ, ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲘᲔᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲫᲪᲔᲕᲐᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲮᲛᲐᲪ ᲐᲮᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲐᲪᲜᲝᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲡᲬᲐᲠᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ!“*

–ამჯერად მათი სახეებიც გამოჩნდა!

სწორედ ამიტომაც სჯირდება დიდი სიფრთხილე და ასი თვალი, ქვეძნის იმედად აღთქმულ პიროვნებას, რომელიც არამც და არამც მესსიად არ უნდა წარმოვიდგინოთ!

პატივისცემით,
დავით ფოთაძე

ბატონო როლანდ,

სააკაშვილის კრამოლურმა ხელისუფლებამ საწადელს მიაღწია და უამრავი ქართველი მოსწყვიტა ქართულ რეალობას, როცა ლუკმა-პურის საშოვრად გადახვეწა ისინი სამშობლოდან. ახლა კი, მიშამაგარიამ გადაწყვიტა ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდანაც გარიყოს ისინი, რისთვისაც უკანონო და საერთაშორისო სივრცისათვის სრულიად შეუსაბამო ბრძანებები დაუგზავნა უცხოეთში საქართველოს საკონსულოებს. რამდენიმე დღეში აუცილებლად მოგაწვდით საგაზეთო წერილსა და უცხოეთში გადახვეწილ ქართველთა გამოხმაურებებს საქართველოს სომხური ხელისუფლების ამ ძალადობრივი აქტის თაობაზე!

მარილი

ნოველა

– ”ისე გავლიე ჩემი ცხოვრება, რომ ვერაფერს დავამჩნიე ნაკვალევი. თითქოს მარმარილოს გლუვ ზედაპირზე მინის ლანჩებიანი ქალამნებით დავდიოდი. ათასგვარმა გულის ამრევმა წვრილმანმა შეილია ენერგია, ისე, როგორც თანდათან შრება და ორთქლდება წყალი, რომელიც ხის თავღია ვარცლზეა დაგუბებული უპატრონოდ და უმომხმარებლოდ. ვინ იცის ამ წვრილმანებმა რამდენი ოცნება გააფერმკრთალა, რამდენ დიდ საქმეებს მოგვაცდინეს. ჩვენ კი მაინც ცხოვრებას ვეძახით მათ. იყო ათასი განცდა, ათასი წუხილი, ათასი სატკივარი და ამ სატკივრებს ახლოსაც არ იკარებდა მარმარილოს ის სიგლუვე! ახლა ვარ აგერ და არ ვიცი რისთვის ვარ, რასა ვიქმ. ალბათ, ასევე განვშორები ქვეყნიერებიდან. არადა, ბევრის, ძალიან ბევრის გაკეთება მინდოდა! ეტყობა, მაკლდა მარილი და სხვამ ვერავინ მოიცალა, თუნდაც მუჭით, გამოეწოდებინა იგი ჩემთვის. მე ვერავის ვთხოვე იგი, რადგან მათხოვრობას არ ვარ ჩვეული. ადამიანები კი ხშირად თვალს არიდებენ ადამიანებისავე ცოცხალ თვალებს, ხოლო, როცა ჩავქრებით ამიერითგან, მაშინ შეეცდებიან ჩაღრმავდნენ იქ, სადაც უკვე ვერავითარი მზერა-თვალსაწიერი ვერ განაღებს კარებს... იქაც არ მოგასვენებენ, სულსაც გიწიოკებენ...”

... როცა ამ სიტყვებს მეუბნებოდა სოხუმის სანაპირო ხეივნიდან, ოდნავ გახელილი თვალებით უმზერდა ჰორიზონტს. ჩვენს წინ ზღვა იყო, მშვიდი ზღვა, რომელიც სავსე იყო მარილით, მაგრამ ეს მარილი სითხეში იყო განზავებული და მუჭითაც ვერ მიართმევდი ვერავის, რომც გდომებოდა.

“გიკვირთ, ალბათ, უცხო კაცი რომ გაგიშინაურდით... გეტყობათ, სტუმარი ხართ ჩვენი ქალაქის, მაგრამ უცხონი არავინ არა ვართ ერთმანეთისთვის, ადამიანები ყველანი ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ოღონდ გვარები გვაქვს სხვა და სხვა. გვარები, რომლებიც თავისთავად არაფერს ნიშნავს. არც სახელები ნიშნავს რამეს. უბრალოდ, გვინდა და ასე ვეძახით ერთმანეთს. “თარაშ”-ს მეძახიან მე! შეეძლოთ დაეძახათ თქვენი სახელი და მე ისევე მოვიხედავდი, როგორც მაშინ, როცა თარაშს დამიძახებდნენ,.. ერთი დედ-მამის შვილები ვართ-მეთქი, მაგრამ ვართ კი, ერთი დედ-მამის შვილები? თუ ვართ, რისთვის ვართ? და თუ არა ვართ, რატომ არა ვართ?...”

... მზე არ იყო ამოსული ამ სკამძელთან რომ მოვედი. ვიფიქრე, ზღვის სილურჯით, ამომავალი მზის ხილვითა და დილის მყუდროებით დავაპურებ-მეთქი, სულს. ის აქ დამხვდა. იჯდა სკამძელის იქითა კიდესთან და მეგონა ეძინა კიდეც, მაღლა აწეული თავით, უჩვეულოდ შემართულს. მეორე კიდესთან ჩამოვჯექი და ჩვენ ხის, შეღებილი, უსულო ლატანი გვყოფდა ახლა, რომელზედაც კიდევ დაეტეოდა რამდენიმე ჩვენნაირი. სანამ უცბად არ მოიხედავდა და თვალს თვალში არ გამიყრიდა. მისთვის არავინ იყო აქ. ან იქნებ, არც ამის შემდეგ იყო ვინმე?,.. მივესალმე უცნობის სალმით. ოდნავ გასწორდა და ჩამათვალიერა. არაფერი უთქვამს. კვლავ შორს მიაწურა მზერა და ასე იჯდა დიდხანს.

– რატომ მოხვედით?–შემეკითხა მერე.

– ისე!.. – ხმადაბლა ვუპასუხე და ჰორიზონტზე ამომავალი მზისკენ გავიშვირე ხელი, – მალე წავალ თუ...

– არა, არ მიშლი!... მზე ყველასია... ზღვაც!

– კარგად გამოგივიდათ... – გავიღიმე დაბნეული კაცის ღიმილით, – მზე და ზღვა ყველასია!...

– მე ასე არ მითქვამს!... მე ვთქვი **“ზღვაც”**!

– სწორი ბრძანდებით, თქვენ ასე თქვით...

– მზე ერთნაირადაა ჩემი და შენი, ზედმეტს ვერაფერს დააკლებ, ზღვაში კი ბევრი მარილია...

– იცოცხლეთ, ბევრია!...

– მომაწოდეთ, მაშ, თუნდაც ერთი მუჭა!

– სიამოვნებით, მაგრამ...

– საოცარია, თქვენ თქვით **“სიამოვნებით”**?

– დიახ, რა თქმა უნდა, რომ...

– აი, ხომ ხედავთ, მაინც გაერია **“რომ”**... ყველა ასე ვამბობთ, **“რომ შემეძლოს”**! არადა, შეგვიძლია, მაგრამ ვერ ვიმეტებთ სხვისთვის...

– მარილი რაა, რომ ვერ გავიმეტოთ?

აიმრიზა. მერე მენდო და ის მითხრა რაც ზემოთ მოგიყვეთ.

...მას შემდეგ, ვიხსენებ და კარგად მაინც ვერ გამიხსენებია რამდენი წელი გავიდა. ათი, ვითომ? ან იქნებ ოცი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ გუშინდელ დღესავით მახსოვს! – აი, აქ, ახლა რომ ვდგევარ, სკამძელი იდგა, იმ სკამძელზე კი იჯდა კაცი, რომელმაც ზღვიდან მარილის ამოღება მთხოვა. დღეს კი, აქ სკამძელი არ დგას. არ არის ის კაციც, მაგრამ ათასი ვინმე დადის ქალაქში კვლავინდებურად, ათასგან მიეჩქარებათ, ათასი ტკივილი აწუხებთ, ათასი განცდა, ათასი ოცნება. სულ სხვაგვარია ყველაფერი ირგვლივ, მხოლოდ მზე არ შეცვლილა, ისევ ძველებურად მოაცილებს ჰორიზონტს მომდგარ რიჟრაჟს. ზღვაც ისევ ისეთია, ლურჯი, უსაწიერო, მარილით სავსე, მაგრამ უმარილო...

ზღვისპირას ძველი მეზღვაური დგას და ისიც ჰორიზონტს გაჰყურებს. ფეხებში ტალღები ეპოტინება. ჩიბუხიდან სევდასავით ამოდის ბოლი. სადღაც მიდიან გემები.

– თქვენც გემებს მიაცილებთ?– მეკითხება.

– არა, იცით...

– ვიცი! ვხედავდი როგორ იდექით აი, იქ!... იქ ძველად სკამძელი იდგა, შეღებილი სკამძელი...

– დიახ!

– იმ სკამძელზე ყოველ გამთენიას კაცი იჯდა და ჰორიზონტს გაჰყურებდა...

– თქვენც გახსოვთ?

– მახსოვს!.., მე იმ სკამძელზე არასოდეს ჩამოვმჯდარვარ, მაგრამ მაინც მახსოვს...

– საოცარი კაცი იყო!...

– ...არ ჩამოვმჯდარვარ და იქნებ ჯობდა ჩამოვმჯდარვიყავი, სულ მცირე ხნით მაინც...

– მარილის ამოღება მთხოვა ზღვიდან!

– იშვიათად სთხოვდა ვინმეს რამეს...

– მე კი, მთხოვა!...

– მერე სადღაც დაიკარგა, ამბობდნენ ფსიქიატრიულში წაიყვანესო. დაავიწყდა კიდეც ყველას. ერთ დილით კი, სკამძელზე იპოვეს მკვდარი. თვალები გახელილი ჰქონდა და ზღვას გაჰყურებდა, მუჭში კი, მარილი ეჭირა, უბრალო, ჩვეულებრივი მარილი...

გემები გვშორდებოდნენ.

ქუჩა სავსე იყო ხალხით. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა და არავის აზრად არ მოსდიოდა ზღვიდან, თუნდაც, ერთი მუჭა მარილი ამოეღო და მიეტანა იქ, სადაც ის კაცი იჯდა...

ზაურ ფიფია

ᲓᲔᲘᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ: „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲛᲓᲔ“ (ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ)

ძვირფასო მკითხველებო! როგორც შეგპირდით, საქინფორმი იწყებს პუბლიკაციების სერიას „დეიდა ნინას წერილები თბილისიდან“. საქართველო გუშინ და დღეს, ადამიანი და საზოგადოება, პოლიტიკა და ცხოვრება, სიყვარული და ღალატი – ოდესღაც ერთიანი ქვეყნის მოქალაქეთათვის კარგად ცნობილი განზოგადებული პერსონაჟის წერილებში, რომელთაგან პირველს დღეს გთავაზობთ.

სალამი, ძვირფასო!

გწერს დეიდა ნინა თბილისიდან, თუ გახსოვს ასეთი... არა, ამჯერად დიდი თეატრის ბილეთები არ მჭირდება – თქვენთან ჩამოსვლა ძნელია, თან ფულიც არ მაქვს. მომენატრეთ. ჯერ ერთი, რუსული ენა თანდათან მავიწყდება. რუსულ ტელეარხებს ჩვენთან უკვე დიდი ხანია, არ აჩვენებენ, დამლაპარაკებელიც თითქმის აღარ დამრჩა, ბევრი გაემგზავრა და ჩვენი მრავალეროვანი ეზო დაპატარავდა. ზოგჯერ საკუთარ თავს ვიჭერ, საჭირო სიტყვის გახსენებას ვცდილობ. მეტი რაღა გინდა – ჩემს შვილიშვილებს რუსული ენა არ ესმით, ინგლისური კი მაინც ვერ ისწავლეს!

არ გეგონოს, რომ ეს ბებრული ბუზღუნია. ყველა ჩემი რუსული წიგნი შეიძლება ნაგავსაყრელზე აღმოჩნდეს – ვინ წაიკითხავს მათ? არადა, სასაცილოა: ახლა საკუთარ თავზე კი არა, წიგნებზე ვდელავ, რომლებიც უჩემოდ დაიკარგება. ეს ყველაფერი ხომ მერე მოხდება, როდესაც მე აღარ ვიქნები! რა გაეწყობა, ჩვენ ასე აღგვზარდეს – ცხოვრება ჩვენით არ იწყება და ჩვენთან ერთად არ მთავრდება. თუმცა, არა მარტო ამ მიზეზით: ჩვენ ხომ ღამეებს ვათენებდით ხელმოწერების რიგში! ახლა ნებისმიერ წიგნს იყიდი, თუ ფული გაქვს, მაგრამ საქმეც ისა, რომ ფული არ არის!

მოდი, აღარ გვინდა სევდიან ამბებზე ლაპარაკი. მიშა ყველა პენსიონერს კბილების ჩასმას დაგვპირდა. ამაზე მთელი ეზო მსჯელობდა. ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, ეს ცუდი არ არის, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრა, არ მჯერა, უკვე მეტისმეტად ბევრ რამეს შეგვპირდა. აი, მაგალითად, ჯერ კიდევ როცა პრეზიდენტი გახდა, აღგვითქვა, რომ 100 დოლარი პენსია გვექნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, მხოლოდ 110 ლარი გვაქვს, დოლარი კი 165 ლარი ღირს, და მეორეც – მაშინ 20 ლარად ბევრად მეტ რამეს შეიძენდი, ვიდრე დღეს – 100-ად!

ყველაფერი საშინლად გაძვირდა. პირველ რიგში – პური, ხორცი კი ჩემი პენსიით საერთოდ მიუწვდომელია. შეგიძლია წარმოიდგინო ჩვენი მდგომარეობა – არავინ მუშაობს, კომუნალური გადასახადების ქვითრები კი ნამდვილ ტერორის ქაღალდებად გადაიქცა. წარმოიდგინე, თბილისის ხელისუფლება იქამდე მივიდა, რომ ნაგვის გადასახადი ელექტროენერგიას მიაბეს! ანუ რაც მეტ დენს ხარჯავ, მით მეტია ნაგვის გადასახადი! აი, ზამთარი კი მზიან საქართველოში, საერთოდ, სტიქიური უბედურებაა: ცენტრალურმა გათბობამ ჯერ კიდევ 90-იან წლებში თქვენი ჭირი წაიღო და ყველა ისე თბება, როგორც ახერხებს. დანახარჯი კოლოსალურია. ახლა ჯერ ზაფხულია, მე კი უკვე შიშით ველოდები ზამთრის დადგომას.

მკითხავ, როგორღა ვცოცხლობთ? თვითონაც არ ვიცი! რაც შეიძლებოდა, ყველაფერი გავყიდეთ. მარინოჩკა დამლაგებლად მუშაობაზეც თანახმაა, მაგრამ, შენ წარმოიდგინე, ამათ დამლაგებლებადაც 30 წელზე უმცროსები და ინგლისურის მცოდნეები სჭირდებათ! თანაც სულერთია, ეს კერძო ფირმაა თუ სახელმწიფო დაწესებულება. დათო მშენებლობაზე მუშაობდა, მაგრამ კრიზისის გამო მშენებლობები შეჩერდა. ახლა სახლში ზის და ჭკუიდან იშლება. ისევ მე მივდექ-მოვდექი. ჩემი შვილიშვილებისგან განსხვავებით, გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებსაც რუსული ენის შესწავლა უნდათ. ჰოდა, იმათ ვასწავლი. დიდი ვერაფერი შემოსავალია, მაგრამ სულ არაფერს სჯობია. თანაც, იქნებ შვილიშვილებსაც გაუწიოს გულმა რუსულისკენ.

მე კი არ გამიმართლა, მაგრამ ბევრს ბიძინა ივანიშვილი დაეხმარა. როგორც გაირკვა, ის ყოველთვიურ სტიპენდიას უხდიდა მსახიობებს, მეცნიერებს, სააკაშვილის მეუღლესა და დედასაც კი (თუმცა მათ ნამდვილად არ უჭირთ). ამ პოლიციის რეფორმასაც, რომელსაც თქვენთანაც კი აქებენ, ის აფინანსებდა. მაგრამ როგორც კი ივანიშვილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლას აპირებს, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ ის კრემლის პროექტია და მისი ფული რუსულია. არადა, ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ამ ფულზე თვითონაც არ ამბობდნენ უარს!

სხვათა შორის, ამასწინათ სააკაშვილმა უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად დასაქმების სამინისტრო შექმნა. მარინოჩკას გაუხარდა, წავიდა, მაგრამ იქაც უპასუხეს, რომ მხოლოდ 40 წელზე უმცროსებს დაასაქმებენ. რა არის ახლა ეს? ჰო, სულ დამავიწყდა, მეთქვა: ამასწინათ ჩვენმა პარლამენტმა საბჭოთა სიმბოლიკა აკრძალა. ჰოდა, ვზივარ და ვფიქრობ – ვაითუ, გასაჩხრეკად მოვიდნენ, მე კი მამის ორდენებიც მაქვს, ჩემი სიგელებიც, ყველა მათგანზე ხომ საბჭოთა სიმბოლიკაა. ნეტავ დამაპატიმრებენ? თუ ჩამომართმევენ? კარგია, რომ მამა ამას ვერ მოესწრო! რომ გაეგონა, ჩვენი ნორჩი პოლიტიკოსები როგორ ადარებენ ერთმანეთს სტალინს და ჰიტლერს, გული გაუსკდებოდა.

თუმცა ყველაფერი ცუდად როდია. სააკაშვილი ყველა პენსიონერს სამედიცინო დაზღვევას დაჰპირდა. თქვენ ამას ვერ გაიგებთ, მანდ ხომ ჯერ კიდევ შემორჩა სახელმწიფო საავადმყოფოები, აქ კი ყველა კლინიკაში ისეთი ფასებია, ჯობია, ავად არ გახდე! ელემენტარული ოპერაცია ათას ლარზე ნაკლები არ ღირს, პალატაში ღამის გატარებას კი საუკეთესო სასტუმროს ფასი აქვს!

სხვათა შორის, **„ნაციონალური მოძრაობის“** კოორდინატორები დადიან და აგიტაციას ატარებენ, დახმარებას სთავაზობენ, მაგრამ მხოლოდ იმათ, ვინც ხმას მათ აძლევს. ზუსტად იციან, ვისი ოჯახის წევრია დაპატიმრებული, ვის სჭირდება ოპერაცია, სოციალური დახმარება. პიროვნებით გათავისუფლებული ჩვენთან ძალიან ბევრია. ერთი მითხარი, ჩემო კარგო, ვინ გაუწევს მათ წინააღმდეგობას, როცა ნებისმიერის ციხეში ჩასმა შეუძლიათ? რა თქმა უნდა, ივანიშვილი დადებითი ადამიანია, მაგრამ მისი მომხრეებიც დააპატიმრეს და ვერ ეხმარება. მათ ისე აჯარიმებენ, მტრისას. შეგიძლია წარმოიდგინო 150 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმა? თუმცა, თავად ივანიშვილს, რა თქმა უნდა, ასეთი წვრილმანით დაჯარიმებას არ აკმარებენ. მისი ჯარიმები მილიონებით იზომება. მაგრამ უბრალო ადამიანებს გასაქანი არ აქვთ.

ჩვენთან სტიქია ბობოქრობს. გაუთავებელი წყალდიდობები, ქარიშხალი, სეტყვა. რაც ხალხმა დარგო, დათესა და მოიყვანა, ყველაფერი დაიღუპა. კარგია, რომ მსხვერპლი არ იყო. მაგრამ როგორი ზარალია! რა ნგრევა! თუმცა ამჯერად მიშა შოპინგზე არ გაემგზავრა და დაზარალებული რაიონები მოინახულა. ამასწინათ, თბილისში მომხდარი წყალდიდობის შემდეგ, როცა ოთხი ადამიანი, მათ შორის – ორი ბავშვი დაიღუპა, მან ევროპაში გაისეირნა და, როგორც ამბობენ, ძვირფასი საათი შეიძინა!

რას უშვება ადამიანებს ძალაუფლება? ჯერ კიდევ რვა წლის წინ მიშა მეტროთი მგზავრობდა და ჩვეულებრივი თვითმფრინავით დაფრინავდა, ახლა კი მინისგუმბათიანი უზარმაზარი რეზიდენცია აიშენა და პერსონალური თვითმფრინავით დაფრინავს. იქნებ იმიტომაც ვერ ამჩნევს, რომ საქართველო განსაცდელშია. გახსოვს, როგორც **„კავკასიელ ტყვე ქალშია“: „შენ ცხოვრებას საკუთარი პერსონალური ავტომობილის ფანჯრიდან უყურებ!“**

თქვენს პუტინთან მიშა არ მეგობრობს. არ ვიცი, რა შავმა კატამ გაირბინა მათ შორის, რადგან, როცა მიშა ჯერ კიდევ მისწრაფვოდა ხელისუფლებისკენ, პუტინმა ივანოვიც კი გამოგზავნა, რომელმაც შევარდნაძის გადადგომის საქმე მოაგვარა, მერე კი ასლან აბაშიძე თან წაიყვანა. მერე რა მოხდა, არ ვიცი. ამბობენ, მიშა პუტინს რაღაცას დაჰპირდა, მაგრამ როგორც ჩვენ, თავის ამომრჩევლებს, სიტყვა მასაც არ შეუსრულა. თუმცა, მეორე მხრივ, ყველა მსხვილი კომპანია რუსებმა შეიძინეს და ახლა საკუთარ წყალსა და ელექტროენერგიაში სამჯერ მეტს სწორედ თქვენს ბიზნესმენებს ვუხდით. ვერაფრით გამიგია: თუ ივანიშვილის ფული რუსული სახელმწიფო კაპიტალია, მაშ **„თბილწყალკანალსა“** და ენგურჰესში ვისი კაპიტალი დევს?

თუმცა, იქნებ მეგობრობენ და ეს ყველაფერი მხოლოდ თვალის ახვევაა? 2008 წლის ომზე ბევრს კამათობენ, მაგრამ პუტინს მიშას თავიდან მოცილება მართლა რომ ნდომოდა, ჯარებს უკან არ გააბრუნებდა! თქვენთან, ალბათ, არ იციან, რომ თითქმის მთელმა ჩვენმა მთავრობამ მაშინ გუდა-ნაბადი აიკრა და ქვეყნიდან გაიძურწა! არ ვიგონებ, ამასწინათ ეს სიები გამოაქვეყნეს, მაგრამ უარყოფა არავის უფიქრია.

თუმცა, როგორც ჩვენი მეგობარი შექსპირი იტყოდა: **„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაიც ბრძენ კაცთა სიზმრადაც არ მოჰლანდებიათ“.** ასეა თუ ისე, ჩვენი დაშორება მაინც შეძლეს. ერთმანეთის შესახებ აღარაფერი ვიცით. როგორ ცხოვრობთ? იმედი მაქვს, თქვენთან ყველაფერი ასე ცუდად არ არის. გახსოვს ზაფხულში გაგრაში დასვენება? უკვე 20 წელია, იქ არ ვყოფილვართ. იმ ომში ბევრი დაიღუპა, უამრავი დევნილია. ეს ყველაფერი საშინელებაა. თუმცა 2008 წელი სულ ახალი იარაა. კი ბატონო, ჩვენი მიშა სულელია, მაგრამ ხალხმა რა დააშავა? რისთვის ხდება ეს ყველაფერი?

ორი მართლმადიდებელი ქვეყანა ომობს, ვიღაცა კი ხელებს იფშვნეტს! ნუთუ ამაზე არ გიფიქრია! მომწერე, ძვირფასო, ანდა, აჯობებს, ჩამოხვიდე. შენც ხომ მოგენატრა აქაური სანახები და ჩვენებური სუფრა. რა თქმა უნდა, უწინდებურად კარგად ვედარ ვცხოვრობთ, მაგრამ სტუმრის მიღებას როგორმე შევძლებთ...

ᲨᲔᲜᲘ ᲓᲔᲘᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲝᲛᲔᲮ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲛᲐ ᲕᲐᲠᲫᲘᲐ “ᲕᲐᲠᲫᲣᲜᲘᲙᲐᲓ” ᲛᲝᲜᲐᲗᲚᲐ

სომეხ მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ვარძია ვარძუნიკად მონათლა. როგორც გაზეთ **“კვირის პალიტრასთან”** ინტერვიუში **“ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის”** ერთ-ერთი ლიდერი, საკრებულოს წევრი ჯაბა სამუშია აცხადებს, სომხეთში დაბეჭდილი 14-ტომიანი **“სომხური არქიტექტურული ძეგლების”** რამდენიმე ტომში თბილისში, კახეთში, ჰერეთში, აჭარასა და ჯავახეთში არსებული უძველესი ქართული ძეგლები სომხურ ტაძრებად არის გამოცხადებული.

სამუშიას განცხადებით, სომხეთში გამოცემული ეს მრავალტომეული უცხოეთში არსებულ სომხურ ძეგლებს ეძღვნება და საკმაოდ მაღალი დონის პოლიგრაფიული გამოცემაა. **“მისი ავტორი, სამველ კარაპეტიანი კი ატნიქართული განწყობით და არაპროფესიონალიზმით არის ცნობილი”,** – ამბობს სამუშია.

მისი თქმით, მას ხელთ ჩაუვარდა ამ გამოცემის მე-9 ტომი, რომლის სახელწოდებაა **“ჯავახჰქი”** და არა ჯავახეთი.

“წიგნის სახელწოდებაშივეა ნათქვამი, რომ ჯავახეთი სომხეთის ტერიტორია იყო. ამ წიგნს ქართულმა სახელმწიფომ უნდა გასცეს პასუხი”, – აღნიშნა სამუშიამ.

სამუშიას განცხადებით, აღმაშფოთებელია ის, რომ ამ გამოცემის თანახმად ვარძიის უნიკალური ქართული კომპლექსიც სომხურ ძეგლად არის გამოცხადებული. **“თურმე ვარძია ვარძუნიკი ყოფილა და მართლმადიდებელ სომხებს აუშენებიათ”,** – განაცხადა სამუშიამ.

მისივე თქმით, არსებობს ასევე ასეთი წიგნი **“რუსეთის ისტორია – სომხური კვალი”,** რომელიც, სამუშიას თქმით, მან ბრიტანეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ნახა. ამ წიგნში ყველა ქართველი მეფე, მათ შორის – დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე სომხებად არიან გამოყვანილები.

სამუშია მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა გამოიცეს ქართველი მეცნიერების ნაშრომები ინგლისურ ენაზე და დარიგდეს ყველა ქვეყნის ბიბკიოთეკაში.

“მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ჯავახეთი, რომელიც სომხეთის ტერიტორიად არის გამოცხადებული, არის საქართველოს მიწა”, – დასძინა სამუშიამ.



ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲨᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛ „ᲑᲔᲢᲛᲔᲜᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲖᲔ 14 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერის ცენტრში კინოთეატრში, ფილმ **„ბეტმენის“** პრემიერაზე 14 ადამიანი ჩაცხრილეს. საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, ფილმის ჩვენებისას აფეთქების ხმაც გაისმა.

არიან დაჭრილებიც, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა ჯერ არ გახმაურებულა, თუმცა ცნობილია, რომ დაზარალებულთა რაოდენობა 50-ის ფარგლებში მერყეობს.

ზოგიერთი ცნობით, ფილმის დასრულების შემდეგ დარბაზში შევარდნილმა ნიღბიანმა ცრემლსადენი გაზი გაუშვა, შემდეგ კი სროლა ატეხა.

მოკლედ, ტერორიზმის სფეროც საკმაოდ დაბნეული ჩანს, რადგან მართლაც ძნელი გასაგები ხდება ტერორისტთა მიზნებიც. მაგალითად, ცნობილმა ნორვეგიელმა მკვლელმა ბრეივიკმა ბრძოლა გამოუცხადა ისლამს და უტოიას კუნძულზე ერთ საათში 77 ქრისტიანი მოკლა.

ვერაფერი გავიგეთ!

რაც შეეხება ამერიკას, აქ ტერაქტების ავტორთა მიზანი შეიძლება იმით ავხსნათ, რომ მავანთ ამერიკულ ციხეებში ჯდომა ურჩევნიათ, რადგან აქაური საპატიმროები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ქართულისაგან. სამჯერადი ყუათიანი კვება, გართობის სხვადასხვა საშუალებები, ვრცელი კინო და სპორტდარბაზები აშკარად ვერ არის ხელმისაწვდომი თავისუფლებაზე მყოფი უამრავი ამერიკელისათვის, ციხეებში კი ეს ყველაფერი თავსაყრელად აქვთ.

ამიტომაც ისწრაფვიან იქით!

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ბავშვთა ფეხბურთი გერმანიაში და პარალელები საქართველოში

ისევ იქ დავბრუნდით, სადაც შარშანდელ ევროთასებამდე ვიყავით – ქართული ფეხბურთის პრობლემები არსად გამქრალა, არსებობს და ხშირად გვახსენებს თავს, უფრო ევროთასებისა და სანაკრებო ჩავარდნების შემდეგ.

ეგაა, პატარა წარმატებაზე ყველაფერი გვავიწყდება და ოცნებებს მივეცემით, მაგრამ **"აქტობეები"** და **"ნეფთჩები"** ცივ შხაპს გადაგვასხამენ და ვფხიზლდებით.

ჩვენი ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) სატკივარი ბავშვთა ფეხბურთია, საიდანაც იწყება დიდი ფეხბურთის საფუძვლები. ვერ იქნება სიხარული, თუ არ იქნება სწორი დამოკიდებულება, კარგი სკოლები...

ვფიქრობ, ამ კუთხით დაგაინტერესებთ გერმანიაში, **"ბოხუმის"** საფეხბურთო სკოლაში ნამუშევარი ახალგაზრდა ქართველი კაცის, **დავით წიქარიშვილის** მონაყოლი – რა პირობებია და სისტემაა გერმანიაში, როგორ აფინანსებს სახელმწიფო ფეხბურთს...

ცნობისთვის: წიქარიშვილი თამაშობდა **"დინამო 2"**-ში, **"მორკინალში"**, 1995 წლიდან გერმანიაში გადავიდა და გამოდიოდა რეგიონალლიგის **"ნოირკირხენში"**, როსტოკის **"ჰანზას"** დუბლშემადგენლობაში, ჰოლანდიაში **"გრააპსხაფის"** დუბლებში, **"აპელდორნში"**, **"სულთფენში"**, მერე ისევ გერმანიაში – **"ბოხუმის"** დუბლებში, **"ვიტენში"**:

– ყველაზე კარგი წინადადება 2004 წელს მეორე ბუნდესლიგის **"ჰანოვერიდან"** მქონდა. სამწუხაროდ, კუნთი გამიწყდა, მშვენიერი ვარიანტი ჩამეშალა და კარიერა **"ბოხუმის"** ფარმკლუბ **"ვიტენში"** განვაგრძე.

მანამდე ერთი წლით ადრე **"ბოხუმის"** ბავშვთა გუნდი ჩამაბარეს, რომელიც ტურნირზე მოეწონათ და მუშაობა შემომთავაზეს.

სასიამოვნო სამუშაო აღმოჩნდა, ლიცენზია ავიღე და ამ საქმეს შემოვრჩი. საქართველოში ბოლო ხანს დავბრუნდი, ახლა ვარკეთილში, კლუბ **"გოლეადორში"** ვმუშაობ.

– რა პირობებია გერმანულ საფეხბურთო სკოლებში?

– **"ბოხუმის"** სკოლის მაგალითზე გეტყვით: ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში საუკეთესოა, მაგრამ მათი პირობები საქართველოში სანატრელია.

– საფეხბურთო სკოლებს გერმანიაში ვინ აფინანსებს?

– გერმანიის საფეხბურთო კავშირი, სხვადასხვა კომპანიები.

– სკოლაში გადასახადი რამდენია?

– არაფერსაც არ იხდიან, თუ არ ჩავთვლით სიმბოლურ წლიურ გადასახადს, 10 ევროს. კლუბების უმრავლესობაში ასეა. არადა, სკოლებში მშვენიერი პირობებია. რაც მინახავს, ყველგან ორი ბალახის მოედანი მაინც აქვთ, გასახდელებსა და საშხაპეებზე არაფერს ვამბობ. ჩემს გუნდს 17 ფორმა ჰქონდა.

15 წლიდან გუნდს უნიშნავენ რამდენიმე მწვრთნელს, რადგან ამ ასაკში უკვე ცნობილია, ვის რა შეუძლია და ვის აქვს პერსპექტივა. ყოველი ვარჯიშის შემდეგ ბავშვებს ახვევრებენ მინერალურ წყალსა და ნატურალურ წვენს.

არალიცენზირებული მწვრთნელის მუშაობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ყველა ლიცენზირებულსაც არ სწყალობენ და ბავშვების აზრით ინტერესდებიან, ვისთან სიამოვნებთ მუშაობა და ვისთან – არა. შესაძლოა, მწვრთნელს ჰქონდეს განათლება, მაგრამ პედაგოგიური და ურთიერთობის ნიჭის გარეშე, ბავშვს ფეხბურთს შეაზიზღებს და მისგან მწვრთნელი არ დადგება.

განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ, რომ მწვრთნელს საფეხბურთო წარსული ჰქონდეს.

– სამედიცინო მომსახურებაზე რას გვეტყვით?

– კვირაში ერთხელ მოთამაშეებს სისხლს უღებენ, საიდანაც მის მდგომარეობაზე სრული სურათი ექმნებათ.

– ასაკის გადაკეთება მოსულა?

– მოთამაშის ბარათის გარეშე ვერავინ ითამაშებს. ეს დაცვის სისტემაა. სხვათა შორის, საქართველოში ბარათებს ხშირად არც ამოწმებენ.

აქ სხვა უცნაურობებსაც წავაწყდი. პირველად გავიგე, რომ თურმე, ბავშვმა კონტრაქტი უნდა გააფორმოს და სკოლიდან წასვლის შემთხვევაში 50 თუ 100 ათასი გადაიხადოს. ეს შუა საუკუნის მეთოდია, მსგავს რამეზე გერმანიაში კლუბს დასჯიან. გამორჩეულ ბავშვებს იქით უხდიან 200 ევროს, თავი პროფესიონალად რომ იგრძნონ.

– ჩვენთან კლუბებსა და სკოლებს შორის საკომპენსაციო თანხის გადახდაც პრობლემურია.

– გერმანიასა და ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, ეს საკითხი **ფიფა**-სა და ადგილობრივი საფეხბურთო კანონმდებლობით რეგულირდება, მას კი ყველა იცავს.

– იდეალურ სურათს ხომ არ ხატავთ? გერმანელებს ყველაფერი კარგად თუ აქვთ აწყობილი, სანაკრებო ტიტულებს რატომ ვეღარ იგებენ?

– ცხადია, პრობლემები არის, რადგან ბოლო წლებია, გერმანელი ბავშვები ფეხბურთს ნაკლებად ეტანებიან და ამას საფეხბურთო წრეები ძალიან განიცდიან. მიზეზი ფეხბურთში გაზრდილი დატვირთვებია. ძალიან ბევრი კარიერის შემდეგ დაავადებულია. ამიტომ, ბევრს ურჩევნია, თვეში 100 ათას ევროსა და ტიტანური შრომის ნაცვლად 5 ათასს დასჯერდეს და წყნარი ცხოვრება ჰქონდეს.

– საქართველოში რატომ დაბრუნდით?

– რაც უნდა კარგად იყო უცხოეთში, ქართველ კაცს სამშობლო და ჩვენი ურთიერთობები ენატრება. ბუნებრივი სურვილიც არის, ცოდნა და გამოცდილება საკუთარ ქვეყანას მოახმარო.

აქ რომ ჩამოვედი, ჯერ **"ბერმუხაში"** ვმუშაობდი, მერე ჩემს ძმასთან, გიორგი წიქარიშვილთან ერთად **"გოლეადორში"** მივედი. პრეზიდენტი, დავით ბიჩინაშვილი ყველანაირად ამყვა. შედეგად სამხრეთ ოსეთის უფროსი ასაკის, 1994-95-წლიანების ჩემპიონატში 20-დან 20 შეხვედრა მოვიგეთ. არადა, ამ გუნდს წინა ჩემპიონატში ასეთი წარუმატებით არ უასპარეზია. ახლახან თურქეთში ვიყავით და ჩვენი ორი ფეხბურთელით **"ალანიასფორი"** დაინტერესდა.

დღეს ფეხბურეთს ის იგებს, ვინც მეტს დარბის, საამისოდ კი გამძლეობაზე ვარჯიში და ფიზმომზადების მწვრთნელია საჭირო – უამისოდ წარმატებაზე ფიქრიც წარმოუდგენელია. ჩვენ კი ფიზმომზადების მწვრთნელად ვალერი ლობანოვსკისთან ნამუშევარი თენგიზ გელდიაშვილი ავიყვანეთ და ამან შედეგი გამოიღო.

სამწუხაროდ, ეს ჩვენი პრობლემაა: ამ პროფილის მწვრთნელი არათუ სკოლებს, პირველი ლიგის ბევრ გუნდსაც არ ჰყავს. კვალიფიკაციის პრობლემაც არსებობს. არადა, ფიზმომზადების გარეშე შედეგი წარმოუდგენელია.

ძალიან მნიშვნელოვანია კვების საკითხი: ბევრმა მოთამაშემ არც იცის, ვარჯიშამდე რამდენი საათით ადრე უნდა ჭამოს და რა უნდა მიიღოს.

სად არის ბუნებრივსაფრიანი მოდნები? გერმანიაში ხალიჩაზე არ ავარჯიშებენ, რადგან დიდია მუხლებისა და წვივების ტრავმების საფრთხე. დიდები მხოლოდ მე-6 თაობის მოედნებზე ვარჯიშობენ, რომლის მსგავსიც აქ არ მინახავს. არადა, ფეხბურთელის გაზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ასეთ ნიუანსებს აქვს.

ასეთი სხვაობის მიუხედავად, ჩვენთან ფეხბურთელები კიდევ იზრდებიან და ეს მართლაც სასწაულია. იმიტომ, რომ ბევრი ნიჭიერი გვყავს, მაგრამ თუ სწორად არ გავზრდით, მხოლოდ ტალანტის იმედად შორს ვერ წავალთ.

იუმორი

– მივედი გუშინ სახლში და ვხედავ – ჩემი ცოლი ვიღაც მეგრელთან კოტრიალობს, – ამბობს კაცი.

– რა იცი, რომ მეგრელი იყო?

– რაღაც მითხრა მეგრულად.

– მერე, შენ რა უთხარი?

– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი მეგრული.

* * *

სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად.

– გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.

– პირველი ნახევარი რაღა უყავი? – გაუკვირდა სვანს.

* * *

გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:

– ჩემი ქალიშვილი რომ შენი ცოლი გახდება, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილი, რეცხო თეფშები...

– მერე, ერთადერთ ქალიშვილს ასეთ იდიოტს ატან?

* * *

– იქ იყავი, ის კაცი შენს სიდედრს რომ სცემდა? – ეკითხება მოსამართლე.

– კი, ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

– მერე, ვერ მიეხმარე?

– რავა, ორ კაცს გვეცემა ერთი ქალი?

* * *

ექიმმა გურული გასინჯა.

– შენ ისეთი ჯანმრთელი ხარ, რომ სიდედრის ქელეხსაც მოესწრები, სიმამრისაც, ცოლისაც...

– რას ამბობ, ძამა, – შეწუხდა გურული, – მადგენი ფული სა მაქვს?!

Amnesty International ხელისუფლებას მოუწოდებს, შეწყვიტოს ოპოზიციის ჟურნალისტებზე ძალადობა

საერთაშორისო ორგანიზაცია „Amnesty International"-ი განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ იცავს ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ჟურნალისტებს ძალადობისგან, რომელსაც, როგორც ჩანს, პოლიტიკური სარჩული უდევს.

უფლებადამცველი ორგანიზაცია განცხადებაში ეხება მერეთსა და კარალეთში ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციური კოალიცია **„ქართული ოცნების"** კამპანიის დროს მომხდარ ინციდენტებს და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა ან კუთვნილებისა და ზედმიწევნითი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების შემდეგ სამართალში მისცეს ბოლოდროინდელ თავდასხმებზე პასუხისმგებელი პირები. ნაცების თავზეხელაღებულ ხელისუფლებას ხომ საერთოდ არ გააჩნია სამართლიანობის გრძნობა, რადგან, თავდამსხმელი ნაცი ზონდერების ნაცვლად ისინი აპატიმრებენ **"ქართული ოცნების"** იმ აქტივისტებს, რომლებიც იძულებული არიან თავი დაიცვან უზნეო ნაცი **"ჟურნალისტების"** თავდასხმებისაგან. სწორედ ამგვარი უკანონობა იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების აღშფოთებას.

ინციდენტების დროს დაზარალებულთა შორის, სულ ცოტა, ათი ჟურნალისტი იყო. ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში დუნია მიატოვიჩმაც გამოხატა შეშფოთება საქართველოში ბოლო კვირების განმავლობაში ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობის განმეორებითი ფაქტების გამო და საქართველოს ხელისუფლებას ამ ფაქტების ზედმიწევნით გამოძიებისკენ მოუწოდა.

„Amnesty International"-ის განცხადებაში იმ ფაქტებზეც არის საუბარი, როდესაც **„ინფო 9"**-ის ჟურნალისტებს დასდევენ უცნობი ადამიანები, რომლებიც თავს ჟურნალისტებად წარმოაჩენენ და **„ინფო 9"**-ის კორესპონდენტებს მუშაობაში ხელს უშლიან. მათ ასალაგმად კი ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს და, პირიქით, ახალისებს კიდეც მათ.

„Amnesty International"-ს **მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობისა და დევნის ყველა ფაქტის სწრაფი და ზედმიწევნითი გამოძიება,** – ნათქვამია განცხადებაში. – **ორგანიზაცია მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ ჟურნალისტებს შეუფერხებლად და ძალადობის შიშის გარეშე მუშაობის საშუალება ჰქონდეთ, მიუხედავად იმ მედიასაშუალების პოლიტიკური ინტერესისა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ".**

საქართველოს ნაციონალური მოძრაობის გათავხედებული მესვეურები და მათი ნეტარღიმილიანი ბელადი სააკაშვილი საერთოდ უგულვებელჰყოფენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კომპეტენტურ დასკვნას, რომელიც ეფუძვნება ნეიტრალური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში მოკვლეულ ფაქტობრივ მასალებს, მაგრამ როცა ჟურნალისტებმა "კუთხეში მიიმწყვდიეს" საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი და აიძულეს, რომ საკუთარი აზრი გამოეთქვა „Amnesty International"-ის აღნიშნულ დასკვნაზე, მან განაცხადა, რომ მე ამ კვლევებს არ ვენდობიო.

მართლაც, ძალიან უჭირთ ნაცებს სიმართლისათვის თვალებში ჩახედვა, მაგრამ, საინტერესოა, როდემდე დაემალებიან საკუთარ თავს?!

ალბათ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე...

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაჟაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge